# საერთო ისტორია



# 9

# Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,*
*sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



# ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

იაკუბ მაჰმუდლუ, თოფიკ ნეჯეფლი,
ქერემ მამედოვი, სევილ ბეჰრამოვა,
საბირ აღაევი

# საერთო ისტორია

# 9

*ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების*
*მე-9 კლასისათვის საერთო ისტორიის საგნის*
**სახელმძღვანელო**

გთხოვთ ამ გამოცემასთან დაკავშირებული
თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ
info@eastwest.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2017

# სარჩევი

შესავალი ........................................ 7

**I განყოფილება. მსოფლიოს ქვეყნები XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში**

**თავი I. თურქული სამყარო. ყაჯარების ირანი და კავკასია ........ 8**

1. ოსმალეთის იმპერია. ყაჯარების ირანი ........ 8

2. კავკასია და თურქული სამყარო ........ 15

**თავი II. აზიის ქვეყნები........ 20**

3. ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია ........ 20

**თავი III. ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები ........ 25**

4. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ........ 25

5. გერმანია და იტალია ........ 29

6. რუსეთი ........ 33

7. ამერიკის შეერთებული შტატები ........ 38

8. პირველი მსოფლიო ომი ........ 42

9. მსოფლიო ხალხების კულტურა ........ 48

## II განყოფილება. მსოფლიოს ქვეყნები 1918-1945 წლებში


თავი IV. ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები ............ 54

10. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა ............ 54

11. გერმანია და იტალია ............ 58

12. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ............ 62

13. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ............ 66

თავი V. აზიის ქვეყნები ............ 70

14. კავკასია და თურქული სამყარო ............ 70

15. ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია ............ 77

თავი VI. მეორე მსოფლიო ომი ............ 80

16. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი ............ 80

17. ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში. ომის დამთავრება ............ 84


## III განყოფილება. მსოფლიოს ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში


თავი VII. ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები ........ 89

18. დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები ............ 89

19. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. სსრ კავშირი ............ 97

**თავი VIII. აზიის ქვეყნები** ........ **102**

20. კავკასია ........ 102

21. თურქული სამყარო ........ 107

22. ირანი და არაბული ქვეყნები ........ 112

23. ინდოეთი, პაკისტანი და ავღანეთი ........ 117

24. ჩინეთი, იაპონია და კორეა ........ 122

25. საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო თანამედროვე პერიოდში ........ 126

26. მსოფლიო ხალხების კულტურა ........ 130

"საერთო ისტორიის" საგნის რესურსები ........ 135

გამოყენებული ლიტერატურა ........ 136

## პირობითი ნიშნები:

*

- –ტერმინების განმარტება
- –გამოკვლევისათვის დასმული კითხვები
- – გამოკვლევის მიზნით დასმული კითხვები და დავალებები
- – თემის ბოლოს დასმული კითხვები და დავალებები

# შესავალი

ძვირფასო მოსწავლეებო, მე-8 კლასში საერთო ისტორიის გაკვეთილებზე, თქვენ გაეცანით პერიოდს, რომელიც მოიცავდა XVI-XVIII საუკუნეებს და ამ დროს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, ასევე კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვას. გაეცანით რა, გამოკვლევის საფუძველზე ამ პერიოდში მომხდარ ომებსა და რევოლუციებს, ახალი დროის "გათიშე და იბატონე" პოლიტიკას, დაპყრობების მასშტაბების გაფართოებას, კაპიტალის წამყვან ძალად გადაქცევას, თქვენ შესძელით მისულიყავით გარკვეულ დასკვნებამდე.

თქვენთვის წარმოდგენილი საერთო ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელო მოიცავს პერიოდს XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ამ სახელმძღვანელოს დახმარებით თქვენ გაეცნობით ორი მსოფლიო ომის მიზეზებს, მსოფლიო პოლიტიკის განხორციელების გზებს, მსოფლიო არენაზე პიროვნებების პოზიციებს, ცვლილებებს, რომლებიც ხდება მართვის სისტემაში. თქვენ შეძლებთ განსაზღვროთ კავშირი ახლო წარსულის მოვლენებისა თანამედროვე პერიოდთან ქრონოლოგიური და ლოგიკური მიმდევრობით, მარტივიდან რთულისაკენ. სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები და დავალებები, ასევე ნახატები, ილუსტრაციები, რუკები და სქემები დაგეხმარებათ მოცემული ისტორიული პერიოდის პროცესების დაზუსტებაში, მოვლენების მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრაში.

სახელმძღვანელოში მასალები იწყება აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის გადმოცემით და გრძელდება დასავლეთის ქვეყნების ისტორიის გადმოცემით. ამ სახელმძღვანელოში თქვენ ასევე იპოვით მონაცემებს გლობალიზაციის თანამედროვე პერიოდში კონფლიქტების გადალახვის, ტოლერანტობის ფართო გავრცელების, მშვიდობის აღდგენის ცივილური გზების ძიების შესახებ. თქვენ მოგეცემათ შესაძლებლობა, შეხედოთ მსოფლიოს აზერბაიჯანიდან, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთის კულტურის კერას და ასევე შეხედოთ აზერბაიჯანს მსოფლიოს თვალსაზრისით.

ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო იქნება ის კარი, რომლის შეღებითაც თქვენ აღმოაჩენთ სამყაროს. ახალ სასწავლო წელში გისურვებთ წარმატებებს!

***ავტორები***

# I განყოფილება. მსოფლიოს ქვეყნები XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში

## თავი I. თურქული სამყარო. ყაჯარების ირანი და კავკასია

### 1. ოსმალეთის იმპერია. ყაჯარების ირანი

***XIX** საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთში გრძელდებოდა ორი თურქული დინასტიის – ოსმანებისა და ყაჯარების მმართველობა. ევროპამ და რუსეთმა, რომელთა ინტრიგების სფეროში იმყოფებოდნენ ეს სახელმწიფოები, გადაწყვიტეს დაემორჩილებინათ ისინი სამხედრო გზით. იმავდროულად ამ სახელმწიფოების ხალხებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ხსენებული დინასტიების მმართველობით, დაიწყეს თავისი პროტესტის გამოხატვა.*

**როგორი კვალი დატოვა ისტორიაში ამ პოლიტიკურად დაძაბულმა პერიოდმა? შეძლეს თუ არა ხალხებმა მიეღწიათ თავისი მიზნებისათვის? რით დამთავრდა ევროპისა და რუსეთის მისწრაფება დაუფლებოდნენ სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ოსმალეთის იმპერიისა და ყაჯართა დინასტიის მიერ მართული ირანის ტერიტორიებს?**

კრიზისი–საქონლის ნორმის ზევით გამოშვება, რაც იწვევდა საწარმოთა გაკოტრებასა და წარმოების დაცემას.


**სულთან სელიმ III**


**სულთან მუსტაფა IV**

**ოსმალეთის იმპერია.** XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკა ღრმა კრიზისში იმყოფებოდა. სულთან სელიმ III-მ, რომელიც ეცდებოდა გარდაექმნა ოსმალეთის არმია ევროპულ ყაიდაზე, ვერ გამოიჩინა სიმტკიცე და შეაჩერა რეფორმები. ახლად ფორმირებული კორპუსი დათხოვნილ იქნა. შეთქმულების მონაწილეებმა სელიმ III ტახტიდან ჩამოაგდეს და მუსტაფა IV დასვეს ტახტზე. ფრანგი იმპერატორის ნაპოლეონ I-ის დამპყრობლურმა შემოსევებმა აიძულა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსმალეთის იმპერია დაახლოვებოდა რუსეთს. **1805 წელს** ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის სამხედრო ხომალდებმა მიიღეს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გავლის უფლება.

**იპოვეთ რუკაზე ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები და გაანალიზეთ მათი მნიშვნელობა.**

თუმცა მალე რუსების გააქტიურებამ ვალახიასა და მოლდოვაში დაახლოვა ოსმალეთის იმპერია საფრანგეთთან. რუსეთის ჯარების მიერ აღნიშნული ტერიტორიების დაპყრობა გახდა ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადების მიზეზი. ოსმალეთის სულთანის მცდელობა, რომ დაებრუნებინა ყირიმი საფრანგეთის დახმარებით, წარუმატებელი აღმოჩნდა. **1812 წლის მაისში** ხელმოწერილ იქნა ***ბუქარესტის*** ზავი რუსეთთან. ხელშეკრულების შედეგად ბესარაბია მიეკუთვნება რუსეთს, რუსეთის ხომალდებს მიეცათ მდინარე დუნაიზე მოძრაობის უფლება. მოლდოვა და ვალახია დარჩა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. სერბიას მიეცა თვითმმართველობის უფლება.

**განიხილეთ ბუქრესტის ზავის პირობები. განმარტეთ მისი შედეგები ოსმალეთის იმპერიისათვის.**

1821 წელს ოსმალების წინააღმდეგ ბერძნების წამოწყებული აჯანყებით ისარგებლეს რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, სულთანს მოსთხოვეს საბერძნეთისათვის ავტონომიის მინიჭება. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებმა **1827 წლის ოქტომბერში** დაამარცხეს ოსმალეთის ფლოტი ნავარინის ბრძოლაში. მომდევნო წელს დაიწყო ოსმალეთის სახელმწიფოს ახალი ომი რუსეთთან. დამარცხების შედეგად ოსმალეთის იმპერიამ **1829 წელს ედირნეს ზავს მოაწერა ხელი**, რომლის პირობების თანახმადაც იგისრა ვალდებულება, რომ საბერძნეთისათვის მიენიჭებინა დამოუკიდებლობა, ხოლო ვალახიისათვის, მოლდოვასა და სერბიისათვის-შიგა ავტონომია. უზრუნველყოფილ იქნა რუსეთის სავაჭრო გემების შეუფერხებელი გავლა სრუტეებზე.

ავტონომია–შიგა კანონმდებლობისა და მართვის საქმეებში თვითმართვის უფლებაა.

**რაში მდგომარეობდა ჭეშმარიტი მიზანი იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც ისარგებლეს ბერძნების აჯანყებით, როგორც საბაბით? შეადარეთ ედირნეს ხელშეკრულება ბუქარესტის ხელშეკრულებასთან, შეაფასეთ ედირნეს ხელშეკრულების პირობები, გააკეთეთ დასკვნები.**

პროგრესული ძალები, რომლებსაც ესმოდათ ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამორჩენილობა, აცნობიერებდნენ რეფორმების გატარების აუცილებლობას. პროგრესული ინტელიგენცია ხსნის გზას ხედავდა ხალხის განათლებასა და კონსტიტუციური მმართველობის რეჟიმის დამყარებაში. ამ გზით მათ სურდათ თავიდან აეცილებინათ ევროპის ჩარევა ოსმალეთის იმპერიის საშინაო საქმეებში და შეესუსტებინათ შიგა კრიზისი.

**როგორ გესმის გამოთქმა: პროგრესული ინტელიგენცია? თქვენი აზრით, შეეძლოთ მათ იდეებს ქვეყნის გადარჩენა? მათ ადგილას თქვენ რას შესთავაზებდით ქვეყნის გადარჩენისათვის?**

1839 წლის ნოემბერში სულთან აბდულ-მეჯიდმა მიიღო დადგენილება დასახელებით „ხატტი-შერიფ გიულ ხანე“. რეფორმებმა, რომლებიც გატარდა ამ დადგენილების შემდეგ და გაგრძელდა 1876 წლამდე, ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიაში მიიღეს დასახელება „თანზიმათი-ხეირიია“. რეფორმებით აღფრთოვანებულმა ინტელიგენტებმა სტამბულში შექმნეს საიდუმლო საზოგადოება „ახალი ოსმანები“. მათი მთავარი მიზანი იყო კონსტიტუციური მონარქიის დამყარება.

**რატომ იყო ინტელიგენციის მთავარი მიზანი კონსტიტუციური მონარქიის დამყარება?**

ამ საზოგადოების წევრებმა ხელისუფლებაში მოიყვანეს აბდულჰამიდ II. მან მიიღო კონსტიტუცია. ასე რომ, ოსმალეთის სახელმწიფო გადაიქცა კონსტიტუციურ მონარქიად. თუმცა აბდულჰამიდ II-მ არ დაუშვა „ახალი ოსმანები“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. პარლამენტი დათხოვნილ იქნა და კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა.


სულთან აბდულ–მეჯითი




**განმარტეთ მიზეზი, რომლის გამოც აბდულ-ჰამიდ II-მ არ დაუშვა ახალი ოსმანები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.**

1877-1878 წლების ომში რუსეთთან დამარცხების შემდეგ ოსმალეთის სახელმწიფო იძულებული იყო ხელი მოეწერა სან-სტეფანოს ზავზე. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბულგარეთმა და რუმინეთმა მიიღეს დამოუკიდებლობა, რუსეთმა მიიღო ყარსის ოლქი და ბესარაბია. მაგრამ ინგლისმა, საფრანგეთმა და ავსტრიამ, იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ რუსეთის განმტკიცება ბალკანეთზე, აიძულეს იგი ბერლინის კონგრესზე გადაეხედათ სან-სტეფანოს ხელშეკრულების პირობები.

**1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით:**

- ბულგარეთი დაიყო 3 ნაწილად და დამოუკიდებლობა მიიღო მხოლოდ ჩრდილოეთ ბულგარეთმა. სამხრეთმა ბულგარეთმა მიიღო ავტონომია ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში;
- სერბიამ, ჩერნოგორიამ და რუმინეთმა მიიღეს სრული დამოუკიდებლობა;
- ყარსი, არდაგანი და ბათუმი შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. მაკედონია და აღმოსავლეთ ბეიაზიდი დაუბრუნდა ოსმალეთის სახელმწიფოს;
- ოსმალეთის კუთვნილი ბოსნია და ჰერცეგოვინა გადაეცა ავსტრიას.



**1, 2. კარიკატურები, მიძღვნილი ოსმალეთის იმპერიის დაყოფისადმი**

ომში წარუმატებლობამ გააძლიერა პროგრესული ინტელიგენციის ბრძოლა სულთანის რეჟიმის წინააღმდეგ. სტამბოლში სამხედრო-სამედიცინო სკოლის კურსანტებმა შექმნეს საზოგადოება-"***ერთიანობა და პროგრესი***". ასე ჩაეყარა საფუძველი მოძრაობას "ახალგაზრდა თურქები". მათი ძირითადი მოთხოვნა იყო კონსტიტუციის აღდგენა. **1908 წლის ზაფხულში** დაიწყო "ახალგაზრდა თურქების" აჯანყება. მათ კონსტიტუციის აღდგენისათვის აბდულ-ჰამიდ II-ს წაუყენეს ულტიმატუმი. სულთანმა მიიღო **ულტიმატუმი.** გაცემული იქნა ბრძანებულება კონსტიტუციის აღდგენისა და პარლამენტის მოწვევის შესახებ.

**თქვენი აზრით, რატომ მიიღო სულთანმა ულტიმატუმი, გასცა ბრძანებულება კონსტიტუციის აღდგენისა და პარლამენტის მოწვევის შესახებ?**

**1912 წლის ოქტომბერში** ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ შეიქმნა "***ბალკანეთის კავშირი***", რომელშიც შევიდნენ: ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბია და ჩერნოგორია.

*ულტიმატუმი-ერთი მხარის მიერ (სახელმწიფოს, ჯარების და სხვ.) მეორე მხარისათვის საკუთარი პირობების შესრულების შესახებ მიცემული მკაცრი მოთხოვნები.*

**რუკაზე აჩვენეთ ის ქვეყნები, რომლებიც შევიდნენ "ბალკანეთის კავშირში" განმარტეთ ის მიზეზები, რომლების გამოც მათ შექმნეს ეს კავშირი.**

მოკავშირეებმა ოსმალეთის სახელმწიფოს ომი გამოუცხადეს. ამ ომში, რომელიც ბალკანეთის პირველი ომის სახელითაა ცნობილი, ოსმალეთის იმპერიამ განიცადა მარცხი და ხელი მოაწერა ***ლონდონის*** ზავს. მისი პირობების თანახმად ოსმალეთის იმპერიამ დაკარგა თავისი ყველა ტერიტორია ევროპაში სტამბოლისა და აღმოსავლეთ ფრაკიის გარდა.


სულთან აბდულჰამიდ II

**გაანალიზეთ ლონდონის ზავის პირობების შედეგები ოსმალეთის სახელმწიფოსათვის.**



ბალკანეთის 1-ლი ომი

ვერ მოასწრო დამთავრება ბალკანეთის პირველმა ომმა, რომ მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის მაკედონიის გამო. ბულგარეთის მიერ სერბიისა და საბერძნეთისათვის ომის გამოცხადებით დაიწყო ბალკანეთის

მეორე ომი. ომი დამთავრდა ბულგარეთის მძიმე დამარცხებით. ამით ისარგებლეს "ახალგაზრდა თურქებმა", ედირნე და გარშემო მყოფი ტერიტორიები უკან დაიბრუნეს.

**ბალკანეთის ომები. ბალკანეთის ომების მიზეზები და შედეგები**

**I (1912)**

1. მოხდა ოსმალეთის სახელმწიფოსა და ბულგარეთის, სერბიის, საბერძნეთისა და ჩერნოგორიისაგან შემდგარ ბალკანეთის კავშირს შორის.
2. ოსმალეთის სახელმწიფომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ყველა ტერიტორია დაკარგა და შეიქმნა ალბანეთის საკნიაზო (სამთავრო).

**II (1913)**

1. დაიწყო ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის.
2. სერბია, რუმინეთის და ჩერნოგორია გამოვიდნენ საბერძნეთის მხარეს.
3. ოსმალეთის სახელმწიფომ, გამოუცხადა ომი ბულგარეთს, შეძლო ედირნეს დაბრუნება.
4. ბულგარეთი დამარცხდა.




◀ ბალკანეთის II ომი

**ყაჯარების ირანი.** XIX საუკუნის დასაწყისში ამჟამინდელი ირანი, ავღანეთი და ცენტრალური აზიის ერთი ნაწილი იმყოფებოდა აზერბაიჯანის თურქების ყაჯართა დინასტიის ხელისუფლების ქვეშ. სახელმწიფოს მართავდა შაჰი, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა. პროვინციებს მართავდნენ ფართო უფლებამოსილებების მქონე ხანები.

**გაიხსენეთ, როდის და ვისი ხელმძღვანელობით მოვიდნენ ხელისუფლებაში ყაჯარები. აჩვენეთ რუკაზე ყაჯართა სახელმწიფოს ტერიტორია.**

ამ სახელმწიფოს ტერიტორიების დაუფლებისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. რუსეთი ამ ბრძოლაში ეყრდნობოდა სამხედრო ძალასა და ყაჯარების კუთვნილ ჩრდილო-დასავლეთი სახანოების სეპარატისტულად განწყობილ ხანებს.

**რატომ ეყრდნობოდა რუსეთი ყაჯარების კუთვნილ ჩრდილო-დასავლეთ სახანოების სეპარატისტ ხანებს?**

ინგლისი კი ამლიერებდა თავის გავლენას ყაჯართა ტერიტორიაზე სამხედრო ძალის გამოუყენებლად - პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულების დადების გზით.

ყაჯართა სახელმწიფომ, რუსეთთან ომში მარცხის განცდის შემდეგ აღიარა სამხრეთი კავკასიის გადასვლა რუსეთის ხელისუფლების ქვეშ. რუსეთმა მიიღო დიდი კონტრიბუცია და უფლება შეღავათიან ვაჭრობაზე. ინგლისმა ისარგებლა მუჰამედ-შაჰის წარუმატებელი ლაშქრობით ჰერატზე, მოიპოვა შეღავათები თავისი ვაჭრებისათვის, ყაჯართა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების მუქარის დახმარებით. ამ მომენტში სიტუაციით ისარგებლა ოსმალეთის არმიამ, შევიდა ხუზისტანის ოლქში, გაანადგურა ქალაქი ხურრემშეხრი. 1843 წელს რუსეთისა და ინგლისის შუამდგომლობით ოსმანებსა და ყაჯარებს შორის დაიდო ***ერზერუმის*** ზავი. ზავის პირობების თანახმად, ქალაქი ხურრემაბადი დაუბრუნა ყაჯარებს, ქალაქი სულეიმანიე კი ოსმანთა სახელმწიფოს გადაეცა.



**აბბას მირზა**

**განმარტეთ ერზერუმის ზავის პირობები. გაანალიზეთ მისი პირობების შედეგები ყაჯართა სახელმწიფოსათვის.**

ყაჯართა ტახტის მემკვიდრემ აბბას მირზამ ჩაახშო ამბოხებები იეზდში, ქირმანსა და ხორასანდაქში, აღადგინა ამ ტერიტორიებზე ყაჯართა ხელისუფლება. აბბას მირზას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სიკვდილმა ხელი შეუშალა სახელმწიფოს განმტკიცებას. 1834 წელს ტახტზე ასული მუჰამმედ მირზა-შაჰი თავისი 14-წლიანი მმართველობის პერიოდში ორიენტაციას იღებდა ხან რუსეთზე, ხან ინგლისზე.

**თქვენ როგორ შეაფასებდით მუჰამმედ მირზა-შაჰის ორმაგ პოლიტიკას? რამ აიძულა იგი, მოეხდინა ასეთი პოლიტიკური მანევრირება?**

მისი ხელისუფლების დასასრულის მოახლოებისას დაიწყო ბაბიების მოძრაობა სეიდ ალი მუჰამმედის ხელმძღვანელობით. სეიდ ალი მუჰამმედი თავის თავს უწოდებდა შუამავალს „კარსა“ ალლაჰსა და მის ქმნილებას - ადამიანს შორის (არაბულად „ბაბი“ ნიშნავს კარს).

**რატომ მოიხსენიებდნენ საკუთარ თავს ასე ბაბიების მოძრაობის მონაწილეები? თქვენ როგორ შეგიძლიათ ახსნათ დასახელების ასეთი არჩევანი?**

1848 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ნასრედდინ-შაჰმა გააძლიერა ბრძოლა ბაბიების წინააღმდეგ. სეიდ ალი მუჰამმედი დააპატიმრეს და ჩამოახრჩეს თებრიზში. ნასრედდინ-შაჰმა თებრიზიდან სადრ-აზემის (პირველი მინისტრის) თანამდებობაზე მოიწვია მირზა თაღი-ხანი, რომელსაც უწოდებდნენ



**სეიდ ალი მუჰამმედი**



ნასრედდინ-შაჰი



მუზაფფერედდინ შაჰი

„მთავარ ათაბაგს“. მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ბაბიების მოძრაობა ჩაახშეს. მირზა თაღი-ხანის ინიციატივით სამხრეთ აზერბაიჯანში შეიქმნა ტელეგრაფი, გამოიცა პირველი გაზეთი და გაიხსნა უნივერსიტეტი. შეიქმნა მანუფაქტურები და დაიწყო სპილენძის საბადოების დამუშავება ყარადაღში. რელიგიურმა მოღვაწეებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მირზა თაღიხანის პოლიტიკით დაიწყეს მისი ხალხის თვალში დამცირება. ამის შედეგად იგი ჩამოაცილეს დაკავებულ თანამდებობას და ჩამოახრჩვეს.

**გაანალიზეთ მირზა თაღი-ხანის მიერ გატარებული ღონისძიებები. რატომ იყვნენ რელიგიური მოღვაწეები უკმაყოფილონი მისი ინიციატივით გატარებული ღონისძიებებისა? განმარტეთ.**

1896 წელს ხელისუფლებაში მოვიდა მუზეფერედდინ შაჰი. იგი მეცნიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან თებრიზში გაზეთის გამოცემის უფლება მისცათ. გაუმჯობესდა არმიის მომარაგება. აზერბაიჯანში შიმშილობის აღმოფხვრის მიზნით, რუსეთიდან მიღებული მარცვლეულის მოსახლეობაზე იაფად მიყიდვას მოწონებით შეხვდნენ.

1906 წლის ბოლოს ყაჯართა სახელმწიფოში კონსტიტუციის მიღებისათვის გაძლიერებული მეშრუთე (კონსტიტუცია) მოძრაობის შედეგად მუზეფფერედდინ-შაჰმა კონსტიტუცია მიიღო. თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასეულმა მისმა შვილმა მუჰამმედალი-შაჰმა არ დაუშვა ამ კანონის განხორციელება. ეს გახდა ბიძგი ქვეყანაში "მეშრუთე" მოძრაობის გაფართოებისთვის. მცირეწლოვანი შვილის ახმედის სასარგებლოდ მუჰამმედალი-შაჰმა უარი თქვა ტახტზე და ქვეყანა დატოვა.

**რა მიზეზით თქვა უარი მუჰამმედალი-შაჰმა კონსტიტუციურ მონარქიაზე გადასვლაზე? გამოთქვით თქვენი აზრი.**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთსა და ინგლისს შორის გავლენის სფეროებად დაყოფილი ყაჯართა სახელმწიფოს XX საუკუნის დასაწყისში მძიმე დრო ედგა. იმყოფებოდა რა ამ დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროში, ყაჯარებმა აჰმედ-შაჰის მართვის პერიოდში კიდევ უფრო დაკარგეს თავისი პოლიტიკური ავტორიტეტი.

**კითხვები და დავალებები:**

1. განმარტეთ XIX საუკუნის დასაწყისში ომებში ოსმანთა იმპერიის დამარცხების მიზეზები.
2. განსაზღვრეთ ბალკანეთის პირველი და მეორე ომების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები და მოახდინეთ დასკვნების კომენტირება.
3. შეადგინეთ ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიური ცხრილი.
4. შეადარეთ "ახალგაზრდა თურქების" მოძრაობა ბაბიების მოძრაობასთან. გაანალიზეთ მათ შორის არსებული მსგავსება.

5. განსაზღვრეთ ბალკანეთის ომების შედეგები ოსმანთა იმპერიისათვის.
6. შეაფასეთ ის სიახლეები, რომლებიც შემოიტანა მუზაფფერედდინ-შააჰმა ყაჯართა სახელმწიფოს მართვაში.
7. გაანალიზეთ ფაქტორები, რომლებმაც შექმნეს პირობები რუსეთისა და ინგლისის დაახლოებისათვის. რაში მდგომარეობდა მათი პოლიტიკური გეგმები ყაჯარებთან მიმართებაში?
8. შეადგინეთ სქემატური ცხრილი, რომელიც ასახავს მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებს იმ პროცესებში, რომლებიც ხდება ოსმანთა და ყაჯართა პოლიტიკურ ცხოვრებაში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.

## 2. კავკასია და თურქული სამყარო

*XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი იყო რთული დრო კავკასიისა და თურქული სამყაროსათვის. რუსეთი ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას სამხრეთ კავკასიის დაპყრობას თავისი გავლენის გასაძლიერებლად შავი და კასპიის ზღვების აუზში, ახლო და შუა აღმოსავლეთში. კავკასია და თურქული სამყარო აღმოჩნდნენ საფრთხესთან პირისპირ.*

**თქვენი აზრით, რომელ ნაბიჯებს გადადგამს კავკასია და თურქული სამყარო ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად? რუსეთის გეგმები ამ ხალხებს რომელი საფრთხის პირისპირ დატოვებს? რასი მდგომარეობდა კავკასიისა და თურქული სამყაროს ხალხების ისტორიული როლი ამ პერიოდში?**

**კავკასია.** კავკასიის დაპყრობის გზაზე პირველი ნაბიჯი გახდა აღმოსავლეთ საქართველოს მიერთება რუსეთთან. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფო ლიკვიდირებულ იქნა და გადაიქცა რუსეთის პროვინციად. რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ყაჯართა ომების შედეგად სამხრეთ კავკასიის უმრავლესი ნაწილების რუსეთის მხრიდან დაპყრობა დასრულდა. დაპყრობილ ტერიტორიებს კავკასიაში რუსი ჯარების მთავარსარდალი მართავდა. რუსი ოფიცრები ინიშნებოდნენ პროვინციების კომენდანტებად და ცხოვრებაში ატარებდნენ სამხედრო-კოლონიალურ მმართველობას. იმ ოლქებში, სადაც ცხოვრობდნენ მუსლიმანები და განსაკუთრებით თურქები, მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი დამცირება ხდებოდა.

**რას ნიშნავს მართვის სამხედრო-კოლონიალური სისტემა? თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური გრძნობების დამცირებას?**

რუსეთსა და ყაჯართა სახელმწიფოს შორის მეორე ომის შედეგად დაპყრობილ იქნა ნახჩევანისა და ირევანის სახანოები, ხოლო რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად - ახალციხე და ახალქალაქი. ამრიგად, დამთავრდა სამხრეთ კავკასიის დაპყრობა. რუსეთის ხელისუფლების მიერ, დაპყრობილ ტერიტორიებზე ირანიდან და ოსმალეთის იმპერიიდან სომხების გადმოსახლებამ და განთავსებამ მიგვიყვანა სამხრეთ კავკასიაში, ეთნიკურ და დემოგრაფიულ სიტუაციებში სერიოზულ ცვლილებებთან.

**რა მიზანი ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებას სომხების გადასახლების პოლიტიკის გატარებაში?**




**სამხრეთ კავკასია (1801–1878)**

> **მიურიდიზმი–რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მიმართული ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელწოდების მაცნე პირობითი ტერმინი.**

დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი რეგიონების დაპყრობა. **1864 წლამდე** გაგრძელებული ბრძოლები ისტორიაში შევიდა როგორც "***კავკასიის ომი***". დაპყრობილ ტერიტორიებზე აშენდა ციხე-სიმაგრეები გროზნი და სხვა. მთიანი აულების სრული განადგურების თავიდან აცილებისა და ადგილობრივი მცხოვრებლების ბარში ჩამოსახლების თავიდან ასაცილებლად, მთიელები აღსდგნენ თავისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

XIX საუკუნის 20-იან წლებში ბრძოლა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ გახდა განსაკუთრებით შეუპოვარი. ამ ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები გაერთიანდნენ **მიურიდიზმის*** დროშის ქვეშ. ამ მოძრაობის ხელმძღვანელობაში გამოირჩეოდა შეიხი შამილი. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც განთავისუფლებული იქნა რუსი დამპყრობლებისაგან მან შექმნა ძლიერი რელიგიური სახელმწიფო-იმამატი. ამით თავიდან აიცილეს რუსეთის არმიის შეტევა ჩრდილოეთ კავკასიის მთიან რაიონებში.



**შეიხ შამილი**

შეიხ შამილი იყო ძალიან ჭკვიანი და გამოცდილი მხედართმთავარი. მის მიერ შექმნილ სახელმწიფოში, ყველაფერი ექვემდებარებოდა მტერთან ბრძოლის ინტერესებს. ჯარში დამყარებული იყო რკინისებრი დისციპლინა.მთიელებს გამათავისუფლებელ ბრძოლაში ეხმარებოდნენ აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რეგიონების მოსახლეობა და ოსმალეთის სახელმწიფო. რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ მოხალისეები ჭარ-ბელაქანიდან, შექიდან, კუბიდან, ბორჩალოდან და აზერბაიჯანის სხვა რეგიონებიდან.

თუმცა ხანგრძლივი სამხედრო მოქმედებებით უზარმაზარი ადამიანური და მატერიალური რესურსების მფლობელ რუსეთთან

ამოიწურა მთიელი ხალხების ძალები. **1859 წელს** შეიხ შამილი იძულებული გახდა შეეწყვიტა შეიარაღებული წინააღმდეგობა. 1864 წელს ლიკვიდირებული იქნა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა და მთელი კავკასია შეყვანილი იქნა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

**გაანალიზეთ ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს შეიხი შამილი, რომ შეეწყვიტა წინააღმდეგობა.**

**თურქული სამყარო.** ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში რუსეთმა დაიპყრო ყაზახეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი-მცირე და საშუალო ჟუზი. ***1846 წელს დიდი ჟუზის*** დაპყრობით დამთავრდა ყაზახეთის დაპყრობა. ყაზახი ხალხი აღსდგა დამპყრობელ რეჟიმთან საბრძოლველად, რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. მთელ ქვეყანაში ხდებოდა სახალხო გამოსვლები. რუსეთის ეროვნულ-კოლონიალური უღლის წინააღმდეგ მიმართულ სახალხო მოძრაობას ხელმძღვანელობდა ქენესარ ქასიმოვი. თუმცა რუსეთის უპირატესობა სამხედრო ძალაში და დახმარება, რომელსაც უწევდნენ მას ზოგიერთი ადგილობრივი სულთანები, გახდა აჯანყების დამარცხების მიზეზები.




მეფის მთავრობის მიერ 1859–1864 წლებში ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის დაპყრობასთან დაკავშირებით დაწესებული მედალი

**განმარტეთ აჯანყების დამარცხების მიზეზები. შეადარეთ რუსეთის კოლონიალური წნეხის წინააღმდეგ ეს მოძრაობა ბაბიების მოძრაობას.**

XIX საუკუნის შუა ხანებში ცენტრალური აზია გადაიქცა რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის კონკურენციის არენად. ამ პერიოდში ცენტრალურ აზიაში არსებობდნენ ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა კოკანდისა და ხივეს სახანოები, ბუხარის საემირატო. ეს რეგიონი იქცევდა რუსეთის ხელისუფლების ყურადღებას, როგორც ნედლეულის წყარო და გასაღების ბაზარი. რუსეთმა, ისარგებლა რა სახანოებს შორის ომებით, გააძლიერა თავისი დამპყრობლური პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში. რუსეთის არმია შევიდა კოკანდის სახანოში და დაიპყრო ცენტრალური აზიის ყველაზე დიდი ქალაქი-დაშქენდი. **1867 წელს** დაპყრობილ ტერიტორიებზე შეიქმნა თურქესტანის საგენერალ-გუბერნატორო. მომდევნო წელს რუსეთის არმიამ დაიპყრო ბუხარა და სამარყანდი. მალე დაიდო ხელშეკრულება ბუხარის ემირთან და ხივეს ხანთან. ისინი გადავიდნენ რუსეთის მფარველობის ქვეშ. დაპყრობილ იქნა თურქმენეთის ტერიტორია. **1895 წელს** პამირის დაპყრობით დამთავრდა ცენტრალური აზიის დაპყრობა.




მეფის მთავრობის მიერ კოკანდის სახანოს დაპყრობასთან დაკავშირებით დაწესებული მედალი

**რაში მდგომარეობდა რუსეთისათვის ცენტრალური აზიის დაპყრობის მნიშვნელობა? განსაზღვრეთ მკვიდრი მოსახლეობისათვის ამ დაპყრობის შედეგები.**

რუსეთის მიერ ყაზახეთში და ცენტრალურ აზიაში გატარებული პოლიტიკის არსი იყო ეროვნულ-კოლონიალური წნეხი.

**განმარტეთ იმ სიახლეთა მიზეზები, რომლებიც გაჩნდა ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის ცხოვრებაში რუსეთის მხრიდან დაპყრობის შემდეგ.**

**ასე რომ, დაპყრობის შემდეგ:**

- ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის მეურნეობის დარგები ჩართული იყვნენ რუსეთისა და მსოფლიო საქონელბრუნვაში;
- რეგიონის ეკონომიკაში შეიქმნა პირობები კაპიტალისტურ ურთიერთობებზე გადასასვლელად;
- ორენბურგ-დაშქენდი რკინიგზის ექსპლუატაციაში გადაცემის შემდეგ რუსეთის ცენტრალურ რეგიონებთან გაიზარდა საქონელბრუნვა;
- დაჩქარდა მოსახლეობის მომთაბარული ცხოვრების წესიდან ბინადრულ წესზე გადასვლა.




**მეფის მთავრობის მიერ ცენტრალური აზიაში რუსული არმიის ლაშქრობასთან დაკავშირებით დაწესებული მედალი**

1905 წლის იანვარში პირველი რუსული რევოლუციის დაწყების შემდეგ იმპერატორმა "17 ოქტომბრის მანიფესტით" გამოაცხადა დემოკრატიული თავისუფლებები. ეს თურქი-მუსლიმი ხალხებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლების მიზეზი გახდა, თურქი ხალხების ეროვნული ბურჟუაზია, მიწათმფლობელები და სასულიერო პირები განსაზღვრული შეღავათების მოპოვებას ცდილობდნენ. წინა პლანზე იდგა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეროვნული და რელიგიური უფლებების აღდგენა. 1905-1906 წლებში ჩატარებული სრულიად რუსეთის მუსლიმანთა ყრილობებმა თურქი ხალხების ორგანიზებულობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

**რა მნიშვნელობა ჰქონდა თურქული სამყაროსათვის სრულიად რუსეთის მუსლიმანთა ყრილობებს?**

თურქი ხალხებით დასახლებული რეგიონებიდან, რუსეთის სახელმწიფო დუმაში არჩეულმა დეპუტატებმა, თავიანთი მოთხოვნების მთავრობამდე მიტანისათვის, დუმაში შექმნეს მუსლიმანური ფრაქცია. რევოლუციურმა გამოსვლებმა კავკასიაში მიიღეს ფართო მასშტაბი. ამასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვალი იძულებული იყო მხარეში შემოეტა საგანგებო მდგომარეობა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ სომეხი ნაციონალისტები შეუდგნენ აქტიურ საქმიანობას, რომ აზერბაიჯანელებითა და ქართველებით დასახლებული კავკასიის ოლქებისაგან, ასევე ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთი ვილაიეთებისაგან შეექმნათ გამოგონილი სახელმწიფო "დიდი სომხეთი". რუსეთის მმართველმა წრეებმა, ოსმალეთის იმპერიის მიმართ დამპყრობლური გეგმების განხორციელებისათვის შეაიარაღეს მის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები და გამოიყენეს ისინი თავიანთი მიზნებისათვის.

**რაში მდგომარეობდა რუსეთის იმპერიის მიზანი, სომხების შეიარაღების დროს?**

კავკასიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციების დაწყების შემდეგ სომხური შეიარაღებული რაზმები ზურგში გააქტიურდნენ. მათ დაიწყეს თურქი-მუსლიმანი მოსახლეობის განადგურება, ოსმალეთის არმიისათვის იარაღისა და სურსათის მიმტან ქარავნებზე თავდასხმა. ამასთან დაკავშირებით **1915 წლის 24 აპრილს** ოსმალეთის სახელმწიფომ გამოიტანა გადაწყვეტილება სომხური რაზმების მეთაურების დაპატიმრების შესახებ, ხოლო იმავე წლის მაისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოსმალეთის იმპერიის სომეხი მოსახლეობის ფრონტისპირა ოლქებიდან ქვეყნის შიგა რაიონებში გადასახლების შესახებ. შემდგომ ათწლეულებში სომეხმა პოლიტიკოსებმა ეს მოვლენები შეაფასეს როგორც სომხების „მიზანმიმართული განადგურება სახელმწიფო დონეზე" თურქების მხრიდან და წამოაყენეს პრეტენზიები ეგრეთწოდებულ "სომეხთა გენოციდთან" დაკავშირებით.

**დაამტკიცეთ "სომეხთა გენოციდის" გამოგონილი ხასიათი.**

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთის თურქებით დასახლებულ ოლქებში, გატარდა რიგი ღონისძიებები ფრონტისათვის აუცილებელი ნედლეულისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის. იმის გამო, რომ იმპერიის ხელისუფლება არ ენდობოდა მუსლიმან ხალხებს, მათ არ იწვევდნენ არმიაში. ამის ნაცვლად მათ ახდევინებდნენ განსაკუთრებულ გადასახადს. თუმცა ფრონტზე რუსეთის არმიის მრავალრიცხოვანი დანაკარგების გამო მუსლიმანი მოსახლეობა მასიური წესით საქმდებოდა ზურგის სამუშაოებზე. 1916-1917 წლებში ყაზახეთში და ცენტრალურ აზიაში მოხდა აჯანყებები მობილიზაციისა და რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ აჯანყებებს შორის განსაკუთრებით ძლიერი იყო სახალხო მოძრაობა ამანგელდი იმანოვის ხელმძღვანელობით, რომელშიც მონაწილეობდა 50 ათას კაცზე მეტი. სახალხო მოძრაობა მეფის რეჟიმის მიერ შეუბრალებლად იქნა ჩახშობილი.



**ამანგელდი იმანოვი**

**კითხვები და დავალებები:**

1. რატომ ანიჭებდა რუსეთი დიდ მნიშვნელობას კავკასიის დაპყრობას?
2. განმარტეთ კავკასიის ხალხების მურიდიზმის ისლამური მოძრაობის დროშის ქვეშ გაერთიანების მიზეზები.
3. შეაგროვეთ მასალები და მოამზადეთ პრეზენტაცია შეიხ შამილის შესახებ.
4. განსაზღვრეთ და გაანალიზეთ "კავკასიის ომის" გამათავისუფლებელი ბრძოლის მიზეზები და შედეგები.
5. რა ცვლილებები მოხდა ყაზახეთსა და ცენტრალური აზიის სამეურნეო ცხოვრებაში რუსეთის მიერ მათი დაპყრობის შემდეგ?
6. დაამტკიცეთ ოსმალეთის იმპერიის, სომხების ქვეყნის შიგა ოლქებში გადასახლების შესახებ გადაწყვეტილების სისწორე.
7. შეადარეთ "კავკასიის ომი" ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელსაც ჰქონდა ადგილი XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში და რუსეთის თურქებით დასახლებულ ოლქებში.

## თავი II. აზიის ქვეყნები

### 3. ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია

*XIX საუკუნეში ჩინეთში, ინდოეთსა და იაპონიაში შენარჩუნებული იყო ფეოდალური წეს-წყობილება. დიდი ბრიტანეთი ჩინეთთან და ინდოეთთან ახორციელებდა ვაჭრობას ოსტ-ინდური კომპანიის საშუალებით. მსოფლიო ჰეგემონიაზე მისწრაფების მქონე ინგლისი და აშშ ინარჩუნებდნენ ამ ტერიტორიებს თავისი გავლენის ქვეშ, ძარცვავდნენ მათ სიმდიდრეს. თავისი კოლონიალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის ისინი იყენებდნენ ყველა შესაძლო საშუალებას.*

**ბრძოლის რომელი ხერხები აირჩიეს ამ ქვეყნების ხალხებმა და როგორ გამოხატეს მათ კოლონიალურ სახელმწიფოთა ბატონობის წინააღმდეგ პროტესტი? რომელი ფაქტები არის დაფიქსირებული წყაროებში ისტორიის ამ მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ?**



კარიკატურა ჩინეთის გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ

XIX საუკუნეში **ჩინეთში** ბატონობდა მანჯურთა დინასტია და ფეოდალური წესები. ინგლისელების მიერ ჩინეთში ოპიუმით ვაჭრობის გაფართოებამ გამოიწვია ჩინეთის მთავრობის უკმაყოფილება. იმპერატორის სპეციალური წარმომადგენელი ჩამოვიდა ქალაქ კანტონში, მოახდინა მთელი ოპიუმის კონფისკაცია და დაწვა იგი. ამით უკმაყოფილო დიდმა ბრიტანეთმა **1840 წელს** დაიწყო ***პირველი ოპიუმის ომი*** ჩინეთის წინააღმდეგ. კარგად მომზადებულმა ინგლისურმა არმიამ ალყა შემოარტყა კანტონს. აშშ-მა, გამოაცხადეს სამართლიანად ინგლისელების ომი ჩინეთის წინააღმდეგ, გაგზავნეს თავისი ესკადრა ჩინეთის ნაპირებისაკენ. რიცხობრივად და შეიარაღების მხრივ უპირატესობის მქონე ინგლისელებმა დაამარცხეს ცუდად შეიარაღებული ჩინელები, რომლებსაც არ ჰყავდათ ერთიანი ხელმძღვანელობა და არ ჰქონდათ საბრძოლო მოქმედების გეგმა. **1842 წელს** ჩინეთი იძულებული იყო ხელი მოეწერა ***ნანკინის*** ზავისათვის. ზავის პირობების თანახმად ინგლისელებს მიეცათ უფლება ჩინეთის ხუთ ქალაქში გაეხსნათ საკონსულო და ეწარმოებინათ თავისუფალი ვაჭრობა. ამავდროულად უცხოელებმა მიიღეს უფლება ჩასახლებულიყვნენ ჩინეთში და აქ ჰყოლოდათ თავისი არმია. ამით საფუძველი ჩაეყარა „ღია კარის" პოლიტიკას. პირველი ოპიუმის ომმა საფუძველი ჩაუყარა ჩინეთის ნახევრაკოლონიად გადაქცევას. ინგლისის შემდეგ არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებებს ჩინეთთან ხელი მოაწერეს აშშ-მა, საფრანგეთმა და რუსეთმა.

**გაანალიზეთ ნანკინის ზავის პირობები. განსაზღვრეთ ამ ხელშეკრულების შედეგები ჩინეთისათვის.**

**1856 წელს** დაიწყო ***მეორე ოპიუმის ომი.*** ინგლის - საფრანგეთის სამხედრო რაზმებმა ალყა შემოარტყეს ჩინეთის ქალაქ კანტონს. ისინი მოითხოვდნენ წინა ხელშეკრულებების გადახედვას, ინგლისური გემებისათვის ჩინეთის მდინარეებზე მიმოსვლის უფლებას. ინგლის-საფრანგეთის ჯარები, რომლებსაც არ შეხვედრიათ სერიოზული წინააღმდეგობა, 1860 წლის ოქტომბერში შევიდნენ პეკინში. დამარცხებული ჩინეთის მთავრობა იძულებული გახდა

დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებებისათვის მოეწერა ხელი. პეკინის ხელშკრულებების პირობის მიხედვით, ოპიუმის გაყიდვა ღიად გამოაცხადა. ჩინეთი იძულებული გახდა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისათვის "***კომპენსაცია***" გადაეხადა.

კომპენსაცია – დამარცხებული ქვეყნის მიერ გამარჯვებული ქვეყნისათვის მისაცემი თანხა.

**განმარტეთ პეკინის ხელშეკრულების პირობები და შეადარეთ ნანკინის ხელშეკრულებას.**

უცხოური ძალადობა, ფეოდალების თვითნებობა, მანჯურების ბატონობა, გადასახადების სიმძიმე ხალხთა მასების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ხალხის მანჯურების კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლას დაერქვა "***ტაიფინების მოძრაობა***" (1850-1864). მოძრაობის ხელმძღვანელი იყო ხუნ სუცუანი. იგი, თანაბარი უფლებებს იდეას უსადაგებდა (მოუწოდებდა) და "***ზებუნებრივი საერთო განვითარების სახელმწიფოს***" ***("taypin tyango")*** შექმნა უნდოდა. მანჯურიის წარმომავლობის ხელისუფლების დამხობის მსურველმა ტაიფინებმა გადასახადები შეამცირეს, ღატაკების ვალები გააუქმეს, ქალებს მამაკაცებთან თანაბარი უფლებები მისცეს.

**რა იყო უცხო ქვეყნების ინტერესი ტაიფინების მოძრაობის ჩახშობაში?**

თუმცა მონარქია და ფეოდალური წესები არ გაუქმებულა. აჯანყებულებმა ქალაქი ნანკინი აიღეს, ხუნ ხუცუანი იმპერატორად გამოაცხადეს. შექმნილმა მდგომარეობამ დიდი ქვეყნების სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა დააჩქარა. ჩინეთისაგან მორიგი დათმობების მსურველი დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და აშშ აჯანყების ჩახშობით ხელისუფლებს დაეხმარა. 1864 **წელს** ნანკინი აიღეს და აჯანყება ჩაახშეს. ტაიფინების მოძრაობა ჩაიხშო, მაგრამ ქვეყანაში კაპიტალიზმის მოსვლისა და განვითარების გზა გაიხსნა.



**ტაიფინები ბრძოლაში**

**რა იყო უცხო ქვეყნების ინტერესი ტაიფინების მოძრაობის ჩახშობაში?**

XIX საუკუნის ბოლო წლებში ჩინეთის დასუსტებით მოსარგებლე დამპყრობლებმა იქ „გავლენის სფეროდ" დაყოფის პოლიტიკა შეიმუშავეს .ქვეყნის გადანაწილების გზაზე პირველი ნაბიჯი დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს დახმარებით იაპონიამ გადადგა. კორეისათვის ***ბრძოლა ჩინეთ–იაპონიის*** (1894-1895) ომის მიზეზი გახდა. 1895 წელს დადებული ზავის მიხედვით, ჩინეთმა კორეის დამოუკიდებლობა ცნო. ტაივანისა და ლიაოდუნის ნახევარკუნძულები იაპონიას გადაეცა, ჩინეთმა კომპენსაცია გადაიხადა. ომში წარუმატებლობამ ჩინეთის გადანაწილება დააჩქარა. აშშ-ს მიერ გამოცხადებული "***ღია კარის***" პოლიტიკის



სუნ იაცენი

მიხედვით ჩინეთში არსებული ყველა „გავლენის სფერო“ აშშ-დან შემოტანილი საქონლისათვის ღია უნდა ყოფილიყო. ეს იყო აშშ-ს ჩინეთში გამაგრების დასაწყისი.

**რატომ იყო დაინტერესებული აშშ თავისი საქონლის ჩინეთში შეტანით? განმარტეთ ამ ინტერესის პოლიტიკური მიზეზები.**

XX საუკუნის დასაწყისში ჩინეთი ჯერ კიდევ ნახევრად-კოლონიალური იყო. მანჯურიის დინასტიის იმპერატორების შეუზღუდავი ხელისუფლება და უცხო ქვეყნების დაპყრობითი პოლიტიკა ქვეყანაში, დასაწყისშივე ხელისშემშლელი იყო ეროვნული ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის განვითარების გზაზე. ეს გახდა ხალხთა მასების უკმაყოფილების და აჯანყებების მიზეზი. აჯანყებებმა მოიცვა ქვეყნის მეტი წილი პროვინციებისა. სუნ იაცენის "***გაერთიანებული კავშირი***“-ს სახელწოდებით საიდუმლოო ორგანიზაციის შექმნამ აჯანყებულებს ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება მისცა და რევოლუცია დაიწყო. 1911 წელს გამარჯვებულმა აჯანყებულებმა ქვეყანა გამოაცხადეს რესპუბლიკად. სუნ იაცენი აირჩიეს პრეზიდენტად. თუმცა, იგი გადადგა უცხო ქვეყნების და “გაერთიანებული კავშირის“ წევრების ზეწოლის შედეგად. სუნ იაცენმა შეასრულა ჩინეთის რევოლუციის წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის-მონარქიის დამხობის და რესპუბლიკის შექმნის მოვალეობა.

**შეაფასეთ ჩინეთის რევულუციის შედეგები–მონარქიის დამხობა და რესპუბლიკის შექმნა. გაარკვიეთ მაშინდელი ჩინეთის რესპუბლიკის ტერიტორია. ეს ტერიტორია შე–ადარეთ თანამედროვე ჩინეთის რესპუბლიკის ტერი–ტორიას.**



სიფაჰები ბრძოლაში

***ინდოეთი.*** დიდი ბრიტანეთის მიერ ინდოეთის ოკუპაცია განხორციელდა ოსტ-ჰინდ ფირმის საშუალებით. ინგლისელების ექსპლუტაციების ძირითადი ფორმები ინდოელ ხალხზე დაკისრებული მძიმე გადასახადები, ეროვნული ტანჯვა, ხალხის რიგებიდან გამოსული სამხედრო მოსამსახურეების მეორეხარისხოვან სამხედროდ ცნობა, ინდოეთში ნაწარმი საქონლის გაყიდვა და იქიდან ნედლეულის გატანა იყო. დიდი ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით XIX საუკუნის 30-იან წლებში ინდოეთში შაქრის ლერწამისა და ბამბის პლანტაციების გაშენება დაიწყო. ***1849 წელს ფანჯაბის დაპატიმრებით*** დამთავრდა ქვეყნის ოკუპაცია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამთავრდა ინდოეთის ნედლეულის წყაროდ გადაქცევის პროცესი. ინდოელების ძალდატანებით გაქრისტიანება გახდა ქვეყანაში აჯანყების მიზეზი. აჯანყება დაიწყო 1857 წლის მაისში ქალაქ მირუსში ინგლისის ჯარში მომსახურე ჯარისკაცების გამოსვლით. აჯანყებულებმა დელი ხელში ჩაიგდეს მოღოლის დინასტიის წარმომადგენელი შაჰი ბაჰადირ II ხელმწიფედ გამოაცხადეს. კოლონიზატორების წინააღმდეგ აჯანყება ეროვნულ განმათავისუფლე-

ზელ მოძრაობაში გადაიზარდა. ხმელეთიდან და ზღვიდან ინგლისელების სამხედრო ძალების შეტევის შედეგად 1859 წელს აჯანყება ჩაახშეს. მოსახლეობის ზიზღის სამიზნედ ქცეული ოსტ-ჰინდ ფირმა გაუქმდა.

**განმარტეთ ოსტ-ჰინდ ფირმის გაუქმების დადებითი და უარყოფითი მხარეები. გაარკვიეთ მისი როლი ინდოეთის ცხოვრებაში.**

***1885 წელს შეიქმნა საერთო ინდური ეროვნული კონგრესი.*** კონგრესმა გააერთიანა ეროვნული ბურჟუაზიის ზედა ფენები და ნაციონალური მოხელეები. "გათიშე და იბატონე-"ს პრინციპით მოქმედმა ინგლისელებმა ინდური ფრაქციის წარმომადგენელი ტილაკსა და მუსლიმანების ლიდერ სეიდ აჰმადს შორის წინააღმდეგობები გაამწვავეს.



ბალკანკადჰარ ტილაკი

**რა მიზანს ემსახურებოდა ინგლისელების მიერ მოსახლეობის დაპირისპირება?**

**იაპონია.** იაპონიის მმართველმა წრეებმა XVIII საუკუნის შუა ხანებში ქვეყნის "***ჩაკეტილ ქვეყანად***" გამოაცხადების ბრძანება გასცეს, მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა, ჰოლანდიამ და აშშ-მა იაპონიას ჩინეთის მდგომარეობაში ჩაგდებით დაემუქრნენ და აიძულეს, რომ ხელი აეღო კარჩაკეტილების პოლიტიკაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში იაპონია იძულებული გახდა უარი ეთქვა თვითიზოლაციის პოლიტიკაზე.



სეიდ აჰმედი

**განმარტეთ რას ნიშნავს საკუთარი ქვეყნის "ჩაკეტილ ქვეყანად" გამოცხადება? გაარკვიეთ ამ პოლიტიკის შედეგები.**

ხალხის გამოსვლებით შეშინებულმა ფეოდალებმა "საიმპერატორო ხელისუფლების აღდგენის" ლოზუნგით მიიღეს მთავრობის გადატრიალების გადაწყვეტილება. მუციხიტო დასვეს იმპერატორის ტახტზე. სიოკის რეჯიმი დაემხო. **1868 *წელს იაპონიაში ბურჟუაზიული რევოლუცია*** მოხდა, ხოლო **1889 *წელს*** მიღებული პირველი კონსტიტუციის მიხედვით იაპონია ჩამოყალიბდა კონსტიტუციურ მონარქიად.



იმპერატორი მუციხიტო

**იაპონია** → **1868 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციის შედეგად:**

- **სამთავროები გაუქმდა;**
- **იმპერატორის ხელისუფლება გაძლიერდა;**
- **დედაქალაქი ტოკიოში გადაიტანეს;**
- **იენა ერთიან ვალუტად გადაიქცა;**
- **1889 წელს კონსტიტუცია იქნა მიღებული.**




**იაპონია XX საუკუნის დასაწყისში**

**პროტექტორატი–უცხო საფრთხისგან თავდაცვის მიზეზით, დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩაგდებულ ქვეყანას ეწოდება.**

შიდა ბაზრის შეზღუდვების შედეგად იაპონიაში გაიზარდა ოკუპაციისკენ მიდრეკილება, შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო ტერიტორიული გავლენისათვის რუსეთთან წინააღმდეგობა. რუსეთის მიერ ლიაოდუს ნახევარკუნძულის იჯარით აღებამ და აღმოსავლეთ ჩინეთში რკინიგზის გაყვანამ, უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა. **1902 წელს** დადებულმა ინგლის-იაპონიის ხელშეკრულებამ გააძლიერა რუსეთთან ომის მზადება.

1904 წლის იანვარში კორეის ჯემულპოს პორტში იაპონიის ფლოტის მიერ რუსეთის გემების ჩაძირვით ომი დაიწყო. იმავე წლის ზაფხულში ლიაოინის მიდამოებში რუსეთის არმიამ მარცხი განიცადა იაპონელებთან. იაპონიის არმიისა და ფლოტის პორტ-არტურის ციხესიმაგრის ხელში ჩაგდებამ და სუსიმას საზღვაო ბრძოლაში გამარჯვებამ გადაწყვიტა ომის ბედი. **1905 წლის აგვისტოში** დაიდო აშშ-ის ქ. პორტსმუტში სამშვიდობო ხელშეკრულება. რუსეთმა სამხრეთ მანჯურიაში და კორეაში იაპონიის ერთპიროვნული ბატონობა ცნო. სახალინის სამხრეთი ნაწილი გადაეცა იაპონიას.

**განიხილეთ პორტსმუტის ზავის პირობები. რა მნიშვნელობა ჰქონდა იაპონიისათვის ამ ზავს?**

1910 წელს ხელმოწერილი იაპონია-კორეის ხელშეკრულების საფუძველზე, კორეა გადაიქცა იაპონიის პროტექტორად.

**კითხვები და დავალებები:**

1. გვიჩვენეთ ოპიუმის ომების დამახასიათებელი თავისებურებები. შეადარეთ, თანამედროვე დროს მომხდარი ასეთი მოვლენები.
2. გაარკვიეთ ტაიპინების მოძრაობის განსხვავება მანამდე მომხდარ მოძრაობებთან.
3. განმარტეთ ტაიპინების მოძრაობის მნიშვნელობა ჩინელებისათვის.
4. გაარკვიეთ ინგლისელებისათვის დამახასიათებელი თვისებები ინდოეთში.
5. გვიჩვენეთ სიპაჰილების აჯანყების დადებითი და უარყოფითი მხარეები.
6. რატომ გაწირეს იაპონელმა ფეოდალებმა სიოგუნის რეჟიმი?
7. შეადარეთ იაპონიასა და რუსეთში ჩატარებული ბურჟუაზიული რეფორმები.
8. გამოააშკარავეთ რუსეთისა და იაპონიის წინააღმდეგობის მიზეზები.თქვენი აზრით, სამუდამოდ აღმოიფხვრა თუ არა ეს წინააღმდეგობები? გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება.

# თავი III. ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები

## 4. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი

***XIX** საუკუნეში ინგლისი და საფრანგეთი თავის ძლიერებას ინარჩუნებდნენ. კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების მქონე ეს ქვეყნები ნედლეულის და მუშახელის შეძენის მიზნით სხვადასხვა გზებს მიმართავდნენ. ამიტომ ორივე ქვეყანა დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას არ ერიდებოდა.*

**როგორი ცვლილებების მიზეზი გახდა მათი ასეთი პოლიტიკა მსოფლიოს რუკაზე? რა ნაბიჯებს დგამენ ინგლისი და საფრანგეთი კოლონიების დაუფლებისათვის?**

**დიდი ბრიტანეთი.** XIX საუკუნის პირველ ნახევარში დიდი ბრიტანეთის სამრეწველო სფეროებში უპირატესობა ენიჭებოდა ფაბრიკებსა და ქარხნებს. საუკუნის შუა წლებში ფაბრიკებში საჭირო მოწყობილობა მზადდებოდა მანქანების საშუალებით. ეს ნიშნავდა მრეწველობის (ტექნიკური) გადატრიალების დასასრულს. ამ პერიოდში ეკონომიკის წამყვანი როლი სოფლის მეურნეობიდან გადავიდა მრეწველობაში. მცირე და საშუალო საწარმოები დიდი საწარმოების მხრიდან „იყლაპება“ ამით კი მიმდინარეობდა წარმოებაში მრეწველობის სხვადასხვა სფეროების დიდი საწარმოების სახით **კონცენტრირების*** პროცესი. ინგლისი იქცა მსოფლიოს პირველ სამრეწველო ქვეყანად. მას უწოდებდნენ „მსოფლიოს სახელოსნოს“.

**კონცენტრირება–მრეწველობის სხვადასხვა სფეროს დიდი საწარმოების ფორმით გაერთიანება.**

**განმარტეთ ინგლისისათვის მსოფლიოს სახელოსნოს დარქმევის მიზეზები.**

მრეწველობის მძლავრი განვითარების მიუხედავად, მრეწველობის ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იყო ხელისუფლებაში წარდგენილი. **1832** ***წელს*** ჩატარებული ***პირველი საპარლამენტო რეფორმების*** შედეგად პარლამენტში ადგილი დაეთმო სამრეწველო ბურჟუაზიას. **1867** ***წელს*** ჩატარებულ ***მეორე საპარლამენტო რეფორმების*** შედეგად ვისაც კი ქალაქში ბინა ჰქონდა ან დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა ყველა მამაკაცმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღო, ხოლო სოფლებში 12 ფუნტი სტერლინგი იჯარის გადამხდელმა მეიჯარეებმაც ამ უფლებით ისარგებლეს. ამრიგად, მცირე ბურჟუაზიამ და შეძლებულმა მუშებმაც დაიმსახურეს ეს უფლება.



**სამხედრო ქარხანა. ინგლისი. XIX საუკუნე**

XIX საუკუნეში დიდი ბრიტანეთი იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლონიების მფლობელი იმპერია. **1867** ***წელს*** მიღებული „***ბრიტანეთი სამხრეთ ამერიკის შესახებ აქტი***“-ს მიხედვით, კანადა გახდა ინგლისის პირველი ***დომინიონი****.

**დომინიონი–თვითმმართველობით უფლებამოსილ კოლონიალურ ქვეყანას ნიშნავს.**

ინგლისის პოლიტიკური წყობა რჩებოდა ადრინდებურად. ქვეყანას ორი პოლიტიკური პარტია: კონსერვატორები და ლიბერალები მორიგეობით მართავდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ლიბერალებმა გაიმარჯვეს არჩევნებში. მათ მიერ ორგანიზებული სახელმწიფო მემადნეებისათვის 8 საათიანი სამუშაო დღე, ინვა-




▲ ევროპა XIX საუკუნის I ნახევარში

ლიდებს, უმუშევრებს და ავადმყოფებს სოციალური დახმარება, 70 წელს გადაცილებულ პირებს პენსია დაენიშნათ.

ინგლისის დედაქალაქი ლონდონი მსოფლიოს სავაჭრო და საფინანსო ცენტრი იყო. აქ ფართო საბანკო ქსელები არსებობდა. ინგლისს მსოფლიო ვაჭრობაში და კაპიტალის ექსპორტში პირველი ადგილი ეკავა. თუმცა სამრეწველო წარმოების მიხედვით იგი აშშ-სა და გერმანიას ჩამორჩებოდა. მრეწველობაში ახლად შემოსული ქიმიის და ელექტროტექნიკის სფეროები სწრაფად ვითარდებოდა.

ინგლისს სამხრეთ აფრიკაში თავისი კოლონიების გაფართოება უნდოდა. ამ მიზნით მან ერთ დროს ევროპიდან გადმოსახლებულ ევროპული წარმომავლობის მქონე ბურებთან ომი დაიწყო (1899-1902) ომი ინგლისელების გამარჯვებით დამთავრდა. დადებული ზავის მიხედვით ინგლისელებმა მთელი სამხრეთ აფრიკის ოკუპაცია დაასრულეს. **1910 წელს** ამ მიწებმა "***სამხრეთ აფრიკის კავშირი***“ სახელწოდებით დომინიონის უფლება მიიღეს.

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს გადანაწილებისათვის გერმანიასთან ურთიერთობა გამწვავდა. ამ კონკურენციამ ინგლისი ჯერ საფრანგეთთან დაახლოვა. საფრანგეთმა ინგლისის ბატონობა ეგვიპტეში ცნო. ინგლისმა თავის მხრივ ფრანგების ბატონობა მაროკოში ცნო. **1907 წელს** პეტერბურგში ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება დაიდო. ამრიგად, მათ სამეულში ***ანტანტას*** სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შექმნეს.







**1.2. ინგლისი–საფრანგეთი; რუსეთი–საფრანგეთის კავშირი (კარიკატურები)**

**გაარკვიეთ ანტანტას სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის აუცილებელი პირობები.**



ნაპოლეონ I

***საფრანგეთი.*** XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთი ითვლებოდა ფორმალურ რესპუბლიკად, თუმცა მთელი ხელისუფლება იყო ნაპოლიონ ბონაპარტის ხელში. 1804 წელს სენატმა ნაპოლეონ ბონაპარტი ნაპოლიონ I-ის სახელით იმპერატორად გამოაცხადა და ***საფრანგეთში I იმპერია*** შეიქმნა. საფრანგეთში დამპყრობლური ზრახვების წინააღმდეგ ევროპის ქვეყნებმა შექმნეს (ინგლისი, ავსტრია, რუსეთი) კოალიციური კავშირი. ***1805 წლის ოქტომბერში*** ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლაში ინგლისის ფლოტმა დაამარცხა ფრანგები. ავსტრიის მხრიდან უფრო მეტი საშიშროების მოლოდინის გამო, ნაპოლიონ I-მა მთავარი დარტყმა განახორციელა მის მიმართ. 1805 წელს ნაპოლიონ I-მა აიღო ვენა. ***აუსტერლიცის ბრძოლაში*** დაამარცხა რუსეთისა და ავსტრიის ჯარები. 1806 წელს დაამარცხა პრუსიის ჯარი და შეიჭრა ბერლინში. ნაპოლიონ I-მა "***კონტინენტალური ბლოკადის შესახებ***" დეკრეტს მოაწერა ხელი. ამ დეკრეტის მიხედვით საფრანგეთის იმპერიას და მასზე დამოკიდებელ ქვეყნებს ინგლისთან ვაჭრობა აეკრძალათ. რუსეთთან ხელმოწერილი ***1807 წლის ტილზიტის*** ზავის შედეგად რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში აღიარა საფრანგეთის მიერ ევროპაში დაპყრობილი ტერიტორიები და შეუერთდა ინგლისის წინააღმდეგ კონტინენტალურ ბლოკადას.



ბოროდინოს ბრძოლა

**რატომ იყო რუსეთი იძულებლი ხელი მოეწერა ტილზიტის ზავზე?**

1812 წლის ივნისში ნაპოლეონ I-მა დაიწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ და ბოროდინოს ბრძოლაში დიდი დანაკარგები განიცადა. უწყვეტი ომები, ქვეყნის ეკონომიკის დასუსტება და საფრანგეთის ჯარის რუსეთში დამარცხება იყო ნაპოლეონ I-ის იმპერიის დაშლის დასაწყისი. ***1813 წლის ოქტომბერში*** ლეიფციგთან ახლოს "***ხალხების ბრძოლაში***" მოკავშირეებმა დაამარცხეს ნაპოლეონის ჯარი. მომდევნო წლის მარტში პარიზში შესულმა მოკავშირეებმა ნაპოლეონ I გადაასახლეს კუნძულ ელბაზე. ლუდოვიკო VIII დასვეს ტახტზე და აღდგა ბურბონების დინასტია. საფრანგეთი დააბრუნეს ადრინდელ საზღვრებში.



ვენის კონგრესი

***1814-1815 წლებში*** ჩატარებული ***ვენის კონგრესის*** გადაწყვეტილებით, ვარშავის ჩათვლით პოლონეთის ერთი ნაწილი და ფინეთი გადაეცა რუსეთს. ავსტრიამ ხელში ჩაიგდო ვენეცია და ლომბარდინი. რომის მართვაში აღდგა პაპის

ხელისუფლება. გერმანიის სახელმწიფოებისაგან შეიქმნა გერმანიის კავშირი. ინგლისმა ხელში ჩაიგდო ქაფის მიწები, კუნძული ცეილონი და მალტა.

მეფე ალექსანდრე I-ის მიერ ორგანიზებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიქმნა „**წმინდა კავშირი**“. კავშირი, სადაც მთავარ როლს თამაშობდნენ ავსტრია, პრუსია და რუსეთი. ამ კავშირს ინგლისი არ შეუერთდა. **1815 წლის მარტში** ნაპოლეონი ტყვეობიდან გაიქცა და საფრანგეთის ხელისუფლება ისევ ხელში ჩაიგდო, თუმცა მოკავშირეებმა იგი ვატერლოოს ბრძოლაში დაამარცხეს და გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე .


ნაპოლეონ III

XIX საუკუნის შუა ხანებში ლუი ნაპოლეონ III იმპერატორად გამოცხადდა და საფრანგეთში დაარსდა **მეორე იმპერია**. მეორე იმპერიის პერიოდში საფრანგეთში დამთავრდა სამრეწველო გადატრიალება. საფრანგეთმა ერთიანი ძლევამოსილი გერმანიის სახელმწიფოს შექმნის დაუშვებლობისათვის პრუსისთან დაიწყო ომი. საფრანგეთის ჯარი მეცის ციხესიმაგრეში ალყაში მოექცა. მათ დასახმარებლად მოსული ნაპოლეონ III თვითონაც სედანის მიდამოებში დამარცხდა და დანებდა. 4 სექტემბრს საფრანგეთის მეორე იმპერია დაიშალა და ხალხთა მასების მოთხოვნით III რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა, თუმცა ახალი მთავრობა იძულებული გახდა **1871 წლის 18 იანვარს ვერსალში** დაედო ზავი. ზავის პირობების მიხედვით გერმანიის იმპერიის შექმნა გამოცხადდა, ელზასის და ლოტარინგიას ოლქები გადაეცა გერმანიას. საფრანგეთმა იძულებით გადაიხადა 5 მილიარდი ფრანკი.

**რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხისათვის იმპერიის მთავრობის უნიათობის გამოაშკარავებას?**

XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ეკონომიკაში საავტომობილო მრეწველობის, ქიმიის და გემთმშენებლობის სფეროები უფრო მეტად ვითარდებოდა. საავტომობილო და საავიაციო წარმოების მხრივ საფრანგეთი იყო ევროპაში პირველ ადგილზე, თუმცა მრეწველობის ზოგადი განვითარების მიხედვით საფრანგეთი ჩამორჩებოდა აშშ-ს, გერმანიასა და ინგლისს. საფრანგეთის კაპიტალი იყო იმპორტის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზე.

საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული რადიკალთა პარტია იცავდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ღირსებას. 1906 წელს საფრანგეთის მთავრობას ხელმძღვანელობდა რადიკალთა პარტიის წარმომადგენელი ს. კლემონსო. იგი მსხვილი კაპიტალის პრივილეგიების შემზღუდველი „ძლიერი ხელისუფლების პოლიტიკა“-ს ატარებდა. XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა გერმანიის წინააღმდეგ

გატარებული „რევანშიზმის“ (შურისძიებისათვის) პოლიტიკისთვის ახალი მოკავშირეების მოძებნა იყო.

**კითხვები და დავალებები:**

1. განსაზღვრეთ ინგლისის ეკონომიკური აღმავლობის მიზეზები.
2. შეადგინეთ პირველი საპარლამენტო რეფორმასა და მეორე საპარლამენტო რეფორმას შორის განსხვავების სქემა.
3. რა მისცა ინგლისს დაპყრობებმა?
4. გაარკვიეთ და მოამზადეთ პრეზენტაცია ნაპოლეონ ბონაპარტის ელბასა და წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლების შესახებ.
5. შეადარეთ საფრანგეთის იმპერიის I და II პერიოდები.
6. განიხილეთ ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შედარებისას რომელი უფრო დამპყრობელია.
7. განსაზღვრეთ საფრანგეთის ისტორიაში ნაპოლეონ ბონაპარტის როლი.
8. როგორ აფასებთ ვერსალის ზავის შედეგებს საფრანგეთისათვის?
9. 1814-1815 წლებში ჩატარებული ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით:________
________________________________________________________________
10. შეადარეთ ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლა ბოროდინოს ბრძოლასთან.

## 5. გერმანია და იტალია

***XIX საუკუნის დასაწყისში გერმანია ფეოდალური ნგრევის პროცესში იმყოფებოდა. როგორც გერმანიაში, იტალიაშიც პოლიტიკური ანარქია ბატონობდა. 1848-1849 წლების რევოლუცია დამარცხდა, უცხო ტომელების მიერ წამების და პოლიტიკური ნგრევის ბოლოს მოღება შეუძლებელი გახდა, მიუხედავად ყველაფრისა გერმანია და იტალია XIX საუკუნის ბოლოს-XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს გადანაწილების საინტერესო ქვეყნებად გადაიქცნენ.***

**როგორ გამოვიდნენ ასეთი მდგომარეობიდან გერმანია და იტალია?**

**რაში გამოიხატება მსოფლიოს გადანაწილების პროცესში ჩართული ამ ქვეყნების როლი?**

**გერმანია.** XIX საუკუნის დასაწყისში გერმანია ისევ იყო დანაწევრებულ მდგომარეობაში. ***ვენის კონგრესის*** გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა "***გერმანიის კავშირი***". მასში შემავალ ორ ქვეყანას: პრუსიასა და ავსტრიას შორის მიმდინარეობდა ბრძოლა. პრუსიის ვარგისი სახნავ-სათესი მიწების ნახევარზე მეტი მსხვილი მიწათმფლობელების იუნკერების ხელში იყო მაგრამ, თანდათან მდიდარი გლეხები-გროსპაუერებიც ყალიბდებოდნენ. გერმანიის სოფლის მეურნეობაში მიწათმფლობელობის დარჩენის მიზეზით კაპიტალიზმი ნელა ვითარდებოდა.



მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ IV

**რაში ხედავთ XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიის ჩამორჩენის მიზეზებს?**

1848 წელს გერმანიაში დაწყებული რევოლუციის ძირითადი მოთხოვნები იყო ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და ფეოდალური წეს-წყობილების გაუქმება. მეფე ფრიდრიხ ვილჰემ IV დათანხმდა პარლამენტის არჩევნების ჩატარებას. იმავე წელს ბერლინში გაიხსნა პრუსიის პარლამენტი. პარლამენტს უნდა შეემუშავებინა კონსტიტუცია, თუმცა მეფემ დაითხოვა ხალხის ნდობა დაკარგული პარლამენტი და თვითონ ხალხისათვის "კონსტიტუციის გაჩუქების" შესახებ გასცა ბრძანებულება.

ერთიანი გერმანიისათვის (ავსტრია მის შემადგენლობაში) კონსტიტუციის შემუშავების მიზნით ფრანგფურტ-მაინში საერთო გერმანულმა პარლამენტმა დაიწყო მუშაობა. დეპუტატების უმრავლესობამ დააყენა ერთიანი გერმანიის იმპერიის შექმნის საკითხი. ამ იმპერიას უნდა გაეერთიანებინა გერმანიის კავშირში მყოფი ქვეყნები. 1949 წლის მაისში საქსონიის სამეფოს დედაქალაქ დრეზდენში და ბადენის საჰერცოგოში საერთო გერმანულ პარლამენტში მომზადებული კონსტიტუციის დასაცავად დაიწყო აჯანყებები. 1848-1849 წლების რევულუცია იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევულუცია. მართალია, რევულუციამ დასახული მოთხოვნების დიდი ნაწილი ვერ შეასრულა, მაგრამ პრუსიაში მიიღეს კონსტიტუცია.

**თქვენი აზრით, რა იყო ერთიანი გერმანიის შექმნის მნიშვნელობა?**

რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ გერმანია დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას. დაიწყო სამრეწველო გადატრიალება. რევოლუციის შემდეგ რკინიგზის გაყვანის, ორთქლ-

გერმანიის გაერთიანება



მავლების რიცხვით და ნახშირის წარმოებით გერმანიამ საფრანგეთს გაუსწრო. პრუსიის მეფემ ვილჰერმ I-მა 1862 წელს ოტო ფონ ბისმარკი დანიშნა პირველ მინისტრად. გერმანიის “***რკინისა და სისხლით***“ გაერთიანების მომხრე ბისმარკმა ამ საქმის ხელის შემშლელ ავსტრიასთან ერთადერთ საშუალებად ჩათვალა ომის წარმოება. დანიის პროვინციების შლეზვიგის და ჰოლშტეინის დამპყრობელმა პრუსიამ ***1866 წელს სადოვას*** ბრძოლაში დაამარცხა ავსტრია. დამარცხებული ავსტრია იძულებული გახდა შეერთებოდა გერმანიას. ***1867 წელს*** ბისმარკმა დააარსა 22 ქვეყნისგან შემდგარი ***ჩრდილო გერმანიის კავშირი***. მიიღეს ერთიანი კონსტიტუცია. 1870-1871 წლებში საფრანგეთ-პრუსიის ომში გამარჯვებულმა პრუსიამ ვერსალში გერმანიის იმპერიის დაარსება გამოაცხადა. ცოტა ხნის შემდეგ მიიღეს საერთო გერმანული კონსტიტუცია. ამრიგად, დამთავრდა გერმანიის გაერთიანების პროცესი. ერთიანმა შიდა ბაზარმა ფორმირება ჰპოვა.



ოტო ფონ ბისმარკი

**გერმანიის გაერთიანება**

**1864 წელს დანია დაამარცხა, შლეცვიგი და ჰოლშტეინი შემოიერთა.**

**1866 წელს სადოვას ბრძოლაში დაამარცხა ავსტრია.**

**1870 წელს დაამარცხა საფრანგეთი, ელზასი და ლოტარინგია შემოიერთა.**

**როგორ აფასებთ და რაში ხედავთ ოტო ბისმარკის როლს გერმანიის გაერთიანებაში?**

ამ პერიოდში გერმანიამ, რუსეთმა და ავსტრიამ დაიწყეს ურთიერთდაახლოება, თუმცა გერმანიას რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878) შემდეგ რუსეთის გაძლიერება არ უნდოდა და ამიტომ ჩაიშალა ეს დაახლოება. მიუხედავად ამისა, გერმანიამ ჯერ ავსტრიასთან შემდეგ კი იტალიასთან გააფორმა სამხედრო კავშირი. ამრიგად ***1882 წელს შეიქმნა სამთა კავშირი.*** ამის პასუხად, რუსეთი საფრანგეთს დაუახლოვდა და მათ შორის გაფორმებული 1893 წლის კონვენციით საფუძველი ჩაეყარა ანტანტას.

**შეადარეთ სამთა კავშირი და ანტანტა.**

XX საუკუნის დასაწყისში გერმანია სამრეწველო საქონლის წარმოებით აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა, გერმანიის გაერთიანებამ, ელზასის და ლოტარინგიას ხელში ჩაგდებამ, საფრანგეთისაგან 5 მილიარდი ფრანკის კომპენსაციის აღებამ შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პირობები. ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ მონოპოლიის შექმნა კიდევ უფრო დააჩქარა. გერმანიის კაპიტალი, ძირითადად გადიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში და სამხრეთ ამერიკაში.

გერმანიის სათავეში იდგა იმპერატორი. ქვეყანაში ძლიერდებოდა **შოვინისტური*** განწყობა, გერმანიის „აუცილებელი ცხოვრების სფეროს“ გაფართოების იდეა ჩამოყალიბდა. გერმანიის მმართველ წრეებს უნდოდათ მსოფლიოს ხელახლა გადანაწილება. გერმანიის იმპერია „ჩუმი შესვლის“ პოლიტიკის გამოყენების (მაგა-

*შოვინიზმი–ნაციონალიზმის ერთ–ერთ ფორმაა. სხვა ერების, ხალხების მიმართ ზიზღის გამწვავებისაკენ მიმართული პოლიტიკაა.*

ლითად, ბერლინ-ბაღდადის რკინგზის გაყვანა) პარალელურად ნათლად ჩანდა, რომ ომის კურსი იყო აღებული. „**შეტევა აღმოსავლეთით**“ ლოზუნგით გერმანიამ 1905 წელს გენერალური შტაბის უფროსის ალფრედ ფონ შლიფენის ხელმძღვანელობით შეიმუშავა საფრანგეთის და რუსეთის წინააღმდეგ „ელვისებური“ ომის გეგმა. "**შლიფენის გეგმის**" მიხედვით, ომი უნდა ეწარმოებინათ ორ ფრონტზე.

**იტალიის გაერთიანება**




**გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების შესახებ.**

**იტალია.** XIX საუკუნის პირველ ნახევარში იტალიაში პოლიტიკური აშლილობა გრძელდებოდა. ქვეყნის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული მხარეები იყო სარდინიის სამეფო და ავსტრიის ზეწოლის ქვეშ მყოფი ლომბარდია. სარდინიის მეფემ საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-თან კავშირი დაამყარა, ლომბარდიისა და ვალენსიის მისთვის გადაცემის შემთხვევაში დათანხმდებოდა იტალიის ზოგიერთი მიწების საფრანგეთისათვის გადაცემაზე. ***1859 წელს სოლფერინოს*** ბრძოლაში საფრანგეთისა და სარდინიის ჯარებმა დაამარცხეს ავსტრია და ლომბარდია გაანთავისუფლეს.

თუმცა ავსტრიასთან საფრანგეთმა მალულად ზავი დადო და გამოვიდა ომიდან. შედეგად ვენეცია დარჩა ავსტრიის უღლის ქვეშ.



ვიქტორ ემანუელ II სოლფერინოს ბრძოლაში

**თქვენი აზრით როგორ შეიძლებოდა იტალიაში პოლიტიკური ანარქიის აღკვეთა?**

1861 წელს სარდინიის მეფე ვიქტორ ემანუელ II ერთიანი იტალიის მეფედ გამოცხადდა. ჯერ ავსტრიის, შემდეგ კი საფრანგეთის გერმანიის მხრიდან დამარცხებამ პირობები შექმნა ვალენსიისა და რომის იტალიის სამეფოში გაერთიანებისათვის. ამრიგად, იტალიის მიწების გაერთიანება დასრულდა. ქვეყნის გაერთიანებამ პოლიტიკურ ანარქიას ბოლო მოუღო. ეროვნული სახელმწიფოს შექმნამ ბიძგი მისცა ეკონომიკურ აღმავლობას. აღმოიფხვრა შიდა ვაჭრობის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები.

**განიხილეთ იტალიის გაერთიანების მიზეზები, განსაზღვრეთ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები.**

გარკვეული დროის შემდეგ მოხდა იტალიასა და გერმანიას შორის პოლიტიკური დაახლოება. იტალია გერმანიის წინადადებით სამთა კავშირში შევიდა.

**კითხვები დავალებები:**
1. რა სარგებლობა მოუტანა დაპყრობებმა გერმანიას?
2. როგორ აფასებთ გერმანიის დამპყრობლურ პოლიტიკას?
3. შეადარეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკა ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას და შეადგინეთ ცხრილი.
4. როგორ მოეღო ბოლო უცხოელთა გავლენას იტალიაში?
5. შეაგროვეთ ცნობები და მოამზადეთ პრეზენტაცია ელვისებური ომის გეგმის („შლიფენის გეგმა“) შესახებ.
6. შეადარეთ იტალიის გაერთიანების პოლიტიკა გერმანიის გაერთიანების პოლიტიკასთან.
7. თქვენი აზრით, რა იყო იტალიის გერმანიასთან დაახლოების მიზეზი?

## 6. რუსეთი

***XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი ტერიტორიის მიხედვით მსოფლიოს ყველაზე დიდი ქვეყანა გახდა, მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ჩამორჩებოდა. 1801 სასახლის გადატრიალების შედეგად პავლე I მოკლეს და მისი შვილი ალექ-სანდრე I (1801-1825) ტახტზე დასვეს.***

**1. რა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთისათვის ალექსანდრეს ტახტზე აყვანამ? XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი რომელი ისტო-რიული მოვლენით დარჩა მეხსიერებაში?**

ალექსანდრემ მოხსნა მამის მხრიდან ზადეგანების წინააღმდეგ მიმართული ყველა შეზღუდვა. გლეხების საკითხებში დაძაბულობის შენელებისათვის "***თავისუფალი მეხორბლეებ-ის***“ შესახებ გასცა ბრძანება. ბრძანების შესაბამისად, მიწათმფობელებს შეეძლოთ საკუთარი სურვილის მიხედვით ფულის სანაცვლოდ გლეხები მიწებთან ერთად გაენთავისუფლებინათ. ეს, ბატონყმობის გაუქმების შესაძლებლობის ოფიციალურად აღიარება იყო.

***1810 წელს*** შეიქმნა უმაღლესი მმართველობის და მეფესთან არსებული მრჩეველთა ორგანო - ***სახელმწიფო საბჭო***. აქ განიხილებოდა კანონპროექტები, მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები. საბჭოს გადაწყვეტილება მეფის მხრიდან დამტკიცების შემდეგ შედიოდა ძალაში.


მეფე ალექსანდრე I

**შეაფასეთ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ალექსანდრე I-ის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და სახელმწიფოს მმართველობის სფეროში ცვლილებების მნიშვნელობა.**

ნაპოლეონ I-ის არმიაზე გამარჯვების შედეგად დასავლეთ ევროპის ქვეყნების გაცნობის შემდეგ რუსმა ოფიცრებმა შექმნეს



მეფე ნიკოლოზ I

პროგრესული საზოგადოებები და ორგანიზაციები. მათ უნდოდათ ალექსანდრე პირველის სიკვდილის შემდეგ 1825 წლის 14 ნოემბერს ტახტზე ასასვლელი ნიკოლოზ I-ის ინაუგურაციაზე გადატრიალების მოხდენა, თუმცა ოფიცრების სენატის მოედანზე შეკრებამდე ინაუგურაცია დამთავრებული იყო. ამიტომაც ნიკოლოზ I-ის ერთგულმა ძალებმა გაანადგურეს აჯანყებულები. დეკემბერში მომხდარი ეს მოვლენა ისტორიაში „დეკაბრისტების აჯანყების“ სახელწოდებით შევიდა. დეკაბრისტების აჯანყება გახდა რუსეთში რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი.

**რაში მდგომარეობდა დეკაბრისტების აჯანყების მნიშვნელობა?**

რუსეთში ბატონყმობის გაუუქმებლობა იყო ქვეყნის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი. ***1861 წლის 19 თებერვლს*** ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა "***დებულებას***" ბატონყმობის გაუქმების შესახებ. რეფორმები მიწათმფლობელ გლეხებსაც ეხებოდა. კანონის გამოცხადების დღიდან ყმა გლეხებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ. ე.ი მათ მოიპოვეს მოქალაქებრივი უფლება. ახლა მათ შეეძლოთ მოძრავი და უძრავი ქონების ყიდვა. რეფორმის მიხედვით, კერძოდ, გათავისუფლებულ გლეხებს მიწა მიეცათ. სახელმწიფო გლეხებს სესხს აძლევდა მიწის შესაძენად. მათ ეს ვალი უნდა დაეფარათ 49 წელიწადში, თუმცა გლეხების დროებითი „***ვალდებულება***“ გაუქმდა 1881 წელს. ბატონყმობის გაუქმებამ რუსეთში შექმნა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების საშუალება.

**ვალდებულება–ნებისმიერი სამუშაოს იძულებით შესრულების დაკისრება.**

**შეადარეთ რუსეთის ისტორიაში 1861 წლის რეფორმები 1881 წლის რეფორმებს და მიღებული შედეგის შესახებ შეადგინეთ ცხრილი.**



მეფე ალექსანდრე II

ბატონყმობის გაუქმებასთან ერთად, განხორციელდა რიგი ბურჟუაზიული რეფორმები. ***1864 წელს*** შეიქმნა არჩევითი სამთავრობო ორგანო - ***ზემსტვო***-ს სამმართველოები. აქ შედიოდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. ზემსტვოები იყო ადგილობრივი სამმართველო ორგანოები, გუბერნიებისა და მის



გლეხებს ეძლევათ ინფორმაცია ბატონყმობის გადავარდნის შესახებ.

ტერიტორიაზე მხოლოდ სამეურნეო და კულტურული საკითხებით იყვნენ დაკავებული.

იმავე წელს სასამართლო რეფორმებიც განხორციელდა და შეიქმნა დამოუკიდებელი სასამართლოები. მართალია, მოსამართლეები სახელმწიფოს მხრიდან ინიშნებოდნენ, მაგრამ თანამდებობიდან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლო ყველა ფენის წარმომადგენლის ფიცმიღებული დამსწრეების მონაწილეობით იმართებოდა. კრებები ღიად ტარდებოდა. ეს რეფორმა იყო XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმებს შორის უფრო თანმიმდევრული ბურჟუაზიული რეფორმა.

**როგორ ასაბუთებთ ამ რეფორმის თანმიმდევრულობას?**



სულთან აბდულმეჯიდი ყირიმის ომში მოკავშირეებთან ერთად

XIX საუკუნის 70-იან წლებში განხორციელებული სამხედრო რეფორმების შედეგად ჯარის რეკრუტიული თავმოყრა შეცვალა საერთო სამხედრო მოვალეობამ. ეს რეფორმები ნიშნავდა რუსეთის ფეოდალური მონარქიიდან ბურჟუაზიულ მონარქიაზე გადასვლას.

XIX საუკუნის შუა ხანებში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში „***აღმოსავლეთის საკითხი***“ იკავებდა მნიშვნელოვან ადგილს. აღმოსავლეთის საკითხის არსს ოსმალეთის სულთნის ხელისუფლებაში არსებული მიწების გადანაწილებისა და ახლო აღმოსავლეთში ავტორიტეტის მოპოვებისათვის ევროპის დიდ ქვეყნებს შორის არსებული ბრძოლები შეადგენდა, თუმცა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში რუსეთს ჰყავდა ინგლისისა და საფრანგეთისნაირი ძლევამოსილი კონკურენტები. მათ არ უნდოდათ ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გაძლიერება.

**განმარტეთ რუსეთის პოზიცია "აღმოსავლეთის საკითხებში".**



ყირიმის ომში ოსმალეთის, ინგლისის, საფრანგეთის კავშირი

პალესტინაში ქრისტიანობისათვის წმინდად მიჩნეული ადგილები ეკუთვნოდა ოსმალეთის იმპერიას. პალესტინის გარშემო დავა რუსეთისათვის გახდა მიზეზი ***ყირიმის ომის*** (1853-1856) დასაწყებად. 1853 წლის ივნისში დაიწყო ომი ოსმალეთის სახელმწიფოსა და რუსეთს შორის. იმავე წელს ოქტომბერში ბალკანეთში და სამხრეთ კავკასიაში სამხედრო მოქმედებები რუსეთისათვის გახდა წარმატებული. ***1853 წლის 18 ნოემბერს სინოპის ყურის*** ბრძოლაში ოსმალეთის ფლოტის დამარცხებამ დააჩქარა ინგლისისა და საფრანგეთის ომში ჩართვა.

**რომელ მოვლენას გვიჩვენებდით ომის პირველი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?**

ინგლისი და საფრანგეთი გახდნენ ყირიმის ომში ოსმალეთის სახელმწიფოს მოკავშირეები. მათ თავიანთი ფლოტი შავ ზღვაში შეიყვანეს. პრუსიამ და ავსტრიამ რუსეთს მოთხოვეს, რომ თავისი

ჯარები დუნაის სამთავროებიდან გაეყვანა. ამ მოვლენების შემდეგ ოსმალეთის სახელმწიფომ სამხედრო მოქმედებები საგრძნობლად გააფართოვა. რუსეთის ჯარმა დუნაიდან დაიხია. 1854 წლის სექტემბერში ინგლისის, საფრანგეთისა და ოსმალეთის ჯარებმა ყირიმში ალმაჩაის მიდამოებში რუსეთის ჯარები დაამარცხეს. მოკავშირეებმა სევასტოპოლი აიღეს. რუსეთი ყირიმის ომში დამარცხდა. დამარცხების მთავარი მიზეზი რუსეთის ეკონომიკური, სამხედრო ტექნიკის ჩამორჩენა იყო. 1855 წელს ნიკოლოზ I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფებული ალექსანდრე II (1855-1881) იძულებული გახდა მოკავშირეებთან ზავი დაედო.

**1856 წელს 30 მარტს პარიზში მოკავშირეებსა და რუსეთს შორის გაფორმებული ზავის თანახმად:**

- რუსეთს აეკრძალა შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის შენარჩუნება, სანაპიროებზე ციხე-სიმაგრეების ფლობა;
- ბესარაბიის სამხრეთი ნაწილი ოსმალეთი იმპერიას გადაეცა. რუსეთმა ყარსი ოსმალეთს, ხოლო მოკავშირეებმა სევასტოპოლი და სხვა ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთს დაუბრუნეს. ოსმალეთის ტერიტორიული მთლიანობა აღდგა. რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი საგრძნობლად დაეცა;
- შავი ზღვა ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის ღიად გამოცხადდა.



**კარიკატურა 1905 წელს სამხრეთ სახალინის დაკარგვის შესახებ**

თუმცა 1871 წელს ლონდონში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთის შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება აღდგენილი იქნა. რუსეთის დამპყრობლური გეგმების გაძლიერებამ 1877-1878 წლებში ახალი რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე მიიყვანა. გამარჯვებულმა რუსეთმა 1878 წლის მარტში ოსმალეთის სახელმწიფოსთან ***სან-სტეფანის (იაშილქოი) ზავს*** მოაწერეს ხელი. ზავის თანახმად, ბულგარეთმა და რუმინეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რუსეთმა ყარსი და ბესარაბია ჩაიგდო ხელში.

XX საუკუნის დასაწყისში შორეულ აღმოსავლეთში რუსეთსა და იაპონიას შორის კონკურენციამ მწვავე ხასიათი მიიღო. ***1904 წელს დაწყებული*** რუსეთ-იაპონიის ომში წარუმატებლობამ რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ამან რევოლუციამდე მიიყვანა.

**შეადარეთ პარიზის ზავი და სან-სტეფანოს ზავი.**

რევოლუცია 1905 წლის იანვარში დაიწყო და მოიცვა მთელი რუსეთი.

**1905–1907 წლებში დაწყებული რევოლუცია შეიძლება რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის წარუმატებლობის შედეგად ჩაითვალოს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.**



რუსეთ-იაპონიის ომი

იმავე წლის დეკემბერში მოსკოვში მომხდარი შეიარაღებული აჯანყება იყო რევოლუციის უმაღლესი მწვერვალი, თუმცა შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ რევოლუციამ დაიწყო შესუსტება. ამ პერიოდში მართალია ***სახელმწიფო დუმაში*** ტარდებოდა არჩევნები, მაგრამ 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორის მხრიდან II დუმის ხელახალი დათხოვნა ნიშნავდა რევოლუციის დასასრულს. რევოლუციამ მის წინაშე დაყენებული ძირითადი საკითხები, მათ შორის აგრარული საკითხი ვერ შეასრულა.

**თქვენი აზრით რა მნიშვნელობა ჰქონდა დუმებს?**

რევოლუციამ დაამტკიცა სოფლებში მთავრობის სოციალური საყრდენის სისუსტე.



პეტრე სტოლიპინი

ამიტომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პეტრე სტოლიპინის მხრიდან გატარდა აგრარული რეფორმები. 1910 წლის 14 ივნისის კანონი სოფლის თემების დანგრევას ითვალისწინებდა. რეფორმა გლეხებს აძლევდა თემიდან გამოსვლის უფლებას, უკმაყოფილო ღარიბები და მოქმედი გლეხები გადაასახლეს ***ციმბირში, შუა აზიაში, სამხრეთ კავკასიაში***. რეფორმების შედეგად გაძლიერდა სოფლებში ხალხის ფენებად დაყოფა. ე.ი. დაჩქარდა სოფლის მდიდრების (კულაკები) და სოფლის ღარიბების (დაქირავებული გლეხები) ჩამოყალიბების პროცესი.

**კითხვები დავალებები:**

1. რას ფიქრობთ XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთის მდგომარეობის შესახებ?
2. რა იყო ალექსანდრე II-ის მიერ გადასაჭრელი ძირითადი საკითხები?
3. ფაქტებზე დაყრდნობით დაწერეთ ესე „აღმოსავლეთის საკითხის“ შესახებ.
4. განმარტეთ „აღმოსავლეთის საკითხის“ შედეგები ოსმალეთის სახელმწიფოსათვის.
5. რას ნიშნავს აგრარული რეფორმა? განმარტეთ მისი არსი.

## 7. ამერიკის შეერთებული შტატები

*ამერიკის შეერთებული შტატების შექმნამ ამერიკის კონტინენტზე ახალი სახელმწიფოებრიობის წესწყობილებას ჩაუყარა საფუძველი, კოლონიურობას მკაცრი დარტყმა მიაყენა. ჯ. ვაშინგტონის მიერ ჩაყრილმა საფუძველმა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პრინციპს განვითარება მოუტანა. პარალელურად ევროპის ქვეყნებს შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა, ქვეყნის ევროპისა და აზიისაგან შორს მდებარეობამ, კონტინენტზე კონკურენტის არ არსებობამ აშშ–ს ტერიტორიის გაფართოებას შეუწყო ხელი.*

**აშშ–ში ამ პერიოდში რომელი ისტორიული პროცესი მოხდა? რით განისაზღვრება მისი კონტინენტზე ჰეგემონობის ისტორიული როლი?**



ჯორჯ ვაშინგტონი

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დამოუკიდებელი ქვეყნების დაარსებამ, სამხედრო ხარჯების სიმცირემ, ვრცელმა ნოყიერმა მიწებმა და უხვმა სასარგებლო გათხრებმა შექმნა აშშ-ს ეკონომიკის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. იმატა ევროპიდან ჩამოსული მოაჯირების რიცხვმა. აშშ-მა გემთმშენებლობის განვითარების მიხედვით ინგლისის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა. 1800 წელს პრეზიდენტად არჩეულმა ტომას ჯეფერსონმა გაატარა ღონისძიებები ქვეყნის გაძლიერებისათვის, მან გააუქმებინა საარჩევნო ცენზი, დავალიანების მქონე პირთათვის და პატიმრებისათვის მიიღო ჰუმანური კანონები.

1812 წელს ახალი ომის მიზეზი გახდა ინგლისის მიერ ჩრდილოეთ ამერიკაში მყოფი კოლონიზატორების სახლში დაბრუნების მცდელობა. ***1814 წელს*** ბელგიაში გაფორმდა ***გენტის*** ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ინგლისი ამიერიდან აშშ-ს არ უნდა მოპყრობოდა როგორც კოლონიას. ეს ომი იწოდება აშშ-ის ისტორიაში ***მეორე ეკონომიკურ*** ომად. ომის მსვლელობაში ადგილობრივი ინდიელების ერთი ნაწილი განადგურდა, ხოლო დანარჩენები გადაასახლეს მდინარე მისისიპის დასავლეთით მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიებზე.



თომას ჯეფერსონი

**რატომ უწოდებდნენ ამ ომს აშშ–ის ისტორიაში მეორე ეკონომიკურ ომს?**

XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში წარმოებულმა ომებმა აშშ-ს მისცა თავისი ტერიტორიების გაფართოების საშუალება. საუკუნის შუა წლებამდე ლუიზიანა, ფლორიდა, ჩრდილოეთ კალიფორნია და ტეხასი აშშ-ს შეუერთდა. ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის ეკონომიკა ვითარდებოდა განსხვავებული გზებით. მონათმფლობელობა გაუქმებულ ჩრდილოეთში წარმოება ვითარდებოდა, სოფლის მეურნეობაში უპირატესობა ჰქონდა ფერმერულ მეურნეობას, ხოლო სამხრეთში სოფლის მეურნეობაში მონური შრომა იყო გაბატონებული და მონათმფლობელურ პლანტაციებს ჰქონდა უპირატესობა, აქ რასობრივ განსხვავებას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული.

**განმარტეთ რა იყო რასობრიობის ფესვების ღრმად გადგმის მიზეზი?**

ინგლისიდან ჩამოტანილი საქონლის დაყადაღებამ ბიძგი მისცა ადგილობრივი წარმოების განვითარებას, დაიწყო ბანკების დაარსება. მეტალურგიის და მანქანათმშენებლობის განვითარების გამო სამრეწველო გადატრიალება ავიდა უმაღლეს მწვერვალზე. ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული აბოლისიონისტური მოძრაობა მონათმფლობელობის გაუქმებას მოითხოვდა იმიტომ, რომ მონათმფლობელობა იყო ქვეყნის მრეწველობის განვითარების გზაზე ხელის შემშლელი ფაქტორი.

**რატომ ითვლებოდა თავიდანვე ხელისშემშლელ პირობად მონათმფლობელობა აშშ-ს წარმოების განვითარებაში? განმარტეთ თქვენი მოსაზრებები.**



პლაკატი აშშ-ში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ომის შესახებ

1854 წელს შეიქმნა რესპუბლიკური პარტია. პარტიაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა სამრეწველო ბურჟუაზიას. მუშები, ფერმერები, ვაჭრობი და სამრეწველო ბურჟუაზია რესპუბლიკური პარტიის მომხრეები იყვნენ. 1860 წელს რესპუბლიკელების წარმომადგენელი აბრაამ ლინკოლნი აირჩიეს პრეზიდენტად. ამის პასუხად სამხრეთის მონათმფლობელები გავიდნენ კავშირიდან, კონფედერაცია დაარსეს და ჯეფერსონ დევისი აირჩიეს პრეზიდენტად. ამ წინააღმდეგობამ ქვეყანა მიიყვანა სამოქალაქო ომის დაწყების ზღვარზე.



აბრაამ ლინკოლნი

**გაანალიზეთ აშშ-ში მომხდარი სამოქალაქო ომის მიზეზები, კიდევ რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზები ამ ომს დასაწყებად?**

სინამდვილეში, სამოქალაქო ომი იყო ***მეორე ბურჟუაზიული რევოლუცია***. ომის პირველ საფეხურზე (1861-1862) სამხრეთის შტატებმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს. მათ ინგლისიდან და საფრანგეთიდან მიიღეს დახმარება და უნდოდათ ვაშინგტონის ხელში ჩაგდება. ***1862 წელს*** მიღებული „***ჰომსტედების შესახებ***“ კანონის მიხედვით, მიწის დამუშავების მსურველ ყოველ ამერიკელს შეეძლებოდა დასავლეთის მხარეზე უსასყიდლოდ 160 აკრა მიწის ნაკვეთის მიღება. იმავე წელს ხელი მოეწერა "***დეკლარაცია თავისუფლების შესახებ***"-ს. დეკლარაციაში გათვალისწინებული იყო მონათმფლობელობის გაუქმება. ამ ყველაფერმა ომში ჩრდილოეთის უპირატესობა უზრუნველყო. 1865 წელს გენერალ უ. გრანტის მეთაურობით ჩრდილოეთის ჯარმა აიღო კონფედერაციის დედაქალაქი რიჩმუნდი. აშშ-ს სამოქალაქო ომი დასრულდა ჩრდილოეთის შტატების გამარჯვებით.

**აშშ-ში სამოქალაქო ომი (1861–1865)**

↓

**ომის მიზეზები**

↓

**მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ ჩრდილოეთსა და მონათმფლობელურ სამხრეთ შტატებს შორის დაპირისპირების გამწვავება.**

**რა მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-ში მონათმფლობელობის გაუქმებას?**

აბრაამ ლინკონი თავდასხმის შედეგად მოკლეს, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. 1866 წელს კონგრესში კონსტიტუციაში ცვლილების გამო, შავკანიანებმა და თეთრკანიანებმა მიიღეს




აშშ XIX საუკუნეში

***ტრესტი* – მის შემადგენლობაში არსებული დაწესებულებების წარმოების, გაყიდვის, ზოგჯერ კანონიერი დამოუკიდებლობის მონოპოლისტური ფორმაა.**



თეოდორ რუზველტი

თანაბარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება. ამრიგად, სამოქალაქო ომის მსვლელობამ გააუქმა მონათმფლობელობა. ბოლო მოეღო მონათმფლობელობის პოლიტიკურ ბატონობას. ხელისუფლება გადავიდა ბურჟუაზიის ხელში, ქვეყანაში აგრარული საკითხების გადაწყვეტამ ბიძგი მისცა ეკონომიკურ განვითარებას.

აშშ-ში მონათმფლობელობის გაუქმებამ და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის „ფერმერული გზის“ განვითარებამ, რკინიგზების გაყვანის ფართო მაშტაბის მიღებამ, წარმოებაში უახლესი მეცნიერების აღმოჩენის და გამოგონების გამოყენებამ უზრუნველყო სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

ახალი სამრეწველო სფეროები: ავტმობილმშენებლობა, ელექტროტექნიკა, ნავთობისა და ქიმიის მრეწველობა ვითარდებოდა. იქმნებოდა წარმოების გაერთიანების "***ტრესტები***". პირველი ტრესტი დააარსა ჯონ როკფელერმა.

პირველი მსოფლიო ომის დროს „სტანდარტ-ოილ“-ის ტრესტი გადაქცეულიყო ყველაზე დიდ ნავთობსაწარმოდ. ჯ. როკფელერს „ბატონო მილიარდ“ მიმართავდნენ. სხვა ყველაზე დიდი მეწარმე იყო „***ფოლად ტრესტის***“ მეპატრონე ჯონ მორგანი.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ (1900-1903) აშშ-ში გატარდა რეფორმები. რეფორმების ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ თეოდორ რუზველტი და ვუდრო

ვილსონი. 1900 წელს პრეზიდენტად არჩეული რესპუბლიკელების პარტიის წარმომადგენელი უ. მაკკეინი მოკლეს და იგი შეცვალა ვიცე პრეზიდენტმა რუზველტმა. თ.რუზველტის ინიციატივით კონგრესმა შეიმუშავა „ტრესტების წინააღმდეგ“ კანონი. მსხვილ ტრესტებზე სახელმწიფომ დააწესა კონტროლი. მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაიმარჯვა რუზველტმა და კონტროლი კიდევ უფრო გააძლიერა.



უილიამ ტაფტი

**რა მნიშვნელობა ჰქონდა "ტრესტების წინააღმდეგ" კანონის შემუშავებას? გამოიკვლიეთ ამ კანონის დადებითი და უარყოფითი მხარეები.**

აშშ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობაში სარგებლობდა „***დიდი ხელკეტი***“-ს პოლიტიკით. თ. რუზველტის მიხედვით, აშშ-ის ვალია „საერთაშორისო პოლიციის როლის“ აღება საკუთარ თავზე. ეს პოლიტიკა გაგრძელდა პრეზიდენტ უ. ტაფტის პერიოდშიც. იგი ვალების გაცემით ლათინური ამერიკის ქვეყნებს აყენებდა დამოკიდებულ მდგობარეობაში. ამ პოლიტიკას ეწოდებოდა „***დოლარის დიპლომატია***“.

"დიდი ხელკეტი"- თეოდორ რუზველტის მიერ ლათინური ამერიკის ქვეყნების წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკა.

1912 წელს პრეზიდენტად არჩეულმა ვილსონმა გადასახადების შემცირება, ტრესტების წინააღმდეგ კანონების მიღება, 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესება და სხვა მსგავსი წინადადებები წამოაყენა. მისი ხელისუფლების წლები იწოდება „ახალი დემოკრატიის პერიოდად“. ვ. ვილსონმა შეძლო საბანკო სისტემებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება. კანონის მიხედვით ქვეყანა დაიყო 12 რეგიონად და ყოველ რეგიონში დაარსდა ფეოდალური სათადარიგო ბანკი. 1913 წელს სენატორების პირდაპირ ხალხის მხრიდან არჩევის შესახებ კონსტიტუციაში გაკეთდა შესწორება. შეიქმნა შრომის სამინისტრო. ამ შესწორებებმა პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე აშშ-ს პოზიცია საგრძნობლად გაამყარა. აშშ სამრეწველო წარმოების მოცულობით გავიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე.



ვუდრო ვილსონი

**კითხვები დავალებები:**

1. რატომ ეწოდება ვ. ვილსონის ხელისუფლების პერიოდს "ახალი დემოკრატიის“ პერიოდი?
2. „ევროპიდან ჩამოსული მოაჯირების რიცხვი მატულობდა“ გამოთქმაში რა იგულისხმებოდა და რა იყო ამის მიზეზი?
3. განმარტეთ „დიდი ხელკეტი“ და „დოლარის დიპლომატია“ გამოთქმების არსი.
4. განმარტეთ სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით აშშ-ს მსოფლიოში პირველ ადგილზე გასვლის მიზეზი.
5. მოამზადეთ პრეზენტაცია სახელწოდებით "აშშ-ის ისტორიაში თ. რუზველტის მოღვაწეობა".
6. განმარტეთ თუ რატომ დაერქვა სამოქალქო ომს "მეორე ბურჟუაზიული რევოლუცია“.
7. ტექსტში მოცემულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შეადგინეთ პიროვნებების მოღვაწეობის საკუთარ თავში ამსახველი ცხრილი.

## 8. პირველი მსოფლიო ომი

***XX* საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, ევროპის ქვეყნების ორ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკს შორის ბრძოლა პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი გახდა. ამ წინააღმდეგობების საწყისი გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის იყო.**

**რა კვალი დატოვა ხალხების ისტორიაში პირველმა მსოფლიო ომმა? როგორი იყო მსოფლიოს გადანაწილების პოლიტიკის შედეგები?**

გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური წრეებს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და რუსეთის დასუსტებით, მათი მოკავშირეების ერთი ნაწილის ხელში ჩაგდებასთან ერთად, ახალი მოკავშირეების შეძენა სურდათ. მოკავშირეები ავტრია-უნგრეთის იმპერიასთან ერთად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გავლენის გაფართოებას და ახალი ტერიტორიების დაპყრობას ცდილობდნენ.

დიდი ბრიტანეთი ომის გზით გერმანიის დასუსტების, მისი მოკავშირეების ერთი ნაწილის ხელში ჩაგდების, ოსმალეთის იმპერიის განაწილების იმედად იყო. საფრანგეთს უნდოდა დაკარგული ელზასის და ლოტარინგიას პროვინციების დაბრუნება და რეინის პროვინციის ერთი ნაწილის ხელში ჩაგდება, ხოლო რუსეთი ცდილობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ბოსფორის და ბალკანეთის სრუტეებში თავისი გავლენის აღდგენას და გერმანიის ეკონომიკურად დასუსტებას.



**ფრანს ფრენდინანდის მკვლელობა**

**განსაზღვრეთ პირველ მსოფლიო ომში ჩართული ქვეყნების ძირითადი მიზნები.**

***1914 წელს 28 ივნისს*** ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ფრანს ფერდინანდის სერბი ნაციონალების მხრიდან მოკვლა გახდა ომის დაწყების მიზეზი. ავსტრია-უნგრეთმა სერბიას ულტიმატუმი წაუყენა და მოსთხოვა მკვლელის გავრილას გადაცემა. უარის მიღების გამო ომი გამოუცხადა სერბიას.

**გაანალიზეთ ფრანს ფერდინანდის წინააღმდეგ ჩადენილი თავდასხმის მიზეზი და შედეგები.**

ამ დროს გერმანიამ ომი გამოუცხადა სერბიის მფარველ რუსეთს. ცოტა ხნის შემდეგ საფრანგეთისათვის ომის გამომცხადებლებმა გერმანიამ ბელგიაში შეიყვანა ჯარები. ეს დამთავრდა ინგლისის მიერ გერმანიის წინააღმდეგ ომის დაწყებით. იაპონიამ გერმანიას ომი გამოუცხადა და დაიწყო მისი შორეულ აღმოსავლეთში არსებული მიწების დაპყრობა და ჩინეთის დამორჩილება. 1914 წლის შემოდგომაზე ოსმალეთი სამთა კავშირის მოკავშირის სტატუსით ჩაერთო ომში. ამის პასუხად რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დაიწყეს ომი ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ომის დაწყებამდე ყველა ქვეყანას ჰქონდა წინასწარ მომზადებული სამხედრო

გეგმები. ომის დასაწყისში ევროპაში სამი ფრონტი იყო შექმნილი: დასავლეთის, აღმოსავლეთის (რუსეთი) და ბალკანეთის. ცოტა ხნის შემდეგ შექმნილი მეოთხე კავკასიის ფრონტზე იბრძოდნენ რუსეთისა და ოსმალეთის ჯარები. შლიფენის მიერ მომზადებული „ელვისებური ომის“ გეგმის თანახმად გერმანიის ჯარი უნდა გადასულიყო სუსტი დაცვის მქონე ლუქსემბურგისა და ბელგიის ტერიტორიების გავლით საფრანგეთში, საფრანგეთის ჯარები გაენადგურებინა და აეძულებინა დამორჩილებულიყო. ამის შემდეგ მოკლე დროში გათვალისწინებული იყო რუსეთის განადგურება. გერმანიის ჯარები აგვისტოს დასაწყისში ლუქსემბურგისა და ბელგიის გავლით შევიდნენ საფრანგეთის ჩრდილოეთში. საფრანგეთის ხელისუფლება იძულებული გახდა დაეტოვებინა დედაქალაქი პარიზი.

**შეადგინეთ შლიფენის გეგმის ამსახველი სქემა.**

რუსეთმა მოკავშირეებს დახმარების მიზნით აღმოსავლეთ პრუსიაში გაუგზავნა ორი არმია. გერმანიის სამხედრო მეთაურებმა მთელი ძალების მეორე არმიის წინააღმდეგ გამოსაყვანად მოიპოვეს შესაძლებლობა. ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს რუსეთის ორი კორპუსი. საფრანგეთი საფრთხეს გადაურჩა.

***1914 წლის სექტემბერში*** მდინარე მარნას სანაპიროზე ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა აღკვეთეს გერმანელების შეტევა და უკან მიაბრუნეს. გერმანელებმა მხოლოდ მდინარე ენას სანაპიროზე შეძლეს ამ შეტევის შეჩერება. ამრიგად, მარნას ბრძოლამ ჩაშალა „ელვისებური ომის“ გეგმა. გერმანია იძულებული გახდა ეწარმოებინა ომი დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრონტზე. ხმელეთზე საომარი ოპერაციების გაძნელებასთან დაკავშირებით ორივე მხარემ დაიწყო მოკავშირეების ძებნა.

1915 წელს გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა შეიმუშავეს გეგმა. გეგმის თანახმად მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინათ რუსეთის მიმართულებით, იგი დაემარცხებინათ და ომიდან გამოეთიშათ. ამიტომაც მთავარი ყურაღება გადაიტანეს აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა გოლისტას ტერიტორიაზე გაარღვიეს ფრონტი. გერმანელების ეს შეტევა რუსებისათვის დამთავრდა ტრაგიკულად. რუსეთის ჯარი დამარცხდა და უკან დაიხია.

**თქვენი აზრით, რატომ უნდოდათ ამ ომიდან რუსეთის გაყვანა?**

გერმანიამ თავის ისტორიაში პირველად დასავლეთის ფრონტზე წყალქვეშა ნავის გამოყენებით ჩაძირა ინგლისის სამგზავრო და სატვირთო გემები. ასევე გერმანიამ პირველად ბელგიის ტერიტორიაზე გამოიყენა მომწამვლელი ქლორის გაზი. ამ დროს ანტანტას სახელმწიფოებმა რიგი ტერიტორიების დაპირებით იტალია გადაიბირეს თავის მხარეზე. 1915 წლის გაზაფხულზე ლონდონში, ინგლისს, საფრანგეთს, რუსეთსა და

იტალიას შორის გაფორმდა საიდუმლო შეთანხმება. იტალია შეუერთდა ანტანტას. იმავე წლის შემოდგომაზე მოწინააღმდეგე მხარემ ბულგარეთი გადაიბირა და შექმნა ***ოთხთა კავშირი***.

ანტანტას ქვეყნებს უნდოდათ ჯერ ჩანაკკალას სრუტის, შემდეგ კი სტამბოლის დაპყრობით ოსმალეთის სახელმწიფოს განადგურება. თუმცა ანტანტას ქვეყნების მთელი სამხედრო ტექნიკის უპირატესობის მიუხედავად, ***1915 წლის მარტში ჩანაკკალას*** ბრძოლაში ინგლის-საფრანგეთის ჯარები დამარცხდნენ. ჩანაკკალაში სამშობლოსათვის დაღუპულმა ყოველმა თურქმა ჯარისკცმა ჩაიდინა ისტორიაში არნახული გმირობა. გამარჯვების მოპოვებაში აზერბაიჯანელ მოხალისეებს დიდი წვლილი მიუძღვით. ამ დროს ინგლისელებს გაუცრუვდათ ერაყის დაპყრობის იმედი. ისინი ბაღდადთან ახლოს დაამარცხეს ოსმალეთის ჯარებმა.



**ჩანაკკალას ბრძოლიდან ერთი ეპიზოდი**

**როგორ აფასებთ ოსმალეთის სახელმწიფოს ომში მონაწილეობის მიზეზებს? განიხილეთ.**

რუსეთის დამსუსტებელმა გერმანიამ მთელი ყურადღება საფრანგეთის წინააღმდეგ გადაიტანა. ***1916 წლის თებერვალში*** გერმანიის ჯარები ვერდენის ახლოს გადავიდნენ შეტევაზე. ეს ბრძოლა ისტორიაში მოიხსენიება „***ვერდენის სასაკლაოს***“ სახელწოდებით. ბრძოლამ ექვსი თვე გასტანა. გერმანელები არც ისე დიდ ტერიტორიას დაეუფლნენ. იმავე წლის ზაფხულში გერმანელების დასუსტებით ისარგებლეს ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა და ***მდინარე სომას*** სანაპიროზე გადავიდნენ შეტევაზე. შემოდგომის ბოლომდე გაგრძელებულ ბრძოლებში ინგლისელებმა და ფრანგებმა პირველად ისტორიაში გამოიყენეს ტანკები. ინგლისისა და გერმანიის სამხედრო ფლოტებს შორის გამართულ იუტლანდიის საზღვაო ბრძოლაში მხარეებიდან ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა.



**ვერდენის ბრძოლა**

**განმარტეთ ვერდენში გამართული ბრძოლისათვის "ვერდენის სასაკლაო" სახელწოდების მინიჭების მიზეზები.**

კავკასიის ფრონტზე რუსებმა აიღეს ერზრუმი და ტრაბზონი, ამ დროს ანტანტას მხრიდან ომში ჩართული რუმინელების ჯარები დაამარცხეს ავსტრია-გერმანია-ბულგარეთის ჯარებმა.

1917 წელს იმ ქვეყნებში სადაც ომი მიმდინარეობდა დაიწყო ომის საწინააღმდეგო საპროტესტო ტალღა. ამან რუსეთში კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის შედეგად მონარქია დაემხო. ქვეყანაში შეიქმნა დროებითი მთავრობა, თუმცა შემოდგომაზე ბოლშევიკებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს და ხელისუფლება

## პირველი მსოფლიო ომი. 1914–1918 წლები. ევროპასა და აფრიკაში სამხედრო ოპერაციების საერთო მსვლელობა



ჩაიგდეს ხელში. ***1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკურმა*** მთავრობამ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ***ბრესტ-ლიტოვსკის*** სეპარატისტული ზავი დადო და რუსეთი გამოიყვანა ომიდან. ამან გერმანიის მდგომარეობა საგრძნობლად შეასუსტა. რუმინეთმა ოთხთა კავშირთან ზავი დადო და გავიდა ომიდან.



**მარშალ ფოში**

აშშ-ს ანტანტის ქვეყნებზე დიდძალი სესხი ჰქონდა გაცემული და მათი გამარჯვების მსურველმა 1917 წლის აპრილში გერმანიას გამოუცხადა ომი. საფრანგეთსა და ინგლისს არ სურდათ გამარჯვების აშშ-თან განაწილება. მათ უნდოდათ ამერიკის ჯარების მოსვლამდე ომის ბოლომდე მიყვანა. გერმანიას თავის მხრივ უნდოდა აშშ-ს ძალების მოსვლამდე ანტანტის ძალების დამარცხება.

**რა იყო აშშ-ს ომში ჩართვის მიზეზი?**

***1917 წლის ოქტომბერში კაპორეტას*** ბრძოლაში გერმანიის, ავსტრიის და უნგრეთის ჯარებმა დაამარცხეს იტალია.

აშშ-ს ძალების დახმარებით 1918 წლის ზაფხულში მდინარე მანას სანაპიროზე აღიკვეთა გერმანიის ჯარების შეტევა პარიზის მიმართულებით. მარშალი ფოშის საერთო მეთაურობით მოკავშირეთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გერმანელების ფრონტი გაარღვიეს და გაანადგურეს ისინი. მოკავშირეების ჯარებმა ბალკანეთის ფრონტზე შეტევა განახორციელეს და ბულგარეთის ჯარებს დანებებისაკენ მოუწოდეს. პალესტინასა და სირიაში თურქული ჯარების დამარცხებასთან ერთად დანებდა ოსმალეთის იმპერია. 1918 წელს 3 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთის მეთაურებმა ანტანტას მიერ ნაკარნახევ ზავს მოაწერეს ხელი. იმავე დღეს გერმანიაში დაიწყო რევოლუცია. 9 ნოემბერს ხალხმა მონარქია დაამხო და ქვეყანაში ჩამოყალიბდა რესპუბლიკა. ***1918 წლის 11 ნოემბერს დილით კომპიენის*** ტყეში, მარშალ ფოშის შტაბ-ბინაში გერმანიასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის დაიდო ზავი. როგორც იქნა დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი.



**მარშალ ფოშის ვაგონში გერმანელების დანებების აქტის ხელმოწერა**

ამრიგად, ომი დასრულდა ოთხთა კავშირის დამარცხებით. ანტანტას, როგორც ცოცხალი ძალის, ასევე მატერიალური თვალსაზრისის უპირატესობამ გადაწყვიტა ომის ბედი. ომის მსვლელობის დროს დაიშალა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები და ახლი დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიქმნა.

**განმარტეთ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზეზები.**

ამ ომში ყველაზე მოგებული აშშ დარჩა. იგი ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისათვის სესხის მიმცემი მსოფლიო ხაზინა გახდა. იაპონიაც ომიდან წარმატებით გამოვიდა. მან წყნარ ოკეანეში გერმანიის კოლონიები ხელში ჩაიგდო, ჩინეთში პოზიციები საგრძნობლად გაიმყარა. პირველი მსოფლიო ომი, მსოფლიო კოლონიური სისტემის კრიზისის დასაწყისი იყო.

**ამ შედეგს კიდევ რას მიუმატებდით?**

**პირველი მსოფლიო ომი**

- **მიზეზები**
  - დიდ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობა
  - ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის
- **1914**
  - მაზურის ტბის მიდამოებში დამარცხდნენ რუსები, ხოლო გალისის ბრძოლაში ავსტრია.
  - მარნის ბრძოლაში გერმანელების დამარცხებასთან ერთად ელვისებური ომი გეგმა ჩაიშალა და გადაიზარდა პოზიციურ ომში.
- **1915**
  - გორლისაში დამარცხდნენ რუსები
  - ჩანაკკალაში დამარცხდნენ ინგლის-საფრანგეთის ჯარები
- **1916**
  - "ვერდენის სასაკლაო"
  - ტანკების გამოყენება სომის ბრძოლაში
  - გერმანელების დამარცხება იუტლანდიის საზღვაო ბრძოლაში
- **1917**
  - აშშ ჩაერთო ომში.
  - კაპორეტას ბრძოლაში დამარცხდნენ იტალიელები.
- **1918**
  - რუსეთი და რუმინეთი გამოვიდნენ ანტანტის ბლოკიდან.
  - ოთხთა კავშირი გამოვიდა ომიდან → ბულგარეთი, ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია.

**კითხვები და დავალებები:**

1. გამოიკვლიეთ თუ რა მიზნებით დაიწყო ომი გერმანიამ.
2. შეადგინეთ ომში მონაწილე ქვეყნების მიზნების განმსაზღვრელი სქემა.
3. მოამზადეთ პრეზენტაცია პირველი მსოფლიო ომის შესახებ.
4. როგორ დაახასიათებდით ომს?
5. დაწერეთ ესე ან წარდგენა ომის მებრძოლი მხარეების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაზე ზემოქმედების შესახებ.
6. დაწერეთ თქვენი აზრი ომში გამოყენებული იარაღების შესახებ.
7. როგორი ცვლილების მიზეზი გახდა აშშ-ს ომში ჩარევა ანტანტას მხრიდან?
8. განმარტეთ ომში ანტანტას გამარჯვების გარდაუვალობა.
9. მოამზადეთ ინფორმაცია პირველი მსოფლიო ომის დროს წარმოებული ბრძოლების შესახებ დამატებითი ცნობების შეგროვებით ბრძოლების შედეგების შესახებ.
10. როგორ დამთავრდა ომი იაპონიისათვის?
11. სქემის (გვ. 47) მიხედვით გააანალიზეთ პირველ მსოფლიო ომში მომხდარი პროცესები.

## 9. მსოფლიო ხალხების კულტურა

***კულტურის საფუძველს მეცნიერება და განათლება ქმნის. მეცნიერების, განათლების განვითარება რელიგიური სკოლებიდან, მეცნიერებიდან იწყება. მსოფლიო ხალხების კულტურას თუ გავაანალიზებთ, ამ უდავო ფაქტის სრულად დანახვა შეიძლება.***

**რა წვლილი შეიტანა XIX საუკუნემ მსოფლიოს კულტურაში? რა შესაძლებლობები გახსნა სამომავლოდ მეცნიერებამ და კულტურამ?**



**მირზა ჯაფარ თოფჩუბაშოვი**

განჯაში სასულიერო სკოლადამთავრებული მირზა ჯაფარ თოფჩუბაშოვი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორად და დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების ნამდვილ წევრად იყო არჩეული.

მ.ჯ. თოფჩუბაშოვმა საკუთარ თავში აზერბაიჯანის ინტელიგენტის შესაფერისი ყველა საუკეთესო თვისებები გააერთიანა. თავისი ხალხის დადებითი ღირებულებები განჯიდან პეტერბურგში გაიყოლა. მ.ჯ. თოფჩუბაშოვის პიროვნებას, მის განათლებას ა.ს. პუშკინის ვ.გ. ბრიანსკისნაირი პიროვნებები თაყვანს სცემდნენ.

**შეაფასეთ მ.ჯ.თოფჩუბაშოვის პიროვნება.**

XIX საუკუნის დასაწყისში ***ოსმალეთის იმპერიაში*** არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები რელიგიური სკოლებითა და მედრესებით განისაზღვრებოდა. განხორციელებული სამხედრო

და სამოქალაქო რეფორმები მოითხოვდა მსოფლიო დონის კადრებს. 40-იანი წლების სკოლების რეფორმები ემსახურებოდა ამ მიზანს.

***1869 წელს*** მიღებული იქნა კანონი სახალხო განათლების შესახებ. ამ კანონის მიხედვით, სკოლის ასაკის ყველა გოგონასა და ბიჭებისათვის უფასო დაწყებითი განათლების მიღება აუცილებლობას წარმოადგენდა, სახელმწიფო ხარჯზე საშუალო სკოლები და ისტამბულის უნივერსიტეტი უნდა დაარსებულიყო.

XIX საუკუნეში ოსმალეთის სახელმწიფოში იბადებოდა ახალი ლიტერატურა. ამ ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ნამიკ ქამალი და თოფიკ ფიქრეთი. ლიტერატურის განვითარება გახდა ეროვნული დრამატული თეატრის დაარსების მიზეზი. იმავე საუკუნის შუა ხანებში დრამატულმა თეატრმა დაიწყო მოქმედება. ხელოვნების სხვა დარგებიც ვითარდებოდა. 80-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში გაიხსნა სამხატვრო სკოლა.



**ნამიკ ქამალი**

**რა კავშირს ხედავთ ლიტერატურის განვითარებასა და თეატრის დაარსებას შორის?**

რუსეთის იმპერიის კოლონიურობისა და გარუსების პოლიტიკა ***ცენტრალურ აზიაში*** განათლებისა და კულტურის განვითარების გზაზე თავიდანვე საპრობლემო იყო, ამ ხალხების ეროვნული კულტურის წინააღმდეგ მოქმედება იყო. განათლების განვითარება დიდი ხნის მანძილზე ისლამთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, თურქი ხალხის კულტურა ნელა, მაგრამ ვითარდებოდა.

ცენტრალური აზიისა და ყაზახეთის ლიტერატურის წინსვლა თურქმენი პოეტის მემედველი ქემინეს და ყაზახი პოეტის აბაი კუნანბაევის სახელებთან არის დაკავშირებული. ამასთან ერთად, ცენტრალურ აზიაში არქიტექტურა, კვეთა და სხვა ხელობა ფართოდ იყო გავრცელებული. XX საუკუნის დასაწყისში ცენტრალურ აზიასა და ყაზახეთში მეცნიერება საკმაოდ განვითარდა, რეგიონის ფლორა და ფაუნა მნიშვნელოვნად იყო შესწავლილი.



**მემმედველი ქემინე**

**თქვენი აზრით ვისთვის უფრო სასარგებლო იყო ამ რეგიონის ფლორისა და ფაუნის შესწავლა?**

ცენტრალურ აზიაში ახალი ტიპის სკოლების გახსნა განათლების განვითარებას დაეხმარა. ***1804 წელს ყაზანის უნივერსიტეტის*** გახსნამ თათარისტანის განათლების და მეცნიერების განვითარებას დიდი მისცა ბიძგი.

გარუსების პოლიტიკა აშკარად ჩანდა ***კავკასიის*** ხალხების განათლებაში. XIX საუკუნის დასაწყისში დაიხურა თბილისში არსებული ქართული სკოლები და თელავის სემინარია. მის ადგილას გაიხსნა იმპერიისათვის ერთგული კადრების მოსამზადებელი რუსული სკოლები.



**აბაი კუნანბაევი**



კაზანის უნივერსიტეტი

**დარულფუნი– "ცოდნის სახლს" ნიშნავს.**

კავკასიის ხალხების ლიტერატურაში უფრო მეტი ასახვა ჰპოვა კოლონიალური ტანჯვის წინააღმდეგ ბრძოლამ. ქართველი მწერლები ი. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი ლექსებში კიცხავდნენ ეროვნულ კოლონიალურ ტანჯვას. ჩრდილო კავკასიის მთებში საგმირო სიმღერები ფართოდ იყო გავრცელებული. შეიძლება ითქვას, რომ ყველა სიმღერაში ისმოდა შეიხ შამილის დიდება.

XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიელი ხალხების მეცნიერებამ და კულტურამ ჰპოვა გარკვეული განვითარება. გაიხსნა ახალი სკოლები, დაიწყო რეგიონის ბუნებრივი რესურსების შესწავლა, გაფართოვდა პრესა.

**გამოააშკარავეთ მსგავსი მხარეები თურქი და კავკასიელი ხალხების განათლებისა და კულტურის ურთიერთობებში.**

ფეოდალური წესები ***ირანში*** აფერხებდა კულტურის განვითარებას. ამ მიზეზით ქვეყანაში კულტურის არც ერთ სფეროში, შეიძლება ითქვას არ იყო წინსვლა. ირანის კულტურაში სიახლე ევროპული ნიმუშებით დახატული იშვიათი ტილოებისაგან და საუკუნის შუა წლებში გახსნილი ***დარულფუნებისაგან****** შედგებოდა. ირანის ჩამორჩენა სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან გრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისშიც. საუკუნის დასაწყისის რევოლუციის ზემოქმედებით ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ტენდენციები. ასეთ მხატვრულ ნაწარმოებებში არსებული რეჟიმი, რუსეთისა და ინგლისის დამპყრობელი პოლიტიკა ხდებოდა კრიტიკის საგანი. იმავე პერიოდში ***ინდოეთში*** განათლებას, კულტურის განვითარებას ინგლისის დამპყრობლური პოლიტიკა უშლიდა ხელს. ინგლისელები ხალხის გაუმათლებლობაში ყოლით, ცდილობდნენ მათი ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის უფლების წართმევას.



ილია ჭავჭავაძე

**განმარტეთ მეტროპოლიების კოლონიების განათლებისა და კულტურის ურთიერთობების მსგავსების მიზეზები.**

XIX საუკუნეში ინდოეთში გაფართოვდა საგანმანათლებლო საქმიანობა. საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანაში დაიწყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დაჩქარებული განვითარება. ინდურ ლიტერერატურაში გაჩნდა ახალი ეტაპი. ეს იყოს ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის იდეების გაფართოების, განვითარების ეტაპი.

საუკუნეების მანძილზე ისლამმა ინდოეთს შესძინა ახალი ლიტერატურა. ამ ლიტერატურის გამოჩენილ წარმომდგენელთაგან ერთ-ერთი იყო სპარსულ და ურდულ ენებზე ლექსების დამწერი მუსლიმი პოეტი მ. ე. კალიბი. თუმცა ინდოეთის ლიტერატურის და ხელოვნების ყველაზე დიდი წარმომადგენელი იყო ცნობილი მწერალი, პოეტი, მხატვარი და კომპოზიტორი რაბინ დრანატ თაგორი. მისი მხატვრული ნამუშევრები ბევრ ქვეყანაში წარმატებით იქნა დემონსტრირებული. თაგორამ უკვდავება მოიპოვა მხატვრული შემოქმედებით. მწერალს მიენიჭა ნობელის პრემია.



მირზა ესედულლა ხან კალიბი

ფეოდალური მართვის მეთოდი, მთავრობის თვითიზოლაციის პოლიტიკა და დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ჩარევა იყო ***ჩინეთის*** კულტურის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები. თუ XIX საუკუნის ჩინეთში მეცნიერული ცოდნის განვითარება ისტორიასა და გეოგრაფიასთან იყო დაკავშირებული, XX საუკუნის დასაწყისში აქ განათლების სფეროში საგრძნობლად წაიწია წინ. ქვეყნის რიგ ქალაქებში გაიხსნა ევროპული ტიპის სკოლები, ჩამოყალიბდა რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთების იდეები, ამ იდეების მიზანი იყო მანჯურიის დინასტიის მმართველობის გაუქმებით ქვეყნის უცხო ქვეყნების ჩარევისაგან დაცვა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

**დაადგინეთ ჩინეთის კულტურული ჩამორჩენის მიზეზები.**



"ადამიანის სახე". რაბინდრანატ თაგორი

**იაპონიის** XIX საუკუნის კულტურის მნიშვნელოვანი სფეროები შედგებოდა მხატვრული ლიტერატურისაგან და ფერადი გრავიურებისაგან. მხატვრული ლიტერატურა, ძირითადად, სამურაების ცხოვრებას ასახავდა, ხოლო ხის გრავიურები ქვეყნის ბუნებას, ხალხის ყოფაცხოვრებას. XX საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა იაპონიის კულტურაზე ევროპის კულტურის გავლენა. ქვეყანაში შეიქმნა თეატრები, დაიდგა რიგი წარმოდგენები.

**გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება ევროპის კულტურის იაპონიის კულტურაზე გავლენის მოხდენის შესახებ.**



იაპონური ხის გრავიურა. XIX საუკუნე

**რუსეთში** XIX საუკუნის პირველ ნახევარში კულტურის განვითარებას ხელს უშლიდა ბატონყმური წყობა. თუმცა მეცნიერების, კულტურის განვითარება ნელი იყო, მაგრამ ძლევდა ამ წინააღმდეგობას. ნ. ლობაჩევსკი იყო XIX საუკუნის გამოჩენილი მათემატიკოსი. მის არაევკლიდური გეომეტრიის სწავლებას დიდი წვლილი მიუძღვის მეცნიერების და ტექნიკის განვითარებაში. მსოფლიოს პირველი რადიოსადგური და რადიომიმღები მოწყობილობის ავტორი ა.ს. პოპოვია.

ა.ს. პუშკინი ახალი რუსული ლიტერატურის და ენის შემოქმედია. მსოფლიოს ლიტერატურის უზარმაზარი პიროვნებაა. ლ.ნ. ტოლსტოის 1812 წლის ომის ისტორიის ამსახველი „ომი და მშვიდობა“ მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოებია. კ. ბრიულლოვის ნახატი „პომპეის უკანასკნელი დღე“ ხელოვნების ერთ-ერთი დიდი ნაწარმოებთაგანია. მხატვარმა ამ ნაწარმოებში ასახა ამოფრქვეული ვულკანის ვეზუვის ლავის და ფერფლის ქვეშ დარჩენილი განადგურებული ქალაქის ტრაგედია.



ალექსანდრ პუშკინი



ტომას ედისონი

**რით შეიძლება აიხსნას მხატვრის მიერ უძველეს დროში მომხდარი მოვლენისადმი ნაწარმოების მიძღვნა?**

ი.ე. რეპინი და ვ.ა. სეროვი იყვნენ თავისი დროის ცნობილი მხატვრები. რუსული კლასიკური ოპერისა და სიმფონიური მუსიკის ფუძემდებელი მ. გლინკაა. მისი ნაწარმოებები, განსაკუთრებით „რუსლანი და ლიუდმილა,“ ,"ივანე სუსანინი" დღესაც სცენაზეა.

ბატონყმობის გაუქმებამ, კაპიტალიზმის განვითარებამ ხელოვნებასთან ერთად, მეცნიერების სწრაფ განვითარებას შეუწყო ხელი. ი.პ. პავლოვის პირობითი რეფლექსების შესახებ მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ფიზიოლოგიის განვითარებაზე.

XIX საუკუნის 30-40-იანი წლების მრეწველობის გადატრიალებამ დააჩქარა მეცნიერული აღმოჩენები. ე.ი. XIX საუკუნის მეორე ნახევარი მეცნიერული გამოგონებებით მდიდარია. ასეთი გამოგონებებიდან ერთ-ერთი ***გერმანელი*** ინჟინერის დაიმლერის მიერ გაკეთებული ბენზინზე მომუშავე ძრავია. შიდა საწვავით მომუშავე ძრავის გამოგონებამ გზა გაუხსნა ავტომობილის წარმოებას. ელექტრო გამოგონება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონებათაგანია. თ. ედისონის მიერ აღმოჩენილი ელექტრო ნათურები იყო ამ გამოგონების შედეგი.



ალბერტ ეინშტაინი

**ახსენით მეცნიერების და ტექნიკის ურთიერთსაპირისპირო გავლენა.**

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა ალბერტ ეინშტეინმა მეცნიერულ საზოგადოებას გააცნო თავისი ფარდობითობის თეორიის ძირითადი იდეები. მან დაამტკიცა, რომ სხეულების ზომები და დროის ხანგრძლივობა ფარდობითია. ესენი სიჩქარეზეა დამოკიდებული.

**გამოთქვით თქვენი აზრი ფიზიკიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე ეინშტეინის თეორიის შესახებ.**

XIX საუკუნე ***ევროპის ქვეყნების და აშშ-ის*** ლიტერატურასა და ხელოვნებაში მომხდარი დიდი ცვლილების, წინსვლის საუკუნეა. გერმანელი მწერალი ი.ვ. გოეთე და ინგლისელი პოეტი ჯ. ბაირონი იყვნენ რომანტიზმის მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენლები. ნაწარმოებმა „ფაუსტი“ გოეთე აქცია მსოფლიო ლიტერატურის უზარმაზარ მოღვაწედ. ბაირონმა თავის ნაწარმოებებში შექმნილი რომანტიკული გმირის სახით მოიპოვა დიდება.



ფრედერიკ შოპენი

ფრანგი მწერალი ო. ბალზაკი და ინგლისელი მწერალი ჩ. დიკენსი ლიტერატურაში რეალიზმის მიმართულებას წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის ცნობილი ხელოვნების მოღვაწეთაგან ერთ-ერთი პოლონელი კომპოზიტორი ფრედერიკ შოპენი იყო. მის საფორტეპიანო ნაწარმოებებს დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიო მუსიკის ხელოვნებაში.



"დახვრეტის" ტაბლო. ფრანსისკო გოია

იმავე პერიოდის ცნობილმა მხატვარმა ფრანცისკო გოიამ ასახა „მასობრივი დახვრეტა "ტაბლოზე ესპანელების მიერ ფრანგების დაპყრობების წინააღმდეგ ბრძოლა, ესპანელი აჯანყებულების ფრანგი ჯარისკაცების მხრიდან დახვრეტა გამოსახა. ფრანგი მწერალი რომენ როლანი, ნორვეგიელი დრამატურგი ჰ. იბსენი, ამერიკელი მწერლები მარკ ტვენი, თეოდორ დრაიზერი, ჯეკ ლონდონი იყვნენ მსოფლიოს ცნობილი ლიტერატორები.ისინი თავიანთ ნაწარმოებებში გვამცნობენ დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, ეხებიან აუცილებლად გადასწყვეტ პრობლემებს.

**თქვენი აზრით, რა იყო ამ მწერლების დამაფიქრებელი საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოვლენები?**

მსოფლიო ხალხების ისტორია ფასდება მათ მიერ კაცობრიობის მეცნიერებისათვის და კულტურისათვის მიცემული პიროვნებებით.

**კითხვები და დავალებები:**

1. დაამტკიცეთ, რომ 40-იანი წლების სკოლის რეფორმები სამხედრო და სამოქალაქო რეფორმების მოთხოვნებიდან არის გამომდინარე.
2. დაასაბუთეთ, რომ კოლონიებში რუსეთის მიერ სკოლების გახსნის მიზანი, კოლონიზატორული პოლიტიკის მომსახურებაა.
3. გვიჩვენეთ ირანისა და ინდოეთის განათლებისა და კულტურის ჩამორჩენის მსგავსი და განსხვავებული მხარეები.
4. ევროპის, ამერიკის და აღმოსავლეთის ხალხების მეცნიერების და კულტურის განვითარების დონე დააკავშირეთ მათ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყაროსთან.
5. დაადგინეთ ამ დროის დიდი მწერლების შემოქმედების მსგავსი მხარეები და ახსენით ამ მსგავსების მიზეზები.
6. შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის გარკვეული პერიოდის შესწავლის შემდეგ, მისი ლიტერატურის თემების დაახლოებითი გარკვევა? პასუხი დაასაბუთეთ.

# II განყოფილება. მსოფლიოს ქვეყნები 1918-1945 წლებში

## თავი IV. ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები

### 10. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა

*XX საუკუნის ყველაზე დიდმა ტრაგედიამ–პირველმა მსოფლიო ომმა გვიჩვენა, რომ დიდი ქვეყნების მიერ მსოფლიოს გადანაწილების სურვილი არ ხდება მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭის და ზეპოზიციების მიზეზი.*

**ვინ გახდნენ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული და დამარცხებული მხარეები? რომელი იმპერიას მოეღო ბოლო? რა დონეზე დაიცვეს სამართლიანობის პრინციპები გამარჯვებულმა ქვეყნებმა?**

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მოგვარებისათვის 1919 წლის იანვარში პარიზში ჩატარდა მშვიდობის კონფერენცია. კონფერენციამ გააგრძელა თავისი მუშაობა ივნისის ბოლომდე. აქ წამყვან როლს თამაშობდნენ "***დიდი სამეული***" -აშშ, დიდი ბრიატანეთი და საფრანგეთი. არ იყვნენ მოწვეული დამარცხებული ქვეყნები და საბჭოთა რუსეთი.



**დიდი სამეული: ჯორჯ კლემანსო, ვუდრო ვილსონი, დევიდ ლოიდ ჯორჯი. პარიზი 1919 წელი**

**თქვენი აზრით, რა იყო საბჭოთა რუსეთის მოუწვევლობის მიზეზი?**

კონფერენციის მიზანი იყო გერმანიასა და სხვა დამარცხებულ ქვეყნებთან ზავის მომზადება. ზავის საფუძველი იყო ვ.ვილსონის მიერ კონგრესზე წარმოდგენილი "***14 მუხლისაგან***" შემდგარი "მსოფლიოს სამართლიანად ხელახალი მოწყობის პრინციპების" ორგანიზება.

**"14 მუხლის" მთავარი შინაარსი:**

1. ფარულ დიპლომატიაზე უარის თქმა; 2. თავისუფალი ვაჭრობა; 3. შეიარაღების შემცირება; 4. ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება. 5. ყველა კოლონიალური საკითხის უანგაროდ გადაწყვეტა. 6. ომის შემდეგ მსოფლიოს სამართლიანი სახით ხელახლა მოწყობის აუცილებლობა.

***1919 წლის 28 ივნისს პარიზის ვერსალის სასახლეში*** გერმანიასთან ხელი მოეწერა ზავს.

თავის ტერიტორიაზე არსებული გერმანიის ქონების იაპონიისათვის გადაცემით უკმაყოფილო ჩინეთმა ხელშეკრულებას არ მოაწერა ხელი. ერთა ლიგის წევრად არ ყოფნის გამო აშშ-ის სენატმა არ დაამტკიცა ხელშეკრულება. ***ვერსალის*** სამშვიდობო ხელშეკრულება ავსტრიასთან ***სენ–ჟერმენი,*** ბულგარეთთან ***ნეის***, უნგრეთთან ***ტრიანონის***, ოსმალეთის იმპერიასთან ***სევრის***



ზავის ხელმოწერით დასრულდა. საზავო ხელშეკრულებები, საერთო ჯამში, ვერსალის სისტემას შეადგენდა.

**ვერსალის ზავის ხელმოწერა**

### ვერსალის სისტემაში არსებული ხელშეკრულებები

**პარიზი (1919 წლის ივნისი)– გერმანიამ აღიარა დანაშაული ომის დაწყებაში და პასუხისმგებლობა მისი შედეგებისათვის მოკავშირეებთან ერთად. გენერალური შტაბი იქნა დათხოვნილი. გერმანიამ რეინის ზონის განიარაღება საკუთარ თავზე აიღო. ელზასი და ლოტარინგია დაუბრუნდა საფრანგეთს. 15 წლის ვადით ერთა ლიგის მმართველობაში გადასული საარის ქვანახშირის აუზი დაეთმო საფრანგეთს.**

**ტრიანონი (1919 წელი, ნოემბერი)–დაფიქსირდა ავსტრია–უნგრეთის იმპერიის ნგრევა; უნგრეთმა დაუთმო რიგი ტერიტორიებისა რუმინეთს, სერბ–ხორვატ–სლოვენიის სამეფოს, ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიას.**

**სენ–ჟერმენი (1919 წელი, სექტემბერი)–ავსტრია–უნგრეთის იმპერიის დაშლისა და ახალი სახელმწიფოების (უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და სერბ–ხორვატ–სლოვენიის) შექმნას ოფიციალური სახე მიეცა.**

**ნეი (1919 წელი, ნოემბერი)–რუმინეთისა და სერბ–ხორვატ–სლოვენიის სასარგებლოდ მოხდა დათმობა; ბულგარეთს თავისი შეიარაღებული ძალები 20 ათასამდე უნდა შეემცირებინა და მძიმე კონპენსაცია გადაეხადა; ბულგარეთს ეგეოსის ზღვაზე გასვლა აეკრძალა.**

**სევრი (1920 წელი, აგვისტო)–ოსმალეთმა დაკარგა რიგი კოლონიებისა. ტერიტორიის 4/5 დაკარგა. ანადოლუს აღმოსავლეთში გამოგონილი სომხეთისა და ქურთისტანის სახელმწიფოების შექმნა იყო გათვალისწინებული.**

**გამოიკვლიეთ ვერსალის სისტემის არსი.**




**1919 წელს ვერსალის ზავის შედეგად ევროპის ტერიტორიული ცვლილებები**

პარიზის კონფერენციის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგებიდან ერთ-ერთი იყო ***ერთა ლიგის*** ჩამოყალიბება. ორგანიზაციის ძირითადი მოვალეობა იყო ხალხებს შორის ურთიერთობების განვითარება, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა. დამარცხებული სახელმწიფოებისათვის ჩამორთმეული მიწები ერთა ლიგის მიერ დაარსებული ***მანდატური სისტემის*** საფუძველზე გამარჯვებულებმა ხელახლა გადაინაწილეს. მანდატები მიეცა ინგლისს, საფრანგეთს, იაპონიას და ბელგიას. გერმანიის აფრიკაში და წყნარ ოკეანეში არსებული კოლონიები გადავიდა მანდატების მქონე ქვეყნების მეთვალყურეობაში. ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს დაეუფლნენ არაბულ ქვეყნებში მანდატების მეპატრონეები.

მანდატური სისტემა-ყოფილი გერმანული კოლონიებისა და ოსმალეთის საქონლის მფარველობის ფორმით გადანაწილება.

**უფრო მეტად ვისი ინტერესები იყო გათვალისწინებული გამარჯვებული ქვეყნების მიერ ერთა ლიგის ჩამოყალიბების დროს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.**

პარიზის კონფერენციაზე ყველაზე სადავო საკითხებიდან ერთ-ერთი იყო გერმანიისაგან კონპენსაციის მიღება. გამარჯვებულ ქვეყნებს შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობის გამო ისინი ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხზე.

ვერსალის სისტემის "დასრულების" მიზნით 1921 წლის ბოლოს - 1922 წლის დასაწყისში მოიწვიეს ***ვაშინგტონის კონფერენცია.*** კონფერენციაზე წინანდელი ხელშეკრულებები გადაიხედა და რიგი გადაწყვეტილებებისა იქნა მიღებული. შეერთებული შტატებმა მიაღწია ოთხი ქვეყნის - აშშ, ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის წყნარ ოკეანეში ქონების ერთობლივი დაცვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას. ჩინეთს აშშ-ს "ღია კარის" პრინციპი წარედგინა. კონფერენციაზე განიხილეს იაპონიის შანდუნის ნახევარკუნძულის ჩინეთისათვის დაბრუნების საკითხიც.

**თქვენი აზრით, რა იყო ვაშინგტონის კონფერენციაზე აშშ-ის აქტიურობის მიზეზი?**

***პარიზის და ვაშინგტონის კონფერენციის*** გადაწყვეტილებები წარმოადგენს ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის საფუძველს. მართალია მისმა დაარსებამ ომის შემდგომი დაძაბულობის შემცირებას საშუალება მისცა, მაგრამ ვერ მოაგვარა ყველა წინააღმდეგობა. თუმცა თვითონ ამ სისტემას ჰქონდა გარკვეული სიძნელეები და წინააღმდეგობები. წინააღმდეგობები, ძირითადად, მისი დამაარსებლების უსამართლობიდან იყო გამომდინარე.

აშშ-მ ვერსალის სისტემაზე თავი შეიკავა, არ დაამტკიცა მისი გადაწყვეტილებები. მისი ერთა ლიგაში მონაწილეობაზე უარის თქმა გახდა ამ სისტემის საფუძვლის დასუსტების მიზეზი. მიუხედავად ამისა, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემამ გარკვეული გზა გაუხსნა მსოფლიოს საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე განვითარებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკური ურთიერთობების აღსადგენად პირველი მცდელობა იყო რუსეთისა და გერმანიის მონაწილეობით ***გენუას კონფერენციის*** (1922 წელს, აპრილ-მაისი) მოწვევა. კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენლობაში ნ. ნარიმანოვი მონაწილეობდა. კონფერენციის მსვლელობის დროს რუსეთმა გერმანიასთან შეთანხმებას მოაწერა ხელი. ეს იყო მათთვის ეკონომიკური ბლოკადიდან გამოსვლის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. ***1925 წელს ლოკარნოს კონფერენციაზე*** გერმანიას, ბელგიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და იტალიას შორის მომარაგების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ამას ***რეინის უზრუნველყოფის პაქტსაც*** უწოდებენ. ამრიგად, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა არაპირდაპირი გზით აღიარეს ვერსალის ზავის არასამართლიანობა.



**ნარიმან ნარიმანოვი**

**რა იყო მიზეზი დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მიერ ვერსალის ზავის არასამართლიანად აღიარების?**



არისტიდ ბრიანი



ფრენკ ქელოგი

საერთაშორისო პოლიტიკური პირობების შერბილებისათვის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბრიანმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ფ. კელოგმა 1928 წ. აგვისტოში დააყენეს საკითხი, ბრიან-კელლოგის ხელშეკრულებისა, სადაც მონაწილეობდა 48 ქვეყანა და რომელმაც ითამაშა გარკვეული როლი. ხელშეკრულებაზე ხელმომწერმა მხარეებმა ვალდებულება აიღეს, რომ უარს იტყოდნენ ომების წარმოებაზე, ყველა ურთიერთობა და სადავო საკითხი გადაიჭრებოდა მშვიდობიანი გზით. ერთი წლის შემდეგ ამ ხელშეკრულებას შეუერთდა სსრკ-ც.

**რა დონეზე დამაჯერებელი იყო ამ ქვეყნებისათვის აღებული ვალდებულებების შესრულება?**

20-იანი წლებიდან აშშ საერთაშორისო ურთიერთობებში ატარებდა იზოლაციის პოლიტიკას. სწორედ ამ ხაზმა მსოფლიო პოლიტიკაში დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი წამყვან ქვეყნებად აქცია. თუმცა ომში დასუსტებულმა ამ ქვეყნებმა თავისი მოვალეობა ბოლომდე ვერ შეასრულეს.

**კითხვები და დავალებები:**

1. განიხილეთ ვერსალ-ვაშინგტონის სისტემაში შესული ზავები და გააკეთეთ დასკვნები.
2. შეადარეთ ვერსალისა და სევრის ზავები.
3. განმარტეთ ერთა ლიგის დაარსების მიზანი.
4. რა განსხვავებაა ვენის კონგრესზე დაარსებულ „წმინდა კავშირ"-სა და ერთა ლიგას შორის?
5. გაანალიზეთ ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შედეგები, გამოთქვით მოსაზრებები.
6. მოამზადეთ ვერსალ-ვაშინგტონის სისტემაში არსებული წინააღმდეგობების ამსახველი სქემა.
7. განასხვავეთ 1871 წ. ვერსალის (პარიზი) ზავი 1919 წ. ვერსალის ზავისაგან.
8. გამოთქვით თქვენი აზრი გენუას და ლოკარნოს კონფერენციის შედეგების შესახებ.

## 11. გერმანია და იტალია

***პირველ მსოფლიო ომში მსოფლიოს კატასტროფებამდე და ნგრევებამდე მიმყვანი გერმანია ახალ პერიოდში შევიდა დანგრეული ეკონომიკური მდგომარეობით. იტალია კი იქცა გამარჯვებულ ქვეყნებს შორის იმედგაცრუებულ ქვეყნად.***

**როგორ უნდა გამოვიდეს შექმნილი მდგომარეობიდან მძიმე პირობებით ომში დამარცხებული გერმანია? კიდევ რა მოვლენები მოხდება მსოფლიოს ახალი ომებისაკენ წასაყვანად? ვის ხელში გადავა ხელისუფლება იტალიაში?**

**გერმანია.** პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა და ეკონომიკა განადგურებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა გერმანიამ

დაიწყო თავისი "ყოფის გამოსწორება". 1918 წლის ნოემბერში გერმანიაში დაემხო მონარქია. მომდევნო წლის ივნისში ქალაქ ვეი-მარში შეკრებილმა დამფუძნებელთა კრებამ მიიღო გერმანიის კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიხედვით, გერმანიაში ფედერალური წყობა, პარლამენტიანი საპრეზიდენტო რესპუბლიკა გამოცხადდა. გამარჯვებულ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობებით ისარგებლა გერმანიამ და საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. დასავლეთის ქვეყნებმა გერმანიაში სტაბილურობის შექმნის შემდეგ დაიწყეს მისი დახმარება ეკონომიკური აღორძინების საქმეში. რეინის უსაფრთხოების ხელშეკრულება გერმანიას დაეხმარა აღორძინებაში. ეს ხელშეკრულება გახდა პირველი ნაბიჯი ომის შემდეგ გერმანიის თანასწორუფლებიანობის აღიარებისა. 1926 წელს გერმანია ერთა ლიგაში იქნა მიღებული.

**რატომ მოაწერა ხელი გერმნიამ რუსეთთან ხელშეკრულებას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.**

*ნაცისტური პარტია – 1919 წელს დაარსებული და ჰიტლერის მიერ მართული გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტია.*

***1919 წელს*** ნაცისტური პარტიის დაარსება და შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლა გერმანიის ისტორიის ამ პერიოდის ყველაზე ტრაგიკული მოვლენათაგანია. გერმანიის ***ნაცისტური პარტიის*** პირველადი დევიზები იყო "ერი, ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი ფიურერი" (ხელმძღვანელი). პარტიის გამოჩენილი ლიდერი იყო ადოლფ ჰიტლერი. 1923 წლის ნაცისტების ამბოხება წარუმატებელი იყო. ა. ჰიტლერს 5 წლით პატიმრობა შეეფარდა. იგი პატიმრობაში 7 თვეს დარჩა. პატიმრობაში ყოფნისას მან დაწერა წიგნი "***ჩემი ბრძოლა***" ***("მაინ კამპფ").***



**რეიხსტაგის შენობა**

1932 წლის არჩევნებში გერმანიის ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე სიძნელეებით ნაცისტებმა ისარგებლეს და სხვადასხვა დაპირებებით გაიმარჯვეს. პრეზიდენტმა ფ. ჰინდენბურგმა ადოლფ ჰიტლერი დანიშნა რეიხსკანცლერად. ჰიტლერმა გააუქმა ქვეყანაში დემოკრატიული თავისუფლებები და დაიწყო პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ღია ტერორი. გაუქმდა ვეიმარის კონსტიტუციის მიერ განსაზღვრული დემოკრატიული თავისუფლებები. ნაცისტური პარტიის გარდა აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია. დაარსდა ***საიდუმლო პოლიცია (გესტაპო***). 1933 წლის შემოდგომაზე გერმანიამ დატოვა ერთა ლიგა. 1934 წლის აგვისტოში ჰინდერბურგის სიკვდილის შემდეგ მთელი ხელისუფლება ჰიტლერის ხელში იქნა კონცენტრირებული. ქვეყანაში ***ავტორიტარული*** ფაშისტური დიქტატუტურა დამყარდა. ჰიტლერმა გააუქმა ვერსალის ზავის მთელი რიგი სამხედრო მუხლები, გერმანიის ჯარის რიცხვი გაზარდა და ყველა სახის იარაღების წარმოება აღადგინა. ამრიგად გერმანია იქცა ევროპის ომის კერად.

*რეიხსკანცლერი–გერმანიის იმპერიაში და ვეიმარის რესპუბლიკაში მთავრობის ხელმძღვანელი.*

*ავტორიტარული რეჟიმი–პოლიტიკური ხელისუფლების ერთი პიროვნების ან პიროვნებების ერთი ჯგუფის მიერ მმართველობის ფორმაა.*

**განმარტეთ გერმანიის მიერ პარიზის ზავის პირობების დარღვევისა და ხელახალი შეიარაღების მიზეზები.**

გამოკითხვის საფუძველზე საარის ოლქი დაუბრუნდა გერმანიას. აღდგა სამხედრო ვალდებულება და გენერალური შტაბი. დაიწყო სამხედრო, საჰაერო, წყალქვეშა ფლოტის შექმნა. ამრიგად გერმანია ფლობდა ევროპაში ყველაზე ძლიერ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და სამხედრო ტექნიკით შეიარაღებულ ჯარს.

გერმანიის მიერ დემილიტარიზებულ რეინის ზონაში ჯარის შეყვანით ვერსალის სისტემამ მარცხი განიცადა.

**რა იყო გერმანიის ამ დონეზე გაძლიერება – შეიარაღების, ევროპის ხელახლა ომის კერად გადაქცევის მიზეზი? აწარმოეთ კვლევა.**



ჩეხოსლოვაკიაში გერმანელების საცხოვრებელი სუდეტის პროვინციის გერმანიისათვის გადაცემის მიზნით მიუნხენის შეხვედრის მონაწილეები: ადოლფ ჰიტლერი, ბენიტო მუსოლინი, ედუარდ დალადიე, ნევილ ჩემბერლენი

1936 წლის შემოდგომაზე შეიქმნა გერმანია-იტალიის კავშირი. ამ დროს გერმანიასა და იაპონიას შორის **ანტიკომინტერნის** პაქტს მოეწერა ხელი. ცოტა ხნის შემდეგ იტალიაც შეუერთდა ამ პაქტს.

ჰიტლერის სამშობლოდ ჩათვლილი ავსტრიის მშვიდობიანი გზით შეერთება გახდა აგრესიული პოლიტიკის გაფართოების მიზეზი. მსხვილი ქვეყნების ამ აგრესიის მიმართ თვალის დახუჭვამ, 1938 წლის შემოდგომაზე მიუნხენის "გარიგებაზე" ხელმოწერამ, ევროპაში ომის ცეცხლის გაჩაღების პირობა შექმნა. 1940 წლის სექტემბერში მსოფლიოს გადანაწილების მიზნით გერმანია-იტალია-იაპონიამ სამთა პაქტს მოაწერეს ხელი. შემოდგომაზე ამ პაქტს შეუერთდნენ ჰიტლერის მომხრეებად მიჩნეული უნგრეთი, ბულგარეთი, ფინეთი, რუმინეთი და დანია.

**რით განმარტავთ დიდი ქვეყნების ფაშიზმის გავრცელებაზე თვალის დახუჭვის მიზეზებს?**

**იტალია.** იტალია პირველი მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების რიგში გამოვიდა. მისი ახალი ტერიტორიების მოპოვების, საერთაშორისო სამყაროში გავლენის სფეროს გაძლიერების სურვილი ამაო გამოდგა. საერთაშორისო არენაზე რეპუტაციის გამაგრების მცდელობა ვერ განხორციელდა. ომის შემდეგ ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა სოციალური დაპირისპირებები. ხელისუფლებამ უკმაყოფილო ხალხის მასების ძალისმიერი გზით გაჩუმებისათვის შექმნა სპეციალური ჯგუფები. მათ შორის ერთ-ერთი ბენიტო მოსულინის მიერ დაარსებული „***ფაშისტური****** ბრძოლის ჯგუფების კავშირი" იყო. მათ „შავპერანგიანებსაც" უწოდებდნენ. ფაშისტების პროგრამაში თანამშრომლობა, ძლიერი სახელმწიფო, ნაციონალიზმის იდეები იკავებდა ძირითად ადგილს.

**ფაშიზმი–იტალიური სიტყვაა ნიშნავს რაზმს.**

ფაშისტების ანტიდემოკრატიული, ტერორისტული მოძრაობების წინააღმდეგ იტალიის მრავალ ადგილებში „ხალხის მამაცები"ორგანიზაციები დაარსდა, მაგრამ ბრძოლა ვერ მიიყვანეს ბოლომდე. ***1921 წლის აგვისტოში*** ფაშისტურ პარტიასა და იტალიის სოციალისტურ პარტიებს შორის გაფორმდა "***დაშოშმინების პაქტი***". მხარეებმა ერთმანეთის წინააღმ-დეგ მტრობაზე უარის თქმის პასუხისმგებლობა აიღეს. ამიტომაც იტალიაში ანტიფაშისტური ერთობის დაარსება გახდა შეუძლებელი.

**რომელ მოვლენებს გაუხსნა გზა იტალიაში "დაშ-ოშმინების პაქტმა"?**

მომდევნო წლის შემოდგომაზე ფაშისტების მიერ ნეაპოლში გამართულ შეკრებაზე გამოცხადდა „მსვლელობა რომში“. შე-შინებულმა მეფე ვიქტორ ემანუელ III-მ ქვეყნის მართვისათვის მუსოლინი მოიწვია რომში. ამრიგად, სახელმწიფო გადა-ტრიალების შედეგად ხელისუფლებაში ფაშისტები მოვიდნენ. ქვეყანაში უქმდებოდა კონსტიტუციური თავისუფლება. ***1922 წლის ბოლოს*** მუსოლინის მეთაურობით, დაარსდა დიდი ფა-შისტური საბჭო. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნ-ქციების საკუთარ თავზე ამღებმა ფაშისტებმა გაიმარჯვეს მორიგ საპარლამენტო არჩევნებში. მუსოლინის დიქტატორის უფლე-ბამოსილება კანონიერად მიეცა. ***1929 წელს*** მუსოლინიმ და რო-მის პაპმა შეთანხმებას მოაწერეს ხელი. მუსოლინის მთავრობამ ***კორპორატიულ სახელმწიფოს**** შექმნის იდეის განხორ-ციელება დაიწყო. იტალიის ფაშიზმი გერმანიის ნაციზმისაგან განსხვავებით მონარქიის პირობებში მოღვაწეობდა და არ გააჩნდა ვრცელი დაპყრობითი პრეტენზიები.



ვიქტორ ემანუელ III

**კორპორატიული სა-ხელმწიფო- შრომითი ურთიერთობების სახელმწიფოს მხრიდან დარეგულირებაა.**

**კითხვები და დავალებები:**

1. რატომ მიიჩნევა ტრაგედიად ნაცისტური პარტიის დაარსება და ხელისუფ-ლებაში მოსვლა? ინფორმაციის მოგროვებით მოამზადეთ პრეზენტაცია.
2. გვიჩვენეთ იტალიაში ფაშიზმის დაარსებისა და ღია გამოსვლების პირობების შექმნის ფაქტორების მიზეზები.
3. გვაცნობეთ თქვენი კრიტიკული აზრი, თქვენს მიერ შეგროვილი ინფორ-მაციების საფუძველზე და შეადარეთ ნაციზმის და ფაშიზმის იდეები.
4. შეაფასეთ ა. ჰიტლერის პოლიტიკური ნაბიჯები დროის თვალსაზრისით.
5. ფაქტებით დაამტკიცეთ, რომ ა. ჰიტლერი და მუსოლინი კაცობრიობისათ-ვის საშიში პიროვნებები იყვნენ.

| გერმანელი ნაცისტების იდეები | იტალიელი ფაშისტების იდეები |
|---|---|
| სოციალური ჯგუფების თანამშრომ-ლობა, რასიზმის აგიტაცია, ძლიერი ტოტალიტარული და ავტორიტარუ-ლი სახელმწიფოს დაარსება | თანამშრომლობა, მისი უზრუნ-ველმყოფი ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება, ნაციზმი |

6. განმარტეთ დიდი ფაშისტური საბჭოს დაარსების მიზეზები.
7. შეადარეთ გერმანიის ფაშიზმი და იტალიის ფაშიზმი ვენის დიაგრამის საფუძ-ველზე.

## 12. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები

***დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და აშშ იყვნენ პირველი მსოფლიო ომის გამარჯვებული ქვეყნები. ომის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტა ამ ქვეყნების ინტერესების შესაბამისი ზავის დადებით დასრულდა. ამის მიუხედავად ამ ქვეყნების ინტერესები ზოგიერთ საკითხებში დარჩა განუხორციელებელი.***

**როგორი იყო ამ ქვეყნების მდგომარეობა მომდევნო პერიოდებში? რა მისცა გამარჯვებამ ამ ქვეყნებს? რა როლი ითამაშა მათ ცხოვრებაში პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა?**



**რამსეი მაკდონალდი**

**დიდი ბრიტანეთი.** დიდმა ბრიტანეთმა ომის წლებში ეროვნული სიმდიდრის ერთი მესამედი დაკარგა. 1924 წელს არჩევნებში გამარჯვებულმა ლეიბორისტებმა, რამსეი მაკდონალდის მეთაურობით, შექმნეს პირველი ლეიბორისტული მთავრობა. ახალმა მთავრობამ დაიწყო მუშებისათვის ახალი სახლების აშენება, უმუშევრობისათვის დაზღვევის ახალი სისტემის გაუმჯობესება, ვერ შეასრულეს დაპირებების მეტი ნაწილი, ამან გამოიწვია მუშებს შორის უთანხმოება. ამიტომაც ოქტომბრის არჩევნებში კონსერვატორებმა ჩამოაყალიბეს ახალი მთავრობა. მიუხედავად სოცილურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისა, დიდი ბრიტანეთის ნახშირის მოპოვების წარმოება კრიზისს განიცდიდა. ეს გახდა მთელი ქვეყნის მაღაროელების საერთო გაფიცვების მიზეზი. მთავრობის მხრიდან საერთო გაფიცვების და დემონსტრაციების აკრძალვამ კონსერვატორების მთავრობის კრახი გამოიწვია.

**გვიჩვენეთ ლეიბორისტების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიმართ თქვენი დამოკიდებულება. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ღონისძიებების გატარებას?**



**ნევილ ჩემბერლენი**

1929 წლის არჩევნებში კონსერვატორები დამარცხდნენ ლეიბორისტებთან. მათ მსოფლიოში გამეფებული ეკონომიკური კრიზისის შედეგების შერბილების მიზნით უმუშევრებისათვის გააფართოვეს დაზღვევა, გაატარეს ღონისძიებები მუშახელის სამრეწველო წარმოების დაწესებულებებში მუშაობით დაინტერესებისათვის. მიუხედავად ამისა მთავრობის მუშაობით უკმაყოფილების მატებამ ლეიბორისტები მიიყვანა გადადგომამდე. 1931 წელს დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტების, ლიბერალების და კონსერვატორების მონაწილეობით შეიქმნა ეროვნული მთავრობა. ახალი მთავრობა შეეცადა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილებას. ამ მიზნით საბანკო კრედიტების პროცენტები შეამცირა, გაზარდა სოფლის მეურნეობის დახმარება.

30-იანი წლების მეორე ნახევარში ხელისუფლებაში მყოფი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ნ. ჩემბერლენის მთავრობა მოიხ-

სენიება წარუმატებელ მთავრობად. მის დროს ევროპაში ფაშიზმის "დაშოშმინების" მიზნით ხელმოწერილი ***მიუნჰენის გარიგება (1938 წლის სექტემბერი)*** დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში ყველაზე წარუმატებელი ნაბიჯთაგანი იყო.

**რატომ ითვლება მიუნჰენის გარიგება დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ყველაზე წარუმატებელ ნაბიჯად?**

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ეკონომიკას ომმა დიდი დარტყმა მიაყენა. საფრანგეთი გამარჯვებულ ქვეყნებს შორის იყო. მაგრამ ფინანსურად დამოკიდებული იყო აშშ-სა და დიდ ბრიტანეთზე. 1919 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად დაარსებულმა ეროვნული ბლოკის მთავრობამ კრიზისის აღმოსაფხვრელად გამოიჩინა ძალისხმევა.

კონპენსაციის გადახდევინებისათვის „მეთვალყურეობის“ სახელით საფრანგეთმა და ბელგიამ 1923 წელს რურში შეიყვანეს ჯარის ნაწილები. ამ ოპერაციის წარუმატებლობა გახდა ეროვნული ბლოკის დაშლის დასაწყისი. მორიგ არჩევნებში ე. ერრიონის მეთაურობით გაიმარჯვა მემარცხენე ბლოკმა, მაგრამ ქვეყანაში სტაბილური მთავრობის ჩამოყალიბება ვერ შეძლო.

**თქვენი აზრით, რა იგულისხმება როდესაც ვამბობთ კომპენსაციის გადახდა? გამოიკვლიეთ.**

ფუანქარენის მეთაურობით ეროვნული ერთობის მთავრობამ გაატარა რიგი ღონისძიებებისა ეკონომიკური სიძნელეების აღმოფხვრის მიზნით. გადასახადების მომატებით, სახელმწიფო მოხელეების ხელფასების შემცირებით უზრუნველყოფილ იქნა ფრანკის სტაბილურობა. თუმცა, ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი სიძნელეები რჩებოდა. ეს გახდა საფრანგეთის რამდენიმე მთავრობის შეცვლის მიზეზი. 1934 წლის დასაწყისში ხელისუფლებაში მოვიდა ე. დალადიე. ამ დროს დაარსდა საფრანგეთის მემარცხენე პარტიების გამაერთიანებელი სახალხო ფრონტი. 1936 წლის გაზაფხულზე არჩევნებში გაიმარჯვა სახალხო ფრონტმა. ქვეყანაში აღიკვეთა ფაშისტური დიქტატურის დაარსება.



ედუარდ დალადიე

მიღებულ ახალ კანონში ასახული იყო ფაშიზმის აკრძალვა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის და ფინანსური მხარის გაუმჯობესება და ა.შ.

**განმარტეთ სახალხო ფრონტის დაარსების მიზანი.**

1938 წელს ახალი მთავრობის დამაარსებელმა ე. დალადიემ სახალხო ფრონტს გამოუცხადა ერთგულება, მაგრამ მასთან შეწყვიტა ურთიერთობა. მან ფაშისტების სტიმულირება და ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩაურევლობის პოლიტიკის გატარება დაიწყო. საფრანგეთის მთავრობის, გერმანიის მხრიდან ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციაზე თვალის დახუჭ-

ვამ თავდამსხმელებს უფრო მეტი სტიმული მისცა. 1938 წლის დეკემბერში საფრანგეთმა და გერმანიამ „***თავდაუსხმე-ლობის***“ პაქტს მოაწერეს ხელი. ამით საფრანგეთის რეაქციული წრეები გერმანიას აღმოსავლეთისაკენ წასვლაზე მიუთითებდნენ.



უორენ ჰარდინგი

**შეაფასეთ საფრანგეთის ხელისუფლების "თვალის დახუ-ჭვის" პოლიტიკა.**

***აშშ.*** აშშ იყო პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამარჯვე-ბული ქვეყანა. ომი იყო მისთვის „დიდი ბიზნესი“. აშშ კაპიტა-ლის იმპორტის ქვეყნიდან იქცა ექსპორტის ქვეყანად. მას მო-გროვილი ჰქონდა მსოფლიოს ოქროს მარაგის მესამედი.

1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რეს-პუბლიკელმა უ. ჰარდინგმა. მისი ხელისუფლება დაემთხვა სტაბილურ პერიოდს. ქვეყანაში შეიმუშავეს ეფექტური მუშაობის მეთოდები. ფორდის ქარხნებში განხორციელებულმა კონვეირის მეთოდმა კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. 1923 წელს უ. ჰარდინგი გარდაიცვალა. რესპუბლიკელი კალვინ კულიჩი პრეზიდენტად იქნა არჩეული. მისმა ლოზუნგმა „***ამერიკის საქმე ბიზნესია***“ ძლიერი ბიძგი მისცა ეკონომიკის განვითარებას. პრეზიდენტი კულიჩის დროს განხორციელებული ერთ-ერთი სერიოზული ღონისძიება იყო ემიგრაციის კანონებში ცვლილება. სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან ემიგრაცია შეიზღუდა, ხოლო იაპონიიდან აიკრძალა. ამით აღიკვეთა აშშ-ში თავისუფა-ლი ემიგრაციის დინება.



კალვინ კულიჯი

**თქვენი აზრით, რას მიაღწია ამერიკამ ამ დინების აღკვეთით?**

მორიგ არჩევნებში გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა. აშშ მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა (1929-1933) ვინაიდან ამ კრიზისმა მთელი მსოფლიო მოიცვა, ამ კრიზისს დაერქვა დიდი კრიზისი. ეკონომისტ კ. ჯეინსის მთავრობა კრიზისიდან გამოსვლის გზას ხედავდა სახელმწიფოს მიერ მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

1932 წლის არჩევნებში დემოკრატი ფრანკლინ რუზველტი პრეზიდენტად იქნა არჩეული. მან ქვეყნის კრიზისიდან გა-მოყვანისათვის წამოაყენა „ახალი ხაზი“-ის პოლიტიკა. კონგრესმა მიიღო „ახალი ხაზი“-ს პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მთავარი ხაზი საზოგადოებაში იყო ეკონომიკური აქტივობის და სოციალური პროცესების ყველა სფეროში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერება.

ამ სფეროს პირველი ნაბიჯი იყო საბანკო სისტემაზე სახელ-მწიფო კონტროლის გაძლიერება. მრეწველობის მოწესრიგები-სათვის მიიღეს კანონი ეროვნული აღდგენის სამმართველოს დაარსების შესახებ. სოფლის მეურნეობის სფეროში მიღებულ კანონებში სახნავ-სათესი მიწების და მსხვილფეხა საქონლის რი-ცხვის შემცირება, სახელმწიფოს მხრიდან საქონლის შესყიდვის

გზით სოფლის მეურნეობის საქონლის მატებისათვის ბოლოს მოღება იყო გათვალისწინებული. მრეწველობაში შრომითი ურთიერთობების დარეგულირებისათვის ამოქმედდა ვაგნერის კანონი. ***"სოციალური უსაფრთხოების კანონი"-თ*** ამერიკის ისტორიაში პირველად განხორციელდა სახელმწიფო პენსია და სოციალური სისტემა.

**განმარტეთ ვაგნერის კანონის არსი.**

ზოგადად, რუზველტის მიერ განხორციელებული „ახალი ხაზი"-ს პოლიტიკის მთავარი არსი სახელმწიფოს საქმეში ჩარევის გზით კაპიტალიზმის საფუძვლების განმტკიცება და სოციალური რეფორმების გატარების ორგანიზება იყო. „ახალი ხაზის" პოლიტიკის განხორციელების შედეგად აშშ-ს ეკონომიკამ მიაღწია კრიზისამდელ მდგომარეობას. რუზველტის მიერ აშშ-ში განხორციელებული თვითმარეგულირებელი პოლიტიკა გვაუწყებდა კაპიტალიზმის ისტორიის ახალი საფეხურის დაწყებას. ფ. რუზველტი იკავებდა საგარეო პოლიტიკაში ნეიტრალურ პოზიციას. კონგრესის მიერ მიღებული „ნეიტრალიტეტის შესახებ კანონი"-ს თანახმად ამერიკის შეერთებული შტატები კონფლიქტის მონაწილე მხარეებისათვის იარაღის და საბრძოლო მასალის მიყიდვაზე ოფიციალურად ამბობდა უარს. ამ კანონის ნაკლოვნება იმაში მდგომარეობდა, რომ კანონში არ იყო აგრესორსა და აგრესიის მსხვერპლ სახელმწიფოს შორის განსხვავება.



**ფრანკლინ რუზველტი**

**კითხვები და დავალებები:**

1. შეადარეთ პირველი მსოფლიო ომის გამარჯვებული (აშშ, ინგლისი და საფრანგეთი) სახელმწიფოები პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.
2. ინფორმაციების შეგროვებით მოამზდეთ ესეები დიდი კრიზისის შესახებ.
3. განმარტეთ და გამოიკვლიეთ აშშ-ს დამოკიდებულება ფაშიზმის მიმართ .
4. შეადარეთ და მოამზადეთ სქემა უ. ჰარდინგის, ქ, კულიჩის და ფ. რუზველტის პოლიტიკური შეხვედრების შესახებ.
5. რატომ გამოვიდა ომიდან აშშ, ინგლისსა და საფრანგეთთან შედარებით უფრო დიდი მოგებით? გვიჩვენეთ მიზეზი.
6. გვიჩვენეთ 20-30-იან წლებში საფრანგეთში მთავრობის ხშირ-ხშირად გამოცვლის და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.
7. განმარტეთ „ამერიკის საქმე ბიზნესია" ლოზუნგის არსი. ლოზუნგის დამტკიცებისათვის გამოიყენეთ ფაქტები.

## 13. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

***XX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის ისტორიაში დაიწყო ახალი საფეხური. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დიდი ძალის მფლობელი სსრკ-ის დაარსება მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ცვლილებების მიზეზი გახდა.***

***რით შემოიფარგლებოდა სსრკ-ის დაარსების ისტორიული როლი?*** **ამ სახელწოდების ქვეშ მართვის სისტემა რა წესებით წარმოებდა? ეს მმართველობა დემოკრატიული საფუძვლებით იწარმოებოდა? რა სახის ცვლილებების მიზეზი გახდა მსოფლიოს ჰეგემონი სახელმწიფოების გეგმებში სსრკ-ის დაარსება?**

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში დაიწყო სამოქალაქო ომი. ომი ხელისუფლებაში მოსულ ბოლშევიკებსა (წითლებს) და დამხობილ ძალებს-თეთრებს შორის იყო. საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მოძრაობამ მოიცვა ქვეყანა. უკმაყოფილო ძალებს ბოლშევიკებმა უპასუხეს წითელი ტერორით. რუსეთის სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარე ვ.ი. ლენინის მითითებით მეფე ნიკოლოზ II-ის ოჯახის წევრები ერთად დახვრიტეს ეკატერინბურგში.

**სასურსათო გადასახადი-გლეხის ნამატი მოსავლის დაბალ ფასად სახელმწიფოსთვის ძალდატანებით ჩაბარებაა.**

**განმარტეთ: "უკმაყოფილო ძალებს ბოლშევიკებმა წითელი ტერორით უპასუხეს".**

**სამოქალქო ომი რუსეთში**




საბჭოთა მთავრობამ სამოქალაქო ომის პერიოდში აწარმოა ***სამხედრო კომუნიზმის**** პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მიხედვით, ყველა საწარმოო სფერო სახელმწიფოს ხელში ცენტრალიზებული გახდა. წარმოებასა და დანაწილებაზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი. სოფლის მეურნეობის მოსავალზე დაწესდა პირობითი გადასახადი, გლეხებისაგან ***"სასურსათო გადასახადი*"***-ს აღება დაიწყო. ეს პოლიტიკა ბოლშევიკებს დაეხმარა სამოქალაქო ომში გამარჯვებაში. სამოქალაქო ომის მსვლელობის დროს ბოლშევიკებმა ცნეს ბალტიისპირეთის ქვეყნების, ფინეთის და პოლონეთის დამოუკიდებლობა.

**განმარტეთ სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის არსი.**

სამოქალაქო ომის შემდეგ ბოლშევიკების მიერ წარმართული შიდა პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევდა. ეკონომიკური ჩამორჩენის და პოლიტიკური უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად საბჭოთა მთავრობა გადავიდა ***1921 წელს ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (აეპ).*** სასურსათო გადასახადი შეცვალა ნატურალურმა გადასახადმა. სასურსათო გადასახადი ნატურალურისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში გლეხის მიერ წარმოებული საქონლის ნამატის მესაკუთრე ხდება, მას უფლება ჰქონდა ეს ნამატი ბაზარში გაეყიდა. ეს თავის მხრივ გლეხებს მატებდა მატერიალურ ინტერესებს. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებებიდან ერთ-ერთი იყო სავაჭრო თავისუფლების მინიჭება. სამეურნეო ანგარიშიანი ერთობლივი დაწესებულებების დაარსება იყო გათვალისწინებული.



მეფე ნიკოლოზ II-ის დახვრეტა

**დაასაბუთეთ, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა დროის მოთხოვნა იყო.**

ამ პერიოდში რუსეთში მოხდა ერთპარტიული სისტემის ფორმირება. ბოლშევიკური პარტია იქცა ერთადერთ პოლიტიკურ პარტიად. ***1922 წლის დეკემბერში*** I საბჭოების ყრილობამ დაამტკიცა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანება – ***სსრკ-ის*** შექმნა. საბჭოთა საზოგადოების ფორმირებაში 20-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებულმა ინდუსტრიალიზაციამ, შემდეგ განხორციელებულმა კოლექტივიზაციამ, კულტურული და ზნეობრივი ცხოვრების კომუნისტური იდეოლოგიის საფუძველზე ფორმირების ღონისძიებებმა დიდი როლი ითამაშა. გასული საუკუნის 20-იანი წლების დასასრულიდან 30-იანი წლების ბოლომდე გატარებული ხუთწლიანი გეგმების შედეგად სსრკ აგრარული ქვეყნიდან იქცა ძლიერ სამრეწველო ქვეყანად.

**სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა-ეკონომიკის სამხედრო მოთხოვნილებების შესაბამისობაა. ეს პოლიტიკა მთელი მრეწველობის საკითხების ნაციონალიზაციას, შრომის ანაზღაურების გადახდის თანასწორობის მოლოდინს ითვალისწინებს.**

**განმარტეთ ხუთწლიანი დაგეგმვის მნიშვნელობა.**

სოციალისტური წყობის ყველაზე ტრაგიკული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი იყო კერძო მეურნეობების ***კოლმეურნეობებსა* და საბჭოთა მეურნეობებში**** გაერთიანება. ეს პოლიტიკა მიმართული იყო კულაკების განადგურებისაკენ. ათასობით ადამიანი ურალში, ციმბირში, ყაზახეთში იქნა გადასახლებული. კოლექტივიზაციის საფუძველზე გლეხები გადაიქცნენ საზოგადოების ყველაზე უუფლებო ნაწილად. 1932 წლის ბოლოს პასპორტიზაციის სისტემაზე გადასვლა სოფლებში არ განხორციელდა. უპასპორტო გლეხი დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილიდან შორს ვერ წავიდოდა.

**კოლხოზ (რუსულად)- ნიშნავს კოლექტიურ მეურნეობას.**

**სოვხოზ (რუსულად)- ნიშავს საბჭოთა მეურნეობას.**




## სსრკ-ის შექმნა

**ტოტალიტარული რეჟიმი–პოლიტიკური მმართველობის ფორმაა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მკაცრად სახელმწიფოს კონტროლზე დაქვემდებარებაა.**

**გვიჩვენეთ სოციალისტური გარდაქმნის სისტემის შემადგენელი ნაწილები, განმარტეთ მისი მნიშვნელობა.**

სოციალისტური წყობის პოლიტიკური შედეგი ქვეყანაში ტოტალიტარული სახელმწიფო სისტემის დაარსება გახდა. მმართველობა კომუნისტური პარტიის ხელში გადავიდა, იმ პარტიის, რომელიც დემოკრატიულ თავისუფლებას, პოლიტიკურ ოპოზიციას განძრევის საშუალებას არ აძლევდა. ეს ყველაფერი ***1936 წლის დეკემბერში*** მიღებული „გამარჯვებული სოციალიზმი" კონსტიტუციით განისაზღვრა.

**დაამტკიცეთ, რომ ერთპარტიულობა ტოტალიტარული სისტემიდან გამომდინარეობს.**

სოციალისტური მშენებლობა დევნის, ტერორის და მასიური პოლიტიკური რეპრესიების პირობებში ხორციელდებოდა. 30-იან წლებში 20 მილიონზე მეტი ადამიანი „***ხალხის მტრად***" იქნა გამოცხადებული და რეპრესირებული. საბჭოთა რუსეთის პირველი საერთაშორისო აქტები ყოფილი მეფის რუსეთის შემადგენლობაში მყოფ პოლონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, ესტონეთთან, ფინეთთან და საქართველოსთან ჰქონდა ხელმოწერილი. შემდგომში საბჭოთა რუსეთმა ხელმოწერილი ამ ხელშეკრულებებიდან არც ერთი არ შეასრულა.



სსრკ-ის გერბი

დიდი ქვეყნები იძულებული იყვნენ ეკონომიკური ინტერესების გამო საბჭოთა რუსეთთან დაემყარებინათ ურთი-

ერთობა. დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის სა-ვაჭრო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. 1921 წლის ბოლოს საბჭოთა რუსეთმა ევროპის რიგ ქვეყნებთან მიაღწია სავაჭრო ხელ-შეკრულების დადებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საერთაშორისო დონეზე წარსადგენად 1922 წელს იტალიის ქალაქ გენუაში გამართულ კონფერენციას. ქალაქ გენუას ახლოს გერმანიასთან ხელმოწერილმა რაფალოს შეთანხმებამ საბჭოთა რუსეთს შეუქმნა ეკონომიკური ბლოკადიდან გამოსვლის პირობა.

**როგორ გესმით ეკონომიკური ბლოკადა? რა მნიშვნელობა ჰქონდა რაფალოს შეთანხმებას საბჭოთა რუსეთისათვის?**

20-იან წლებში ევროპის ქვეყნების უმეტესობამ, მექსიკამ და იაპონიამ ოფიციალურად ცნეს სსრკ. ქვეყნის დამოუკიდებულება ყველაზე ბოლოს აშშ-მა აღიარა. 1934 წელს სსრკ მიიღეს ერთა ლიგაში. 30-იან წლებში გერმანიის, იტალიის და იაპონიის აგრესიული პოლიტიკის გამო სსრკ ევროპაში გამოვიდა კო-ლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის წინადადებით.

***1939 წლის აგვისტოში*** სსრკ-სა და გერმანიას შორის "***თავდაუმსხმელობის***" ***შესახებ მოლოტოვ – რიბენტროპის ფაქტს მოეწერა ხელი.*** შეთანხმებას თან ახლდა დამატებითი საიდუმლო პროტოკოლები, რომლის თანახმად ევროპა დაიყო გავლენის სფეროებად. პოლონეთის დასავლეთი და ლიტვა გერმანიის, ხოლო ესტონეთი ლატვია, ფინეთი, ბესარაბია ითვლებოდა სსრკ-ს გავლენის სფეროებად.

**შეაფასეთ სსრკ–ის 30–იანი წლების დასასრულის საგარეო პოლიტიკა.**

სსრკ-მა დასავლეთის საზღვრების გაფართოებასთან ერთად, ხალხინ გოლთან იაპონელები გაანადგურა. ამრიგად, მან ერთის მხრივ შორეულ აღმოსავლეთში ომის საფრთხე შეასუსტა, სხვა მხრივ, პოლონეთის გადანაწილების თანხმობით მეორე მსოფლიო ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი გახდა.



მოსკოვში მოლოტოვ–რიბენ–ტროპის პაქტის ხელმოწერა



სტალინის შეხვედრა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპთან



იაპონიის ჯარები ხალხინგოლის მახლობლად

**კითხვები და დავალებები:**

1. გამოარკვიეთ კოლექტივიზაციის პერიოდის გლეხებისა და რუსეთის ბატონყმობის პერიოდის გლეხების სოციალურ მდგომარეობას შორის არსებული მსგავსებები.
2. გვიჩვენეთ ჰიტლერული გერმანიისა და სსრკ-ს საგარეო პოლიტიკის მსგავსი მხარეები.
3. დაახასიათეთ ტოტალიტარული სახელმწიფო სისტემის შექმნა, როგორც სოციალისტური გარდაქმნის ბუნებრივი, კანონზომიერი შედეგი.
4. რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის მოვლენებს გადატრიალებას უწოდებენ. გამოთქვით ამის შესახებ თქვენი აზრი. გაანალიზეთ გადატრიალების შედეგი. ოქტომბრის მოვლენები გადატრიალება იყო თუ რევოლუცია?
5. დაასაბუთეთ, რომ სსრკ-ის შექმნა იყო რუსეთის იმპერიის აღდგენის დასაწყისი.
6. განმარტეთ და შეაფასეთ საბჭოთა სოციალისტური კულტურის გამოხატვის არსი.
7. დაასაბუთეთ, რომ სსრკ იყო მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მიზეზთაგანი.
8. შეადარეთ რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი რუსეთი.
9. წყაროების საფუძველზე გამოიკვლიეთ და მოამზადეთ პრეზენტაცია სსრკ-ის დაარსების შესახებ.

## V თავი. აზიის ქვეყნები

### 14. კავკასია და თურქული სამყარო

***ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კავკასიის ცხოვრებაში მოხდა დიდი ცვლილებები. მეფის რუსეთის მონობაში დარჩენილ ხალხებს უნდოდათ თავისუფლება, დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ. დაიწყო პოლიტიკური გამოღვიძება. ასეთ მდგომარეობაში ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები ისწრაფოდნენ თავიანთი მიზნებისაკენ.***

**რა კვალი დატოვა ამ პერიოდმა კავკასიასა და თურქულ სამყაროში? რა ცვლილებები მოხდა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ?**

**კავკასია.** 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა, რეგიონის მართვისათვის 14 ნოემბერს მიიღეს გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიის კომისარიატის შექმნის შესახებ. კომისარიატის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და რუსი წარმომადგენლები. მთავრობის ყველაზე დიდი წარმატება იყო 5 დეკემბერს კავკასიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციების შეწყვეტის შესახებ ***არზინჯანის შეთანხმების*** ხელმოწერა. სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ ***1918 წლის 10 თებერვალს სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) სეიმის*** დაარსება აუცილებლობად აქცია. თუმცა სეიმში ქართველ-სომხების უმრავლესობის გამო კავკასიის სხვადასხვა ადგილებში მუსლიმან-თურქების მოსახლეობის წინააღმდეგ სომხური სამხედრო დაჯგუფების მიერ ჩადენილი მკვლელობებისა და ყაჩაღობების, მათ შორის მარტ

აპრილში დაშნაკურ ბოლშევიკური ძალების მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული მასიური ჟლეტის მიმართ დარჩა გულგრილი. მიუხედავად აზერბაიჯანელების პროტესტისა, სეიმმა ყარსის, ერდაჰანისა და ბათუმის პროვინციების საკუთარი კონტროლის ქვეშ შენარჩუნების მიზნით ოსმალეთის იმპერიასთან დაიწყო ომი.



აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კრება

**შეაფასეთ სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) კომისარიატის საქმიანობა.**

მალე ოსმალეთის ჯარებმა ქართული და სომხური დაჯგუფებები დაამარცხა და სამხრეთ კავკასიის სეიმი აიძულა დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკება. ბათუმის სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობის დროს ქართველთა წარმომადგენელთა საბჭომ გერმანიასთან საიდუმლო მოლაპარაკებას მოაწერა ხელი. ***1918 წლის 11 მაისს*** ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხების საკავშირო რესპუბლიკამ (მთიელთა რესპუბლიკამ) დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1918 წლის 26 მაისს სამხრეთ კავკასიის სეიმის ქართულმა ფრაქციამ სეიმიდან გამოსვლა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. ამის შემდეგ სამხრეთ კავკასიის სეიმმა მოქმედება შეწყვიტა, ***28 მაისს*** აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა და სომხეთის (არარატი) რესპუბლიკა შეიქმნა. კავკასიაში დაარსებული დამოუკიდებელი ქვეყნების ცნობა პირველად ოსმალეთის იმპერიამ განახორციელა. ***1918 წლის 4 ივნისს*** სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან „მშვიდობის და მეგობრობის" შესახებ ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი.

**გამოიკვლიეთ სამხრეთ კავკასიის სეიმის დაშლის მიზეზები.**



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება

სომხეთი რესპუბლიკის შექმნის დღიდან მეზობლების წინააღმდეგ ტერიტორიულ პრეტენზიებს აყენებდა, იარაღის ძალით ახალი ტერიტორიების დაპატრონება უნდოდა. ბორჩალოს მაზრაში 1918 წლის 9 დეკემბერს სომხების აგრესიასთან დაკავშირებით სომხეთ-საქართველოს ომი დაიწყო. ომი ინგლისელების ჩარევით 31 დეკემბერს შეწყდა. 1918 წლის დეკემბერში ქალაქ ყარსში გამართულ კრებაზე სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის დაარსება გამოცხადდა. სამხრეთ კავკასიაში მეორე მუსლიმან-თურქული სახელმწიფოს დაარსების არამოსურნე ინგლისის ჯარებმა 1919 წლის 12 აპრილს ეს სახელმწიფო დაშალეს.

**რაში მდგომარეობდა ინგლისელების ინტერესი ამ სახელმწიფოს დაშლაში?**



**სომეხი აგრესორების წინააღმდეგ მებრძოლი ბორჩალოს აზერბაიჯანელი და ქართველი მოხალისეები**

1919 წლის ბოლოს საჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაამარცხა გენერალ დენიკინის თეთრგვარდიელთა ძალები და შეიჭრა ჩრდილო კავკასიაში. 1920 წლის გაზაფხულზე დაწყებული საბჭოთა რუსეთის სამხედრო ჩარევის შედეგად 1920-1921 წლებში ბოლო მოეღო სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობას. ***1922 წელს*** სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია - ***სკსრფ*** დაარსდა და ეს წარმონაქმნი იმავე წლის ბოლოს შეუერთდა სსრკ-ს.

**განმარტეთ რუსეთის მიერ კავკასიაში შექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნების დაპყრობისა და სსრკ–თან შეერთების მიზეზი.**

**ცენტრალური აზია და ყაზახეთი.** რუსეთში თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვება გახდა ცენტრალურ აზიასა და ყაზახეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების მიზეზი. ***1917 წლის დეკემბერში*** ყაზახეთის ეროვნული პარტია ალაშის მხრიდან ალაშ-ორდუს სახელწოდებით გამოცხადდა ეროვნული ყაზახეთის სახელმწიფოს შექმნა. 1920 წლის გაზაფხულზე, ძირითადად რუსებისაგან შემდგარმა ბოლშევიკურმა ძალებმა ალაშ-ორდუს სახელმწიფოს გადატრიალებიათვის ყაზახეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ინტერვენცია განახორციელეს. სახელმწიფო დაიშალა, ეროვნულ ძალებთან მოხდა სისხლიანი ანგარიშწორება.

***1920 წლის დასაწყისში*** I-მა საერთო ხორეზმის საბჭოების ყრილობამ გამოაცხადა ხივა-ხორეზმის საბჭოთა რესპუბლიკა. ხივას მოვლენებმა იმოქმედა ბუხარას საამიროზეც. თუმცა შედე-

გად ბუხარის ხელისუფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა.

საბჭოთა რუსეთმა ცენტრალური აზია და ყაზახეთი შეიყვანა ახლად შექმნილი იმპერიის შემადგენლობაში. 20-იან წლებში ამ რეგიონებში დაარსებული რესპუბლიკები „ნებაყოფილობით პრინციპით“ შევიდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში.

**რატომ იყო, რომ რესპუბლიკების სსრკ-ს შემადგენლობაში შესვლა "ნებაყოფილობით პრინციპით" ხორციელდებოდა?**

**ყირიმი, ვოლგისპირეთი და ურალი.** 1917-1918 წლებში ყირიმში, ვოლგისპირეთსა და ურალში თურქი ხალხების ეროვნულ-განთავისუფლებელმა ბრძოლამ მიიღო ფართო ხასიათი. ყირიმის თურქებმა 1918 წლის ნოემბერში დაარსეს ყირიმის სახალხო რესპუბლიკა. თუმცა გენერალ მ.ა. სულკევიჩის მეთაურობით არსებული მთავრობა რამდენიმე თვის შემდეგ თვითგვარდიელი რუსული ძალების მიერ დაიშალა. ***1917 წლის დეკემბერში*** ორენბურგში დაარსდა ბაშკირეთის ეროვნული მთავრობა. თუმცა ვოლგისპირეთსა და ციმბირის ტერიტორია წითლებსა და თეთრებს შორის გადაქცეული იყო ბრძოლის ველად, ამიტომ ამ ტერიტორიაზე დაარსებულმა ეროვნულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერ შეძლეს თავისი არსებობის შენარჩუნება. თეთრგვარდიელი კოლჩაკის არმია ბოლშევიკების წითელმა არმიამ გაანადგურა და 1920 წლის დასაწყისში დაიპყრო ეს ტერიტორიები.

**რატომ იყო, რომ ამ რეგიონის თურქ ხალხებს თავიანთი ეროვნული სახელმწიფოების შენარჩუნების საშუალება არ მიეცათ?**

**თურქეთი.** პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთის იმპერია დაიშალა, ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. გამარჯვებულმა ქვეყნებმა დაიწყეს თვით თურქეთის ნაწილებად დაშლა: ინგლისელებმა სამხრეთ აღმოსავლეთი ანადოლუ (ქილიკია), ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა აღმოსავლეთით თრაქია და შავი ზღვის სრუტეები, საბერძნეთმა დაიპყრო იზმირი. სულთანმა მეჰმედ VI-მ ამის საწინააღმდეგო არავითარი ღონისძიება არ გაატარა. მუსტაფა ქემალ ფაშამ ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის დაცვა აიღო საკუთარ თავზე, თურქი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. მისი მეთაურობით ***1919 წლის სექტემბერში სივასში დიდი ეროვნული საერთო თურქული კონგრესი*** შეიკრიბა და არჩეულმა წარმომადგენელთა კომიტეტმა მეჯლისის შეკრებამდე საკუთარი თავი გამოაცხადა ერთადერთ კანონიერ უფლებამოსილ ორგანოდ. სულთანმა მათი მოთხოვნით 1919 წლის ბოლოს მოიწვია მეჯლისი, 1920 წლის იანვარში სტამბულში მუშაობის დაწყებისთანავე დადო მეჯლსმა "ეროვნული ფიცი". ამ დოკუმენტში მუდროსის შეთანხმების დროს თურქეთმა საკუთარ საზღვრებში გამოაცხადა ტერიტორიული მთლიანობა. ამის გამგონე დამპყრობლები პანიკაში ჩავარდნენ და დაიკავეს სტამბოლის მთავრობის



**მატვეი (მემმედ ბეი) სულკევიჩი.**

მემმედ ბეი სულკევიჩი შემდგომში იყო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების შტაბის უფროსი და დახვრეტილი იქნა ბოლშევიკების მიერ. დახვრეტის დროს წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: "ბედნიერი ვარ, რომ გკვდები როგორც მუსლიმანების ჯარის ოფიცერი".



**ყირიმის სახალხო რესპუბლიკის დროშა**

სახლები, ყაზარმები, დაითხოვეს დეპუტატები. წარმომადგენელთა კომიტეტმა ანკარაში საკუთარი თავი გამოაცხადა დროებით მთავრობად და მოიწვია ახალი მეჯლისი.



მუსტაფა ქემალ ფაშა ათათურქი

**განმარტეთ ოსმალების დამარცხების მიზეზები პირველ მსოფლიო ომში. რატომ იყვნენ დაინტერესებული ჰეგემონი სახელმწიფოები ამ იმპერიის მიწების დანაწილებით? რომელი ტერიტორიები დაკარგეს ოსმალებმა ამ ომის შედეგად?**

***1920 წლის 23 აპრილს თურქეთი დიდი ეროვნული მეჯლისი (თდემ) გაიხსნა,*** მუსტაფა ქემალ ფაშა აირჩიეს თდემის თავმჯდომარედ და შეიქმნა მთავრობა. 1920 წლის ივნისში ბერძნების ჯარებმა დასავლეთ ანადოლუში ახალი ტერიტორიები დაიპყრეს. მოკავშირეებმა აიძულეს სულთანის ხელისუფლება, რომ სევრის ზავზე მოეწერა ხელი. თდემ-მა არ ცნო ხელშეკრულება, სულთანის მთავრობა გამოცხადდა უკანონოდ. ამ პერიოდში გენერალური შტაბის უფროსის ისმათ ფაშას მეთაურობით შეიქმნა ძლიერი რეგულარული ჯარი. ამ ჯარმა 1921 წლის იანვარში სოფელ ინონუს მახლობლად ბრძოლაში უკუაგდო ბერძნების ჯარის შეტევა. ისმათ ფაშას ამ გამარჯვებით ინონუს მეტსახელი დაერქვა. ეს ბრძოლა გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გარდატეხის წერტილი.

**რატომ მოიხსენიება სოფელ ინონუს მახლობლად ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარდატეხის წერტილად?**

1922 წელს 11 ოქტომბერს თურქეთმა ანტანტას მოკავშირეებთან გააფორმა ***მუდანიას შეთანხმება***. თდემ-მა 1 ნოემბერს გააუქმა სულთანის მმართველობა. ***1923 წლის 24 ივლისს ლოზანაში*** ანტალიასა და თურქეთს შორის დაიდო ხელ-

თურქეთის რესპუბლიკა



შეკრულება, დამპყრობელური რეჟიმი, მუდროსის და სერვის ზავები გაუქმდა, ცნეს თურქეთის დამოუკიდებულება და ახალი საზღვრები. 29 ოქტომბერს თდემ-მა თურქეთის რესპუბლიკა გამოაცხადა. მუსტაფა ქემალი პრეზიდენტად იქნა არჩეული. 1924 წელს კონსტიტუცია იქნა მიღებული.

**გაანალიზეთ ლოზანას ხელშეკრულების შედეგები.**

**ეტატიზმი**– ფრანგული სიტყვაა, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერებას ნიშნავს.

**მუსტაფა ქემალმა დაიწყო ვრცელი რეფორმების პროგრამის განხორციელება;**

- ქალსა და მამაკაცს მიენიჭა თანაბარი უფლებები;
- ეკონომიკის სფეროში გამოაცხადეს ეტატიზმის პოლიტიკა;
- გაუქმდა აშარის გადასახადი;
- ეროვნულ კაპიტალზე ზრუნვა;
- შეიქმნა სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებისათვის პირობები;
- გლეხების ოჯახებს დაურიგდა მიწის ნაკვეთები.




თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისი (1930)

**განიხილეთ განხორციელებული რეფორმები და გამოიტანეთ დასკვნები. როგორია თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა დღეს? შეადარეთ.**

რესპუბლიკელობის, ეროვნულობის, ხალხურობის, ეტატიზმის, სეკულარიზაციისა და რევოლუციურობის პრინციპების საფუძველზე ამ რეფორმებმა ქვეყანა დააყენა დემოკრატიული განვითარების გზაზე. თდემ-მა 1934 წელს მ. ქამალს ათათურქის ფსევდონიმი მიანიჭა.

**საგარეო პოლიტიკა.** თურქეთი 1932 წელს ერთა ლიგაში შევიდა. სრუტეებთან დაკავშირებით მიაღწია ლოზანას კონვენციის ხელახალ გადახედვას. ***1936 წელს მონტრეს*** კონფერენცია მოიწვიეს და გაფორმდა ახალი კონვენცია: შავ ზღვაზე გასასვლელის არ მქონე სახელმწიფოების სამხედრო გემებს სრუტეებში გავლა აეკრძალათ. ***1937 წელს*** თურქეთს, ავღანეთს, ირანსა და ერაყს შორის თავდაუსხმელობის შესახებ დაიდო ***საადაბადის ხელშეკრულება***. ამით, მეორე მსოფლიო ომის მიჯნაზე თურქეთის ნეიტრალიტეტს ჩაეყარა საფუძველი.

**კითხვები და დავალებები:**

1. ფაქტებით გვიჩვენეთ სომხეთის რესპუბლიკის დაპყრობითი პოლიტიკა. თანამედროვე დროსაც ამ დაპყრობითი პოლიტიკის ნიმუშების ჩამოთვლით განმარტეთ მოვლენები ურთიერთკავშირში.
2. შეაფასეთ ინგლისელების სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებული პოლიტიკა.
3. გაარკვიეთ მსგავსება სსრკ-ს ინტერესებსა და მეფის რუსეთის ინტერესებს შორის კავკასიაში.
4. ახსენით მუსტაფა ქემალის რეფორმების პროგრამის პრინციპები. გაარკვიეთ მისი პოლიტიკის შედეგები.
5. დაწერეთ ესე „მუსტაფა ქემალი დიდი პოლიტიკოსია“.
6. განიხილეთ აზრი „ისტორიის შემქმნელი ხალხთა მასები კი არა, ისტორიული პიროვნებებია“. ამ აზრის საფუძვლიანობა დაამტკიცეთ.
7. დაასაბუთეთ 1923 წლის 29 ოქტომბრის თდემ-ს მიერ თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების მნიშვნელობა.

## 15. ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია

***ჩინეთი პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც ნახევრად კოლონიურ და ნახევრად ფეოდალურ ქვეყნად რჩებოდა. ინდოეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გამოკეთდა, მაგრამ კოლონიური ქვეყანა იყო. იაპონია კი ომში ანტანტას მხარეზე იბრძოდა, ამიტომ უფრო ვრცელ ტერიტორიებს დაეპატრონა.***

**რა ბედი ეწია ამ ქვეყნებს ომის დამთავრების შემდეგ? რა ცვლილებები მოხდა მათ ცხოვრებაში?**

**ჩინეთი.** პირველ მსოფლიო ომში ჩინეთი დიდი ქვეყნების მიერ იყო განაწილებული „გავლენის სფეროებად“. რადგან ჩინეთი აგრარული ქვეყანა იყო, ფეოდალური ბატონობა განვითარებას ხელს უშლიდა. გლეხების უმეტესობას მიწის ნაკვეთი არ გააჩნდა, ან ფლობდნენ ძალიან პატარა ნაკვეთს. წარმოება ნელა ვითარდებოდა. მომწიფებულ რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ჰომინდანის პარტია.



ჩან კაიში

ეროვნულმა დემოკრატიულმა ძალებმა წამოაყენეს კოლონიზატორების გაძევების, მოქალაქეებისათვის თანასწორუფლებიანობის მიცემის, დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პრინციპები. ***1925 წელს*** სუნ იეცენის მიერ გუანჯოუში შექმნილმა მთავრობამ თავი გამოაცხადა მთელი ჩინეთის მთავრობად. თუმცა ეროვნული რვულუციის ჯარის მეთაურმა ჩან კაიშიმ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და ნანკინში შექმნა თავისი მთავრობა.

**განმარტეთ სუნ იეცენის მთავრობის დაარსების მნიშვნელობა ჩინეთისათვის.**

ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში კომუნისტების მმართველობით შეიქმნა „საბჭოთა“ რაიონები. ჩინეთში აღდგა ორხელისუფლიანობა: ჰომინდანების ნანკინის მთავრობა და კომუნისტების ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკა. მათ შორის სამოქალაქო ომმა მიიღო ფართო მასშტაბი .

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდში ჰომინდანის ჯარმა დაამარცხა კომუნისტები. სამხრეთ ჩინეთში გაუქმდა საბჭოთა რაიონები.

ჩინეთის სამოქალაქო ომმა საგრძნობლად გაადვილა ქვეყანაში შემოჭრილი იაპონელების საქმე. იაპონიის აგრესიის გამო მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეთანხმებულიყვნენ 1936 წლის ბოლოს სამოქალაქო ომის შეწყვეტის შესახებ. ჰომინდანებმა და კომუნისტებმა შექმნეს ერთიანი ანტიიაპონური ფრონტი. ამრიგად, ჩიენლი ხალხის მიერ იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ დაიწყო ომი ეროვნული განთავისუფლებისათვის.

**განასხვავეთ ერთმანეთისაგან სამოქალქო ომი და ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლა.**



მაჰათმა განდი

**ინდოეთი.** პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის მიერ ინდოეთში კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებასთან ერთად ხალხის საბრძოლო სული უფრო მაღლდებოდა. საზოგადოების ყველა ფენამ კოლონიზატორების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით დაიწყო გამოსვლა.

დიდი ბრიტნეთის მიერ ინდოეთში კოლონიალური რეჟიმის გაძლიერებისათვის მიღებულმა ინდოეთის მართვის შესახებ კანონმა, ბიძგი მისცა ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის აღმავლობას. მ.ქ. განდის ხელმძღვანელობით ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა დაიწყო სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანია. ინგლისურ საქონელზე გამოცხადდა ბოიკოტი. გაჩერდა მატარებლების მოძრაობა, მაგრამ მოძრაობის მონაწილეებს შორის ერთობის არ არსებობით ისარგებლეს ინგლისელებმა და ჩაახშეს იგი. ქვეყანაში განხორციელდა მასიური ჟლეტა.

**შეაფასეთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამ–პანია.**

1930 წელს ინდოეთის ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებით დაიწყო ახალი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანია. ***26 იანვარი ინდოეთის დამოუკიდებლობის დღედ*** გამოცხადდა. მარილის მონოპოლიის წინააღმდეგ 1930 წელს ***„მარილის მსვლელობას“*** ორგანიზება გაუკეთდა. მ. განდი და მისი მოკავშირეები არაბეთის ზღვის სანაპიროზე გავიდნენ და დაიწყეს მარილის ამოღება. ამ მოვლენით გაბრაზებულმა მმართველმა წრეებმა დააპატიმრეს მსვლელობის ბევრი მონაწილე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაზრდით შეშინებულმა ინგლისელებმა გაანთავისუფლეს ისინი.

**1935 წელს** დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა დაამტკიცა ინდოეთის ახალი „კონსტიტუცია“ . ხალხმა მას დაარქვა ***„მონობის კონსტიტუცია“***.

**განმარტეთ 1935 წელს მიღებული კონსტიტუციისათვის "მონობის კონსტიტუციის" დარქმევის მიზეზები.**

**ფინანსური ოლიგარქები–დიდი რაოდენობის ფულის მფლობელები, სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბატონებული კაპიტალისტებია.**

**იაპონია.** XIX საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიაში განხორციელებულმა ბურჟუაზიულმა რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის შექმნა მთელი რიგი შესაძლებლობები. ქვეყანაში გამოჩნდნენ მსხვილი ფინანსური ოლიგარქები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა იაპონიის ეკონომიკის ყველა სფეროზე გავლენის მქონე მიცუი და მიცუბიში. ბუნებრივი მინერალების თვალსაზრისით ქვეყანა იყო ღარიბი; მმართველი წრეები თანდათანობით გაძლიერებული წარმოების ნედლეულით მომარაგებისათვის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.

პირველ მსოფლიო ომში ანტანტას მხარეზე მებრძოლმა იაპონიამ ომის შემდეგ, მანამდე გერმანიის მფლობელობაში მყოფი მარიანის, მარშალის და კაროლინის კუნძულები ჩაიგდო ხელში. ამ კუნძულების დაკავებით იაპონია დაუახლოვდა აშშ-ს ძირითადი სამხედრო საზღვაო ბაზას, რომელიც მდებარეობდა ჰავაის კუნძულებზე.

ომის შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში „ბრინჯის არეულობები“-ს სახელწოდებით მოვლენებმა იჩინა თავი. იაპონიის მთავრობამ სასწრაფოდ ჩაახშო ეს მოვლენები.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის პოლიტიკურ წრეებში „დიდი იაპონიის“ შექმნის იდეოლოგია იქცა მთავარ პოლიტიკად. ამ პოლიტიკის მთავარი მომხრეები იყვნენ პირდაპირ იმპერატორის მიერ მხარდაჭერილი „ახალგაზრდა ოფიცრები“. მათი მთავარი სამიზნე იყო ადამიანური რესურსებითა და ბუნებრივი სასარგებლო მინერალებით მდიდარი ჩინეთის დიდი ნაწილის, დიდი ბრიტანეთის მფლობელობაში მყოფი ბირმის (ახლანდელი მიანმა), მალაიას და ინდოეთის ხელში ჩაგდება.

**გაარკვიეთ კავშირი ბურჟუაზიულ რეფორმებსა და იაპონიის დაპყრობით პოლიტიკას შორის.**

1931 წლის სექტემბერში იაპონიამ ჩინეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილი ხელში ჩაიგდო და აქ დააარსა ჯუჯა სახელმწიფო მანჩჯოუ-კო. აგრესიული პოლიტიკის გაგრძელების მიზნით იაპონიამ დატოვა ერთა ლიგა. ჩინეთში გააგზავნეს ახალი სამხედრო ძალები. იაპონიის სამხედრო ძალები შევიდნენ მონღოლეთის ტერიტორიაზე. 1937 წელს იაპონიამ დაიწყო ომი ჩინეთთან. თავისი საგარეო პოლიტიკით იაპონია უფრო მეტად უახლოვდებოდა გერმანიას. უკვე 1938 წელს იაპონიის მმართველმა წრეებმა „აზიაში წესრიგის დამყარების" პრეტენზიით დაიწყეს გამოსვლები. მართალია, იაპონიის აგრესია მონღოლეთში სსრკ-ის მიერ ამ კონფლიქტში ჩარევის შედეგად შეჩერებულ იქნა, მაგრამ ჩინეთთან წარმოებული ომი გაგრძელდა 8 წელიწადს. ჩინეთის მთელ სანაპირო ზოლს იაპონელები დაეუფლნენ. გერმანიის წარმატებებმა ევროპაში, იაპონიას ინდონეზიის კუნძულებზე და ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძულზე აქტიური სამხედრო ოპერაციების დასაწყებად მისცა ბიძგი.

ჯუჯა სახელმწიფო მანჩჯოუ-გო



**კითხვები და დავალებები:**

1. გამოიკვლიეთ მოქალაქეთა უსაფრთხოების კამპანია, ინდოეთის მმართველობის შესახებ კანონსა და ეროვნულ მოძრაობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.
2. დაასაბუთეთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიის დიდი ბრიტანეთის მიერ ინდოეთის მართვის რეჟიმის წინააღმდეგ ყოფნა.
3. განმარტეთ „დიდი იაპონიის“ პოლიტიკის ძირითად მოკავშირეებად სამხედროების ყოფნის მიზეზები.
4. დაადგინეთ რუკაზე "დიდი იაპონიის“ პოლიტიკის სამიზნედ არსებული ტერიტორიები.
5. შეადარეთ გერმანიისა და იაპონიის საგარეო პოლიტიკა და განსაზღვრეთ მსგავსი მხარეები.
6. უჩვენეთ იაპონიის სამხედრო მოქმედების აქტიურობაში გერმანიის როლი.
7. განმარტეთ, რომ "დიდი იაპონიის" შექმნის იდეოლოგია არის იაპონიის მიერ ერთა ლიგის დატოვებისაკენ წამყვანი გზა.
8. გაანალიზეთ იაპონიის ერთა ლიგის დემონსტრაციულად დატოვების მიზეზი.

# თავი VI. მეორე მსოფლიო ომი

## 16. მეორე მსოფლიო ომის დაწყება

*XX საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიო სახელმწიფოებს შორის არსებული გავლენის სფეროების, ნედლეულისა და ბაზრების ხელახლა განაწილებისათვის ბრძოლა გამწვავდა. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის გამთვალისწინებელ გერმანიაში, იაპონიასა და იტალიაში შურისძიების სურვილმა იმატა. სსრკ-ში კი აღმოსავლეთ ევროპის ხელში ჩაგდება, შავი ზღვის სანაპიროებზე, წინა აზიასა და სამხრეთ აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო გავლენის სფეროს გაფართოება. დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და აშშ-მა სცადეს თავიანთი პოზიციების შენარჩუნება.*

*რა იყო ჰეგემონიისათვის ბრძოლის შედეგი? გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში განუხორციელებელი გეგმები, რომელი მიმართულებით განახორციელა? რა როლი გააჩნდა მეორე მსოფლიო ომს კაცობრიობის ისტორიაში?*

მეორე მსოფლიო ომის მიზეზებიდან ერთ-ერთი ლიბერალ-დემოკრატიული სახელმწიფოების ტოტალიტარული რეჟიმი: ფაშიზმისა და კომუნიზმის რეჟიმის ერთმანეთისადმი დაპირისპირებით დასუსტებისა და განადგურების მცდელობა იყო. სსრკ-ის მხრიდან ფაშიზმის საფრთხის სათანადოდ ვერ შეფასებაც იყო ომის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. მეორე მსოფლიო ომი აგრესიაგანცდილი ქვეყნების გარდა, ყველა მხარისათვის ატარებდა უსამართლო ხასიათს.

**დაახასიათეთ მეორე მსოფლიო ომის მიზეზები, როგორც ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შედეგი.**

***ომი დაიწყო 1939 წლის პირველ სექტემბერს*** გერმანიის პოლონეთზე თავდასხმით. პოლონეთის ჯარი დამარცხდა. პოლონეთის მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მართალია გერმანიას ომი გამოუცხადეს, მაგრამ 1940 წლის მაისამდე მის წინააღმდეგ არ განუხორციელებია აქტიური სამხედრო მოქმედებები. ამიტომაც ეს პერიოდი შევიდა ისტორიაში „***უცნაური ომი***"-ს სახელით. ამ დროს შექმნილი ვითარებით ისარგებლა საბჭოთა ხელისუფლებამ და ხელში ჩაიგდო პოლონეთის აღმოსავლეთი მიწები. სსრკ-სა და გერმანიას შორის ხელმოწერილი „***მეგობრობისა და საზღვრების***" შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ოფიციალურ დონეზე აიყვანეს პოლონეთის ტერიტორიის განაწილება. აგრესიული მოქმედებების გამო, სსრკ გააძევეს ერთა ლიგიდან.

**შეიძლება ჩაითვალოს სსრკ ომის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.**

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი სამხედრო მოქმედებები განხორციელდა ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ასევე ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეში. 1940 წლის გაზაფხულზე გერმანიის ჯარმა ხელში ჩაიგდო ნეიტრალურ პოზიციაზე მდგარი დანია, შემდეგ ნორვეგია. ცოტა ხნის შემდეგ დანებდა ჰოლანდია და ბელგია. გერმანიის ჯარებმა კალეს პორტის ხელში ჩაგდებით ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის ჯარები მიამწყვდია დუნქერქის სანაპიროზე. მაგრამ ჰიტლერის ბრძანებით შეჩერდა შეტევა და უფლება მიეცა მოწინააღმდეგეს ალყიდან გასულიყო. ეს მოვლენა ისტორიაში შევიდა „***დუნქერქის საოცრების***" სახელით.

**განმარტეთ "დუნქერქის საოცრების" არსი. თქვენი აზრით, რატომ მოხდა ეს "საოცრება"?**

მაისის ბოლოს გერმანელებმა საფრანგეთს შეუტიეს „მაჟინოს თავდაცვითი ხაზი" გაიყო და გერმანიის ჯარები შევიდნენ პარიზში. ფრანგი ფაშისტების ლიდერმა მარშალმა ა. პეტენმა დანებების შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი. ქვეყანა ჩრდილოეთ გერმანიის ზემოქმედების ქვეშ მოექცა. საფრანგეთის ფაშისტური მთავრობა აკონტროლებდა მხოლოდ ქვეყნის სამხრეთ ნაწილს. დიდი ბრიტანეთი უძლური აღმოჩნდა ფაშისტების ძლიერი და უწყვეტი საჰაერო შეტევების წინაშე. მაგრამ დიდი ბრიტანეთის სერიოზულმა წინააღმდეგობამ ფაშისტებს გეგმა ჩაუშალა.

ფრონტებიდან ერთ-ერთი იყო ჩრდილო აფრიკა. როგორც გერმანიის მოკავშირე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დამწყებმა იტალიამ ხელში ჩაიგდო აფრიკაში, კენიის ერთი ნაწილი, სუდანის მნიშვნელოვანი პუნქტები და ბრიტანეთის სომალი. მაგრამ 1940 წლის გაზაფხულზე ინიციატივის ამღებმა დიდი ბრიტანეთის ჯარმა იტალიის არმიის დამარცხებით გაანთავისუფლა ეგვიპტე. იანვარ-მაისის თვეებში ინგლისის ჯარმა ბრიტანეთის და იტალიის სომალი, კენია, სუდანი, ეთიოპია და ერითრეა გაანთავისუფლა იტალიელებისაგან.

1941 წლის გაზაფხულზე იუგოსლავია და საბერძნეთი მოლაპარაკების გარეშე დანებდნენ ფაშისტებს. ბალკანეთში ინგლისელების პოზიციებს მიაყენეს სერიოზული დარტყმა. ბრიტანეთის კორპუსი დაუბრუნდა ეგვიპტეს.

აღმოსავლეთში საფრანგეთის დამმარცხებელმა იაპონელებმა დაიპყრეს ჩინეთის დიდი ნაწილი. იაპონიის სამხედრო ნაწილები განლაგდნენ ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში.

ამ პერიოდში ფაშისტებმა, შეიძლება ითქვას, რომ დაიმორჩილეს მთელი ევროპა. მათი ამოცანა იყო სსრკ-ის დაპყრობა. გერმანიას ჰქონდა შემუშავებული სსრკ-ზე „***ბარბაროსა***“-ს შეტევის გეგმა. გეგმის მიხედვით, სსრკ 1941 წლის შემოდგომამდე უნდა ყოფილიყო დაპყრობილი.

**"ბარბაროსას" გეგმა–გერმანიის (წმინდა რომი) იმპერატორის ფრიდრიხ ბარბაროსის სახელთან არის დაკავშირებული.**

**"ბარბაროსას" გეგმა**



**1941 წლის ივნისში** გერმანიამ განახორციელა სსრკ-ზე შეტევა. "***ელვისებური ომი***"-ს სტრატეგიის საფუძველზე გერმანიის ჯარებს ზამთრამდე არხანგელსკი-ასტრახანის ხაზზე გასვლის მიზანი ჰქონდათ. კიევისა და სმოლენსკის ხელში ჩაგდების შემდეგ, გერმანელები იმავე წლის შემოდგომაზე მიუახლოვდნენ მოსკოვს, მაგრამ დეკემბერში საბჭოთა ჯარებმა კონტრშეტევით გერმანიის ჯარები გაანადგურეს მოსკოვის მისადგომებთან. ამით "ელვიებური ომის" გეგმა ჩაიშალა.

"ატლანტიკის ქარტია"-რადგან ატლანტის ოკეანეში საბრძოლო გემზეა ხელმოწერილი დოკუმენტი ასე იწოდება.

**განმარტეთ "ელვისებური ომი"-ს გეგმის ჩაშლის მიზეზები.**

იაპონიის საზღვაო ძალები 8 დეკემბერი 1941 წელი



საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ გააძლიერა ანტიჰიტლერული კოალიცია. მოსკოვის ბრძოლების დროს იაპონიამ უეცრად აშშ-ის ჰავაის კუნძულებზე პოსტჰარბორის ბაზას მიაყენა დარტყმა. იაპონიის ჯარი შევიდა ტაილანდში, მალაზიასა და ბირმაში. ამის საპასუხოდ აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა იაპონიას გამოუცხადა ომი. ამავე დროს გერმანიამ და იტალიამ აშშ-ს გამოუცხადეს ომი. აქედან გამომდინარე აშშ ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში.

გერმანელების შეტევის პირველი დღეებიდან, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა სსრკ-ს გამოუცხადა სოლიდარობა. აშშ-მა განაცხადა, რომ იცავს სსრკ-ს. ***1941 წლის ზაფხულში*** აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა "***ატლანტიკის ქარტია***"-ს მოაწერეს ხელი. საბუთში აღინიშნა, რომ მათ სხვა ტერიტორიების დაპყრობის მიზანი არ გააჩნიათ, ძალადობის წინააღმდეგნი არიან და სამართლიანი სამყაროს შექმნა უნდათ. ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ემიგრაციული მთავრობების აღიარებით, 24 სექტემბერს, სსრკ შეუერთდა „ატლანტიკის ქარტია"-ს. ***1942 წლის 1 იანვარს*** 26 სახელმწიფომ „ატლანტიკის ქარტია"-ში გაერთიანების შესახებ "***გაერთიანებული ერების დეკლარაციას***" მოაწერეს ხელი. ამრიგად, თანდათანობით შეიქმნა ანტიჰიტლერული კოალიცია. ამან კი ომის მსვლელობაში ძირითად გარდატეხაზე მოახდინა გავლენა.



ატლანტიკის ქარტიის მონაწილეები (დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი და აშშ-ს პრეზიდენტი ფ. რუზველტი)

**აჩვენეთ აშშ-ის მეორე მსოფლიო ომში ჩართვის დადებითი და უარყოფითი მხარეები.**

**კითხვები და დავალებები:**

1. არის თუ არა კანონზომიერება ახალი გავლენის სფეროს მოპოვების სურვილის მქონე სახელმწიფოებთან, თავიანთი პოზიციების შემნარჩუნებელ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის არსებობაში?
2. მოახდინა გავლენა მათ ურთიერთობებზე გერმანიისა და სსრკ-ის ტოტალიტარულმა რეჟიმებმა? პასუხი დაასაბუთეთ.
3. შეაფასეთ „დუნქერქის საოცრება".
4. რუკაზე აჩვენეთ, 1941 წლის ბოლომდე გერმანიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები.
5. დაწერეთ ესე სახელწოდებით: „ატლანტიკის ქარტია" სამართლიანი სამყაროს დაარსების დამხმარე დოკუმენტი იყო.''
6. გაარკვიეთ და გამოაშკარავეთ ტოტალიტარული რეჟიმების მქონე ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის არსებული კონფლიქტების მიზეზები.
7. შეაგროვეთ ინფორმაცია მეორე მსოფლიო ომის შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

## 17. ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში, ომის დამთავრება

***გერმანიამ გამანადგურებელი დარტყმების მიყენებით ბევრი ტერიტორია დაიპყრო. ამის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის მეორე ნახევარი, ომის ისტორიაში შევიდა, როგორც საფუძვლიანი გარდატეხა.***

**თქვენი აზრით, ამ პერიოდს ასე რატომ უწოდებენ? რა მოვლენები მოხდა მეორე მსოფლიო ომის მეორე ნახევარში? რა იყო ამ ომის შედეგი? რა როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომმა სახელმწიფოებისა და ხალხების ისტორიაში?**



**ჰეზი ასლანოვი. სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე აზერბაიჯანელი გენერალი**

საფუძვლიანი გარდატეხის პირველი ნაბიჯები 1942 წლის ზაფხულში აშშ-ის ჯარმა წყნარი ოკეანის კუნძულ მიდუეის ახლოს, იაპონელებთან ბრძოლაში გადადგა. იაპონიამ წყნარ ოკეანეში შეტევა ვერ დაიწყო დიდი დანაკარგების გამო. იმავე წლის შემოდგომაზე ინგლისის ჯარმა საბერძნეთში ***ელ-ელამეის*** ბრძოლაში დაამარცხა იტალია-გერმანიის ჯარები, მაგრამ მოკავშირეებმა შეთანხმება დაარღვიეს და 1942 წელს ევროპაში არ გახსნეს მეორე ფრონტი. ამან საშუალება მისცა გერმანელებს აღმოსავლეთში, სსრკ-ის წინააღმდეგ ფართომაშტაბიანი შეტევები განეხორციელებინა, მაგრამ გერმანელების შეტევა შეაჩერეს სტალინგრადის მახლობლად. საბჭოთა ჯარების საპასუხო შეტევა დასრულდა მტრის მძიმე მარცხით. სტრატეგიული უპირატესობა გადავიდა მოკავშირეთა ჯარების მხარეზე, ომში მოხდა სრული გარდატეხა.



სტალინგრადის ბრძოლა

**რატომ ითვლება სრულ გარდატეხად სტალინგრა-დთან ახლოს მომხდარი ბრძოლები?**

ამ დროს გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა, საბჭოთა ჯარები კავკასიაში გადავიდნენ შეტევაზე და გერმანელები გააბრუნეს უკან. 1943 წლის ზაფხულში მომხდარ კურსკის ბრძოლაში ფაშისტების დამარცხებით საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ძირეული გარდატეხა დასრულდა. ატლანტის ოკეანეში მიმდინარე ბრძოლებშიც მოხდა ძირეული გარდატეხა.

ომის ძირეული გარდატეხა, კრიზისის მიზეზი გახდა ფაშისტური ბლოკის ქვეყნებისთვის. ***1943 წლის ივლისში*** მოკავ-შირეების ჯარების სიცილიაში შესვლა დასრულდა იტალიაში მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის დამხობით. იტალიის ახალ-მა მთავრობამ ომი გამოუცხადა გერმანიას. ძირეული გარდა-ტეხის დამთავრების შემდეგ, ***1943 წლის შემოდგომაზე თეი-რანში*** ანტიჰიტლერული კოალიციის ძირითადი ქვეყნების მთავრობის მეთაურების: ფ. რუზველტის, ი. სტალინისა და უ. ჩერჩილის პირველი შეხვედრა გაიმართა. თეირანის კონფე-რენციის მთავარი განსახილველი თემა იყო მეორე ფრონტის გახსნა ევროპაში. ამ საკითხში გარკვეული აზრთა სხვადასხვა-ობის მიუხედავად, მეორე ფრონტის 1944 წლის მაისში, საფ-რანგეთში გახსნის გადაწყვეტილება მიიღეს.

**რა გახდა მეორე ფრონტის 1944 წლის მაისში საფ-რანგეთში გახსნის მიზეზი?**



დუაიტ ეიზენჰაუერი

**1944 წლის 6 ივნისს** აშშ-ის გენერალი ეიზენჰაუერის სარდ-ლობით, მოკავშირეთა ძალები შევიდა ჩრდილოეთ საფრანგეთში (ნორმანდია). ამით გაიხსნა ევროპის მეორე ფრონტი.

მოკავშირეებმა იმავე წლის ბოლომდე გაანთავისუფლეს საფრანგეთის და ბელგიის დიდი ნაწილი. ამ დროს სსრკ-ის

ტერიტორია სრულიად განთავისუფლდა მტრისაგან. საბჭოთა ჯარი შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიასა და პოლონეთში. 1944 წლის სექტემბერში ბულგარეთსა და რუმინეთში მოკავშირეებმა ზავს მოაწერეს ხელი და გერმანიას ომი გამოუცხადეს. ამ პერიოდში საბჭოთა ჯარი შევიდა იუგოსლავიაში. ამ დროს აშშ-ის ჯარებმა დაიპყრეს მარშალის, მარიანისა და ფილიპინების კუნძულები და დაიწყეს იაპონიის მთავარი საზღვაო გზების გაკონტროლება.

**რატომ იცავდა ღიად სსრკ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ პროკომუნისტურ ძალებს?**

**1945 წლის თებერვალში** „დიდი სამეულის" სახელმწიფოების მეთაურებმა ***იალტაში*** ახალი შეხვედრა გამართეს.



**დიდი სამეული: იოსებ სტალინი, ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი ყირიმის (იალტის) კონფერენციაზე**

ყირიმის (იალტა) კონფერენციაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ უნდა მოხდეს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია, უნდა განხორციელდეს ტერიტორიის ოკუპაცია; სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის გარდა საფრანგეთსაც საოკუპაციო ზონა უნდა მიეცეს და გერმანიიდან უნდა იქნას მიღებული კომპენსაცია. სსრკ-მა მიაღწია იმას, რომ მისი დასავლეთის საზღვრები საბოლოოდ ცნეს. ამასთან ის გერმანიასთან ომის დამთავრების მერე, 2-3 თვის შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ აღებული ვალდებულების ერთგულებას ამტკიცებს. სტალინმა ამის სანაცვლოდ სამხრეთ სახალინის, კურილიის კუნძულების, მანჯურიის რკინიგზისა და პორტ-არტურის სსრკ-სათვის გადაცემა მოითხოვა.

**შეაფასეთ სსრკ-ის პოზიცია ყირიმის კონფერენციაზე**

განთავისუფლებული ევროპის კონფერენციის დეკლარაციაში ნაჩვენები იყო, რომ კონტინენტის ხალხებს თავიანთი ოცნებების შესაბამისი დემოკრატიული ინსტიტუტების დაარსების გარანტია ექნებათ. კონფერენციაზე, წინასწარ შემუშავებულ და განსაზღვრულ იქნა ***გაერთიანებული ერების ორგანიზაციის*** მუშაობის წესები.

1945 წლის თებერვალში დაიწყო დასავლეთ ევროპაში მოკავშირეების საერთო შეტევა. რურის აუზში ალყა შემოარტყეს



პოტსდამის კონფერენციის მონაწილეები: სტალინი, ტრუმენი, ეტლი.

და გაანადგურეს გერმანულ ძალებს, იმავე წლის აპრილში საბჭოთა ჯარების მიერ დაიწყო ბერლინის ოპერაცია. 30 აპრილს რეიხსტაგზე აღმართეს გამარჯვების დროშა. მაისის 8-დან 9-ზე გადასვლის ღამეს გერმანიის მთავრობის სახელით, ფელდმარშალ ვ. კეიტელმა კაპიტულაციას მოაწერა ხელი. ამით ევროპაში დასრულდა ომი.

**1945 წლის ზაფხულში პოტსდამში** ჩატარდა დიდი სამეულის ახალი კონფერენცია. კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო, გერმანიის მიმართ მოკავშირეების პოლიტიკის განსაზღვრა (იდენტიფიცირება). დედაქალაქის ჩათვლით გერმანიის ტერიტორია დაიყო 4 დაპყრობილ ზონად (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი). დაკავებული ფაშისტების ხელმძღვანელობა გადაეცა საერთაშორისო ტრიბუნალს. კონფერენციაზე საბოლოოდ გაირკვა გერმანიის საზღვრები. მან დაკარგა ტერიტორიის ერთი მეოთხედი. გაირკვა გერმანიისაგან ასაღები კონპესაციის რაოდენობა.

**განიხილეთ პოტსდამის კონფერენციაზე განხილული საკითხები, შეადარეთ ეს კონფერენცია ყირიმის კონფერენციას.**

1945 წლის ზაფხულამდე იაპონიის ჯარები განდევნეს ფილიპინებიდან, ინდონეზიიდან და ინდო-ჩინეთის ერთი ნაწილიდან. იაპონიამ უარყო აშშ-ის, სსრკ-ის და ჩინეთის დანებების მოთხოვნა. ამ დროს აშშ-მა ძალის დემონსტრირების მიზნით ჯერ ხიროსიმაში და შემდეგ ნაგასაკაში ჩამოაგდო ატომური ბომბი, განადგურდა ათასობით მშვიდობიანი მოსახ-



ატომური ბომბის აფეთქების შემდეგი გამოსახულება

ლეობა. 8 აგვისტოს სსრკ-მა იაპონიას ომი გამოუცხადა, ცოტა ხნის შემდეგ მანჯურიის საზღვრებიდან დაიწყო საბჭოთა ჯარების საერთო შეტევა. იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა კაპიტულაცია. 1945 წლის 2 სექტემბერს კაპიტულაციის ოფიციალურ აქტს მოეწერა ხელი.

**ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ ქ. ნაგასაკას ნანგრევები ▶**





**აშშ-ის "მისურის" გემზე იაპონიის დანებების აქტის ხელმოწერა**

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. ეს ომი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი, ყველაზე დამანგრეველი ომის სახელითაა ცნობილი.

**რა იყო აშშ-ის მიერ ძალის დემონსტრირების მიზანი?**

**კითხვები და დავალებები:**

1. გვიჩვენეთ რუკაზე ომის ისტორიაში გარდამტეხი ბრძოლების ადგილები.
2. განმარტეთ თეირანის, ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციებს შორის მიზანშედეგობრივი ურთიერთობა.
3. რატომ აღინიშნება გამარჯვების თარიღი 9 მაისს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი ფაქტობრივად 2 სექტემბერს დასრულდა?
4. გაარკვიეთ ფაშისტური ბლოკის ქვეყნების კრიზისი, საფუძვლიანი გარდატეხის დამთავრება და ფაშისტური ბლოკის ქვეყნების გერმანიისათვის ომის გამოცხადების მიზეზ-შედეგების ურთიერთობის თანმიმდევრობა.
5. შეიძლება ჩაითვალოს ყირიმის კონფერენცია საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებად? პასუხი დაასაბუთეთ.
6. გააკეთეთ პროგნოზი სსრკ-ის ცენტრის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებში პროკომუნისტური ძალები ღია თავდაცვის საფუძველზე, იმავე ქვეყნებში შესაქმნელი პოლიტიკური რეჟიმის შესახებ.
7. გააკეთეთ შედარებითი ანალიზი პირველი მსოფლიო ომის შედეგებისა და მეორე მსოფლიო ომის შედეგების შესახებ.
8. „დიდი სამამულო ომი მეორე მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილია“, ასეთი სახელწოდებით მოამზადეთ პრეზენტაცია.

## III განყოფილება. მსოფლიოს ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდში

### თავი VII. ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები

### 18. დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები

*მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპაში დაიწყო ინტეგრაციის პრო-ცესი, სახელმწიფოები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და ქმნიდნენ ეკონომიკურ კავშირებს. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა შედიოდა ახლად შექმნილ ევროპის ეკონომიკურ კავშირში (ეეკ). თუმცა დიდმა ბრიტანეთმა დაიკავა ნეიტრალური პოზიცია და არ შევიდა ამ კავშირში.*

**რა მოვლენებმა იჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ქვეყნებში და აშშ–ში? რისგან შედგებოდა ამ ქვეყნების როლი მსოფლიო ისტორიაში?**

**დიდი ბრიტანეთი.** დიდი ბრიტანეთი გამოვიდა ომიდან გამარჯვებული, მაგრამ აშშ-ს და სსრკ-ს ჩამორჩებოდა. 1945 წლის ივლისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებაში მოსულმა კლემენტ ეტლიმ დაიწყო მთავრობის ნაციონალიზაციის პოლიტიკა. ნახშირი, გაზი, ფოლადის ჩამოსხმა, ელექტრო ენერგია, ქიმიის წარმოების სფეროები, კავშირგაბმულობის საშუალებები, შიდა ტრანსპორტი და ბანკები დაექვემდებარა ნაციონალიზაციას მოხდა. პოლიტიკის სფეროში ლეიბორისტებმა პარლამენტში ლორდთა პალატის უფლებების შეზღუდვაში მიღწიეს წარმატებებს.



კლემენტ ეტლი

საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო იმპერიის დაცვა-შენარჩუნება. მთავრობა იძულებული გახდა დამოუკიდებლობა მიენიჭებინა ინდოეთის, ცეილონის, ბირმის, პალესტინისა და იორდანიისთვის. ლეიბორისტების მიერ გატარებულმა რეფორმებმა საჭირო შედეგი არ გამოიღო. ლეიბორისტების გავლენა შეასუსტა გადასახადების მატებამ, საბარათო სისტემამ.

1951 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. უინსტონ ჩერჩილი ხელმეორედ გახდა პრემიერ მინისტრი. მან ხელახლა მოახდინა ფოლადის ჩამოსხმის მრეწველობისა და ტრანსპორტის პრივატიზება, ყოფილ მეპატრონეებს დაუბრუნა. დიდმა ბრიტანეთმა სუდანს, მალაის ფედერაციას, ოქროს სანაპიროს, კვიპროსს და ნიგერიას მიანიჭა დამოუკიდებლობა. კოლონიური მდგომარეობიდან თავის დაღწევამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე სერიოზულად იმოქმედა. ამის შემდეგ საფრანგეთმა და იაპონიამ, დიდ ბრიტანეთს გაუსწრეს ეკონომიკურ განვითარებაში.



უინსტონ ჩერჩილი

**რუკაზე განსაზღვრეთ დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნები.**

1973 წელს დიდი ბრიტანეთი ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში მიიღეს. საგარეო პოლიტიკაში დიდი ბრიტანეთი

აშშ-თან აგრძელებს თანამშრომლობას და ნატოში იღებს აქტიურ მონაწილეობას. XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო ბრძოლა ოლსტერის (ჩრდილოეთი ირლანდია) ირლანდიასთან შეერთებისათვის.

1979 წლის არჩევნებში გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. დიდი ბრიტანეთის ისტორიაში „რკინის ქალბატონად“ წოდებული მარგარეტ ტეტჩერი გახდა პრემიერ მინისტრი. შიდა პოლიტიკაში მისი პირველი ნაბიჯი ქვეყანაში გახდა კერძო მესაკუთრეობის აღორძინება. მოხდა სახელმწიფო დაწესებულების ორი მესამედის პრივატიზება. **1982 წლის აპრილში** არგენტინამ ჯარი შეიყვანა დიდი ბრიტანეთის ***ფოლკლენდის*** კუნძულებზე. ფოლკლენდის კრიზისი იყო „რკინის ქალბატონისთვის“ მნიშვნელოვანი გამოცდა. ტეტჩერის მთავრობის საპასუხო ღონისძიებით კუნძულები დაიბრუნეს.



მარგარეტ ტეტჩერი

**შეაფასეთ "რკინის ლედად" წოდებული მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის უნარი.**

თუმცა ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა. ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის, უმუშევრობის მატების გამო 1990 წლის ნოემბერში მ. ტეტჩერი თანამდებობიდან გადადგა და წავიდა პარტიის თავმჯდომარეობიდან. 1997-2001 წლებში საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა. დღესდღეობით დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ქვეყანაა. საზღვარგარეთ კაპიტალის დაბანდების რაოდენობის მიხედვით, აშშ-ს შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

**გაანალიზეთ დიდი ბრიტანეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.**

***საფრანგეთი.*** საფრანგეთის ომის შემდგომი ისტორია დროებითი რეჟიმის მეოთხე და მეხუთე რესპუბლიკის პერიოდებად იყოფა.

დროებითი რეჟიმის პერიოდში (1944-1946) საფრანგეთს მართავდა დროებითი მთავრობა გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით. დროებითმა მთავრობამ გაატარა ეკონომიკური რეფორმები. მთავრობამ შეისყიდა მეპატრონეებისაგან ელექტროსადგურები, ქვანახშირის მაღაროები, ავიაცია და სადაზღვეო კომპანიები. შარლ დე გოლი, საპრეზიდენტო რესპუბლიკის შექმნის ინიციატივის განხორციელების გამო, იძულებული გახდა გადამდგარიყო. ***1946 წლის დეკემბერში*** ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლით, საფრანგეთის ისტორიაში დაიწყო ***IV რესპუბლიკის*** 12 წლიანი მმართველობის ისტორია. 1958 წელს ალჟირში კოლონიზაციის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა გახდა IV რესპუბლიკის დაშლის მიზეზი. იმავე წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა რეფერენდუმმა მოიწონა შარლ დე გოლის მიერ შედგენილი კონსტიტუცია. საფრანგეთი გახდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა და რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს შარლ დე გოლი.



შარლ დე გოლი




## საფრანგეთი

- დროებითი რეჟიმის (1944–1946) დროს განხორციელდა ნაციონალიზაცია.
- IV რესპუბლიკის (1946–1958) პერიოდში განხორციელდა აშშ-თან დაახლოების გამთვალისწინებელი "ატლანტიზმი"-ს პოლიტიკა.
- V რესპუბლიკა (1958–თანამედროვე პერიოდამდე): 1. ნატო-ს სამხედრო საქმეებს ჩამოშორდა (გოლიზმის პოლიტიკა): 2. 1962 წელს ევიანის ხელშეკრულების თანახმად ცნო ალჟირის დამოუკიდებლობა.

**განმარტეთ IV რესპუბლიკის დაშლის მიზეზები.**


ჯორჯ პომპიდუ

შარლ დე გოლმა ეკვადორს, დასავლეთ აფრიკის კოლონიებს მიანიჭა დამოუკიდებლობა და ცნო ალჟირის დამოუკიდებლობა. მან განახორციელა საფრანგეთის დამოუკიდებლობის გაძლიერება, აშშ-ის ევროპაში გავლენის შესუსტება. თუმცა 1969 წელს რეფერენდუმზე დამარცხებული დე გოლი გადადგა. პრეზიდენტად არჩეულმა ჯორჯ პომპიდუმ გააუმჯობესა აშშ-თან ურთიერთობები.

**სქემა-ცხრილის შედგენით გაანალიზეთ და განსაზღვრეთ შარლ დე გოლის პოლიტიკური ნაბიჯები.**



1961 წელს აშენება დაწყებული ბერლინის კედლები

გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში მორიგ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს მემარცხენე ძალებმა. სოციალისტური პარტიის ლიდერი ფრანსუა მიტერანი აირჩიეს პრეზიდენტად. ხელფასები, უმუშევრობისათვის, მრავალშვილიანობის მიხედვით დახმარება, პენსია და სტიპენდია გაიზარდა, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევამ მიიღო ფართო ხასიათი

**გერმანია.** მეორე მსოფლიო ომი გერმანიისთვის დამთავრდა კატასტროფული შედეგებით. გერმანიამ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ დაკარგა არსებობა. მისი ტერიტორია დაიყო 4 დაპყრობილ ნაწილად.

დასავლეთის ქვეყნებმა “საბჭოთა საშიშროების“ გაძლიერების გამო, უარი თქვეს გერმანიის ეკონომიკურად დასუსტების გეგმაზე და შეწყვიტეს კომპენსაციის აღება. მოკლე დროში გაერთიანდა ინგლისელების, ამერიკელებისა და ფრანგების მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. **1949 წლის მაისში** შევიდა ძალაში გერმანიის ფედე-რაციული რესპუბლიკის (გფრ) კონსტიტუცია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გამოცხადდა საპარლამენტო რესპუბლიკად. კონრად ადენაუერი აირჩიეს ფედერალურ კანცლერად. ქალაქი ბონი დასახელდა რესპუბლიკის დედაქალაქად. იმავე წელს შეიქმნა საბჭოთა ოკუპირებულ ნაწილში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ). აღმოსავლეთი ბერლინი გამოცხადდა მის დედაქალაქად. **1961 წლის აგვისტოში** აშენდა ბერლინის კედელი. ეს გახდა კრიზისის მიზეზი. დასავლეთ ბერლინს მიეცა სპეციალური სტატუსი.

**განმარტეთ დასავლეთი ქვეყნებისა და სსრკ-ის მიერ გერმანიის მიმართ განხორციელებული პოლიტიკის მიზეზები.**

ნატო (ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია)-1949 წელს აშშ-ის ინიციატივით დაარსებული სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციაა.

გფრ საერთაშორისო პოზიციის გაძლიერება მისი ეკონომიკური განვითარების სისწრაფეზე დიდად იყო დამოკიდებული. აშშ-ს „**მარშალის გეგმის**“ მიხედვით ფინანსური დახმარება, ყველაზე თანამედროვე ტექნიკის გაგზავნა და იაფი მუშახელით სარგებლობა გახდა ეკონომიკის სწრაფი განვითარების მიზეზი.

საგარეო პოლიტიკაში გფრ-ს აშშ-კენ მიდრეკილებამ გაამყარა მისი საერთაშორისო პოზიციები. გფრ შევიდა **ნატო***-ში და ევროპის ეკონომიკურ კავშირში. ამით დასრულდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ისტორიული მტრობა.

1969 წელს ვილი ბრანდტის მეთაურობით „**პატარა კოალიციური მთავრობა**“ მოვიდა ხელისუფლებაში. ხელფასები და სტიპენდიები გაზარდეს, დაწესებულებებში დაარსდა მფლობელების თვითნებობის შემზღუდველი საწარმოო საბჭოები. მთავრობამ „ახალი აღმოსავლური პოლიტიკა“ გაანახორციელა. აღიარეს აღმოსავლეთის ქვეყნების ომის შემდგომი საზღვრები, გდრ-თან დაარსდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები. მიაღწიეს შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის სტატუსის შესახებ .

**განმარტეთ "პატარა კოალიციური" მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებები**



ბერლინის კედლის დანგრევა

XX საუკუნის 70-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა სხვა ქვეყნებთან შედარებით გფრ-ზე უფრო ნაკლები გავლენა მოახდინა. არჩევნებში გამარჯვებულმა ჰელმუტ შმიდტმა გააგრძელა ვ. ბრანდტის პოლიტიკური ხაზი, მაგრამ მორიგ არჩევნებში კვლავ ქრისტიან-დემოკრატები მოვიდნენ ხელისუფლებაში. ჰელმუტ კოლი გახდა ფედერაციული კანცლერი. ახალმა მთავრობამ შეამცირა გადასახადები და სახელმწიფო ხარჯები, ბიზნესზე სახელმწიფო დარეგულირების შესუსტება, კონკურენციის სტიმულირებისათვის გაატარა ღონისძიებები. ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა. ჰელმუტ კოლმა გააერთიანა გერმანია. გერმანიის გამყოფი ატრიბუტი – „ბერლინის კედელი" დაანგრიეს. **1990 წლის 3 ოქტომბერს** გაერთიანდა გერმანია. ჰ. კოლი გახდა გაერთიანებული გერმანიის პირველი ფედერაციული კანცლერი. გერმანიის ეკონომიკა განვითარდა სტაბილურად და დინამიურად.

**გაანალიზეთ და გვიჩვენეთ თქვენი დამოკიდებულება ჰელმუტ კოლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.**



ჰელმუტ კოლი

**იტალია.** 1946 წლის ივნისში იტალიაში ჩატარდა საერთო სახალხო რეფერენდუმი და დამფუძნებელთა კრების არჩევნები. გაიმარჯვეს რესპუბლიკის მომხრეებმა. იტალია რესპუბლიკად გამოცხადდა და მის მეთაურად დაინიშნა ალჩი დე გასპერი. 1947 წლის თებერვალში დაიდო ზავი გამარჯვებულ ქვეყნებთან. ზავის მიხედვით იტალიას ჩამოერთვა კოლონიები, ტერიტორიის ერთი ნაწილი გადაეცა საფრანგეთსა და იუგოსლავიას. ქვეყანაში აიკრძალა ფაშისტური ორგანიზაციების დაარსება და შეიზღუდა სამხედრო ძალების რიცხვი. ერთი წლის შემდეგ ძალაში შესული ახალი კონსტიტუციის თანახმად აიკრძალა ყველანაირი დისკრიმინაცია. ქალები მამაკაცებთან გახდნენ თანასწორუფლებიანნი. სასამართლო ორგანო გახდა დამოუკიდებელი. დაწესდა არჩევნებში მრავალპარტიული სისტემის წესები და ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.

დამთავრდა რესპუბლიკის შექმნის პროცესი. აშშ-გან მიღებული კრედიტი მოხმარდა მრეწველობის მოდერნიზაციას და წარმოების განვითარებას.



ალჩი დე კასპერი

**იტალიის მიერ გამარჯვებულ ქვეყნებთან დადებული ზავის საფუძველზე, შეაფასეთ მომხდარი მოვლენები.**

1992 წელს იტალიაში „სუფთა ხელები“ სახელწოდებით დაიწყო ფართომაშტაბიანი კამპანია, რომელმაც მაღალ ფენებსა და პოლიტიკურ პარტიებში გამოააშკარავა მასობრივი კორუფციის ფაქტები. მორიგ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს დემოკრატიულმა მემარცხენე ძალებმა.

**იტალია**

- **1946 წელს გამოცხადდა რესპუბლიკა და ცოტა ხანში მიიღეს კონსტიტუცია.**
- **1947 წელს გამარჯვებულ ქვეყნებთან დაიდო ზავი: 1. შემცირდა სამხედრო ძალები. 2. საფრანგეთსა და იუგოსლავიას დაუთმო ზოგი ტერიტორია.**



**ჰარი ტრუმენი**

**აშშ.** აშშ მეორე მსოფლიო ომიდან სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით გამოვიდა, როგორც ყველაზე ძლიერი ქვეყანა. მას ახალი ბაზრების დაპატრონების, კაპიტალის იმპორტის გაზრდის, „დოლარის იმპერიის“ შექმნისათვის შეექმნა ხელსაყრელი პირობები. 1945 წელს ფ. დ. რუზველტის გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაიწყო ვიცე-პრეზიდენტმა ტრუმენმა. მან ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გააგრძელა ფ. რუზველტის "**ახალი ხაზის**“ პოლიტიკა. ომის შემდეგ სოციალური და შრომითი ურთიერთობების გამწვავებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა კონგრესის მიერ მიღებულ ტაფტ-ჰარლის კანონში. ეს კანონი არეგულირებდა პროფესიული კავშირების მოღვაწეობას და შრომით ურთიერთობებს.

**რა იყო ტაფტ–ჰარლის კანონის მიღების მიზეზი?**

ომის შემდეგ აშშ-მა საგარეო პოლიტიკაში წამოაყენა დოქტრინები: „არა ძალადობას“ "ომის ზღვარზე წონასწორობის შენარჩუნება'', "ტოტალური დაპირისპირება". იქნა შემოთავაზებული ტრუმენის დოქტრინა და მარშალის გეგმა. ტრუმენის დოქტრინა საბერძნეთსა და თურქეთში საბჭოთა გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო მარშალის გეგმა ევროპელი მოკავშირეების ომის პერიოდში ჩამოშლილი ეკონომიკის აღდგენის დასახმარებლად იყო გათვალისწინებული. აშშ ახორციელებდა მსოფლიოს „ამერიკულად” მართვის ვრცელ პროგრამას. საქმიანობა დაიწყო პრეზიდენტთან არსებულმა ეროვნულმა უსაფრთხოების საბჭომ და ცენტრალურმა სადაზვეო სამმართველომ (ცსს).

გასული საუკუნის 50-იან წლებში პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა გააგრძელა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ზრდის პოლიტიკა, შემცირდა გადასახადები, ამოქმედდა ეფექტური ბაზარი და საკრედიტო პოლიტიკა. აშშ-ს ეკონომიკაში უზრუნ-ველყოფილი იქნა წინსვლა. მიუხედავათ ამისა, მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატების წარმომადგენელმა ჯონ ფიც-

ჯერალდ კენედიმ. მან წამოაყენა „**ახალი ჰორიზონტები**“ წოდებული რეფორმების პროგრამა. ჯონ კენედის პოლიტიკური ხაზი გახდა კონსერვატორებისა და რასისტების წინააღმდეგობის მიზეზი. იგი 1963 წლის ნოემბერში ტეხასის შტატის ქალაქ დალასში იქნა მოკლული. ეს მოვლენა შევიდა ისტორიაში "***საუკუნის დანაშაული***"-ს სახელწოდებით.



ჯონ კენედი

**გაანალიზეთ მოვლენა რომელიც ისტორიაში "საუკუნის დანაშაულის" სახელითაა ცნობილი. რატომ იწოდება ეს მოვლენა ასე?**

მორიგ არჩევნებში გამარჯვებულმა ლინდონ ჯონსონმა გამოაცხადა მოქალაქეობრივი უფლებები, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში რეფორმების გათვალისწინებით "***დიდი საზოგადოების***“ პროგრამა, მაგრამ ვიეტნამში განვითარებული ომი გახდა პროგრამის დაუსრულებლად დარჩენის მიზეზი. 1968 წელს რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტად არჩევით დაიწყო აშშ-ის ისტორიაში რესპუბლიკელების პერიოდი. დამთავრდა ვიეტნამის ომი. რ. ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა "***უოთერ გეითის ამბავი***". არჩევნების დროს ადამიანების ერთი ჯგუფი დააკავეს ვაშინგტონის "უოთერ გეითის" სასტუმროში დემოკრატების წინააღმდეგ ფარული მოსასმენი მოწყობილობის მონტაჟის დროს. რ. ნიქსონი იძულებული გახდა გადამდგარიყო, ამან სერიოზული დარტყმა მიაყენა რესპუბლიკელების პარტიის რეპუტაციას.



რონალდ რეიგანი

**რატომ მიაყენა სერიოზული დარტყმა უოთერ გეითის ამბავმა რესპუბლიკური პარტიის რეპუტაციას?**

1980 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რონალდ რეიგანმა. მან წამოაყენა "***კონსერვატორულ რევოლუციად***" წოდებული ხაზი. ამ პროგრამამ მიიღო „***რეიგანომიკის***“ სახელწოდება. "რეიგანომიკის“ პროგრამის განხორციელების დახმარებით შეჩერდა ეკონომიკური კრიზისი, იკლო ინფლაციამ და უმუშევრობამ, დაჩქარდა ეკონომიკის განვითარება. ყველაფერმა ამან რ. რეიგანს საპრეზიდენტო არჩევნებში ხელმეორედ მოუტანა გამარჯვება. იგი ატარებდა აშშ-ს სამხედრო პოზიციების გაძლიერების პოლიტიკას. რეიგანის მთავრობამ წამოაყენა აშშ-ის სტრატეგიული იარაღის განახლებისა და "***ვარსკვლავების ომი****"-ს პროგრამა.

**ვარსკვლავების ომი- სტრატეგიული იარაღების კოსმოსში განლაგების გათვალისწინებული პროგრამები.**

რეიგანმა სსრკ-თან წინააღმდეგობის შერბილების სფეროშიც გადადგა სერიოზული ნაბიჯები. 1985-1988 წლებში სსრკ-ის ხელმძღვანელობასთან ზედიზედ განხორციელებული შეხვედრების შედეგად საშუალო და ახლო რადიუსის რაკეტების გაუქმების შესახებ ხელშეკრულება შევიდა ძალაში.

მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ჯორჯ ბუშმა განაგრძო რეიგანის პოლიტიკა. მისი პრეზიდენტობის პერიოდი მსოფლიო მაშტაბის დიდი მოვლენის "***ცივი ომი****"-ს დასრულებით დაგვირგვინდა. ამის მთავარი მიზეზი იყო სსრკ-ის დაშლა.

**ცივი ომი- მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის იდეოლოგიურ-პოლიტიკური ბრძოლაა.**



ბარაკ ობამა

**განმარტეთ "ცივი ომი"–ს მნიშვნელობა. თქვენი აზრით, რატომ მოეღო ბოლო ჯორჯ ბუშის მმართველობის პერიოდში "ცივ ომს"?**

1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატების ლიდერმა ბილ კლინტონმა. მან „რეიგანომიკა" გააკრიტიკა და ამერიკელებს შესთავაზა "მესამე გზის" პოლიტიკა. ეს პოლიტიკა რუზველტის „ახალი ხაზის" და 60-იანი წლების ლიბერალიზმის გამოცდილებას ასახავდა საკუთარ თავში. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ხელისუფლებაში მოვიდა რესპუბლიკელების წარმომადგენელი, ჯორჯ ბუშის შვილი, უმცროსი ჯორჯ ბუში. აშშ მსოფლიოს სუპერ სახელმწიფო, გადაიქცა მსოფლიოს ეკონომიკის სამი (აშშ, ევროპა, იაპონია) ძალის მაცენტრალიზებლად. მან საკუთარი თავი პოლიტიკური რეაქციების, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარ ძალად გამოაცხადა.

**2001 წლის 11 სექტემბერს** ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელდა ტერორისტული აქტები. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშის ქვეშ თავს დაესხა ავღანეთს. ერაყში დაემხო სადამ ჰუსეინის რეჟიმი. 2008-2012 წლებში საპრეზიდენტო არჩევნებში აშშ-ს ისტორიაში პირველად აირჩიეს პრეზიდენტად შავკანიანი ბარაკ ჰუსეინ ობამა.

**შეაფასეთ პირველი შავკანიანი პრეზიდენტის არჩევა. თქვენი აზრით რა იყო აქამდე შავკანიანის პრეზიდენტად არ არჩევის მიზეზი?**



ტერორისტული აქტი ნიუ–იორკში

**კითხვები და დავალებები:**

1. გვიჩვენეთ ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის ფაქტორები.
2. შეადარეთ უ. ჩერჩილისა და მ. ტეტჩერის საშინაო პოლიტიკა და გვიჩვენეთ მსგავსი მხარეები.
3. შეაფასეთ შარლ დე გოლის როლი საფრანგეთის ისტორიაში.
4. შეადგინეთ სახელმწიფოების ტერიტორიების ცვლილებების ამსახველი ცხრილი და სქემა.
5. განმარტეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური განვითარების საფეხურები.
6. მოამზადეთ პრეზენტაცია მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების საფეხურების შესახებ.
7. რატომ აკეთებდა აშშ „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში" კულისების მიღმა გამოსვლას?
8. შეადგინეთ და წარმოადგინეთ ინფორმაცია თანამედროვე აშშ-ს შესახებ.
9. შეადარეთ ტაფტ-ხარტლი კანონი ფ. დ. რუზველტის „ახალი ხაზის" პოლიტიკასთან.
10. შეაგროვეთ ინფორმაცია და მოამზადეთ პრეზენტაცია 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ.
11. სქემის საფუძველზე, დაწერეთ ესე აშშ-ს შესახებ (გვ. 97).

**აშშ**

- ჰ. ტრუმენი (1945–1952)
  - ტრუმენის დოქტრინა და "მარშალის გეგმა"
  - პროფკავშირების უფლებების შემზღუდავი ტაფტ-ხარტლის კანონი
  - 1947 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაარსება
  - "საკეთილდღეო სახელმწიფოს" დაარსება
- ჯონ კენედი (1960–1963)
  - "ახალი ჰორიზონტები"
  - "საუკუნის დანაშაული"
- ლ. ჯონსონი (1964–1968) გამოცხადდა "დიდი საზოგადოება" პროგრამის განხორციელების დაწყება
- რ. ნიქსონი (1968–1972) მეორე საპრეზიდენტო არჩევნების დროს "უოთერ გეითის კრიზისი" -სათვის გადაგდა
- რონალდ რეიგანი (1980–1988)
  - "კონსერვატორული რევოლუცია" ან "რეიგანომიკა"
  - სტრატეგიული დაცვის ინიციატივა ("ვარსკვლავების ომი")
- ბ. კლინტონი (1992–2000) "მესამე გზის" პოლიტიკა; ჯ. ბუში (2000–2008) ერაყის ინტერვენცია; ბ. ჰ. ობამა (2008–2016)

## 19. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. სსრკ

*მეორე მსოფლიო ომის ბოლო თვეებში, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნა გაერთიანებული სოციალური ჯგუფების უმრავლესობით, სახალხო ფრონტები. 1944–1946 წლები ამ ქვეყნების ისტორიაში შევიდა, როგორც სახალხო დემოკრატიის საფეხური. ამ პერიოდში სსრკ განმათავისუფლებელი ქვეყნის რეპუტაციით სარგებლობდა.*

**რა ბედი ეწია ომის შემდეგ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და სსრკ-ს. რა ცვლილებები მოხდა ამ ტერიტორიებზე XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში?**

**აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.** სსრკ-ის სამხედრო ნაწილების რეგიონში ყოფნამ, "*მარშალის გეგმა*"-ზე უარმა, გავლენა მოახდინა საბჭოთა რეჟიმის გავრცელებაზე. ამან, ცენტრალურ და



იმრე ნადი

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნა მრავალპარტიულობის გაუქმებასა და კომუნისტური პარტიის უალტერნატიო ხელისუფლების პირობები.

**რა იყო, მარშალის გეგმა–ზე სსრკ–ს მიერ უარის თქმის მიზანი?**

კომუნისტურმა პარტიამ სოციალიზმის აშენების ხაზი წამოწია წინა პლანზე. დაიწყო საბაზრო ეკონომიკის გეგმიური ეკონომიკით შეცვლა. იმავე ქვეყნებში ჩამოყალიბდა ტოტალიტარული სოციალისტური საზოგადოება. გაუქმდა კერძო საკუთრება, აღმოიფხვრა ბიზნესი და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. „***სახალხო დემოკრატიის***“ ქვეყნებიდან საბჭოთა საამიროს წინააღმდეგ გამოსული პირველი ქვეყანა იყო იუგოსლავია. იუგოსლავიის კომუნისტური პარტია 1948 წლის ბოლოს გაყვანილი იქნა კომუნისტური პარტიის საინფორმაციო ბიუროდან.

1949 წელს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მიმართული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (ეუს), 1955 წელს დაარსდ ამ ქვეყნების სამხედრო ძალების გამაერთიანებელი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. იოსებ სტალინის გარდაცვალებამ და პიროვნების კულტის დაგმობამ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნა პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის პირობა. 1956 წელს უნგრეთში დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები. უნგრეთის მთავრობის მეთაურმა ი. ნადიმ გამოაცხადა თავისი ქვეყნის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან გამოსვლის შესახებ. 4 ნოემბერს ქალაქ ბუდაპეშტში შეჭრილმა საბჭოთა ტანკებმა უნგრელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა სისხლში ჩაახშო. ი. ნადი ქვეყნის ღალატის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს.




ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გერბი

**რა იყო, უნგრელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზეზი?**

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ჩეხოსლოვაკიაში "***პრაღის გაზაფხული***"სახელწოდებით განვითარდა მოვლენები. ა. დუბჩეკის მეთაურობით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ მოინდომა გადასვლა ქვეყნის პირობების შესაბამისი სოციალისტური საზო-

ვარშავის ხელშეკრულების ხელმოწერა



გადოების მოდელზე. ამისათვის შეიმუშავა „მოქმედების პროგრამა“. ამ მოვლენის მიმართ სსრკ-მა და ზოგიერთმა სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელობამ გამოხატა მწვავე პროტესტი. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა სსრკ-მა, პოლონეთმა, გდრ-მ, უნგრეთმა და ბულგარეთმა ჯარები შეიყვანეს ჩეხოსლოვაკიაში. ა დუბჩეკის მაგივრად დაინიშნა გ. ჰუსაკი.

80-იანი წლების ბოლოს-90-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ში გარდაქმნის რეფორმები და სახელმწიფოს დაშლის დაწყება, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დასრულდა სოციალისტური სისტემის გაკოტრებით.



ალექსანდრე დუბჩეკი

**სსრკ.** სსრკ მეორე მსოფლიო ომიდან გამოვიდა გამარჯვებული. იგი გახდა მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფო. ამავე დროს სსრკ-მა ომში ნახა დიდი ზარალი. მან დაკარგა 27 მილიონზე მეტი ადამიანი. მის წინაშე იდგა მიყენებული ჭრილობების მოშუშების, მეურნეობის წყნარი ფორმის ხაზზე გადაყვანისა და განვითარების ამოცანა.

1947 წლის დეკემბერში გატარდა ფულის რეფორმა. მოსავლის განაწილებაში გაუქმდა ტალონის სისტემა. 1950 წლის დასაწყისისათვის აღდგა სამრეწველო დაწესებულებები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება გაუტოლდა ომამდელ დონეს.

**განმარტეთ 1947 წლის რეფორმების არსი.**

ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურებში მოხდა გარკვეული ცვლილებები. დასრულდა საგანგებო მდგომარეობა. გაუქმდა სახელმწიფო დაცვის კომიტეტი. ჩატარდა ადგილობრივი საბჭოების, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს არჩევნები. სხვა მხრივ ტოტალიტარულმა რეჟიმმა კიდევ უფრო იმატა. გაფართოვდა სახელმწიფოს გამოსასწორებელი ბანაკების სისტემა. ომის შემდეგ დაიწყო მასიური რეპრესიების ახალი ტალღა.

**განმარტეთ: რა იყო მასიური რეპრესიების განხორციელების მიზეზი?**

**1953 წლის 5 მარტს** გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ის პირველი მდივანი იოსებ სტალინი. ნიკიტა ხრუშოვი აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელად. 1956 წლის თებერვალში ჩატარებულ XX ყრილობაზე სტალინის პიროვნების კულტი მწვავედ იქნა გაკრიტიკებული. ეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მან რეპრესიებით დაზარალებული 100 ათასობით ადამიანს გამამართლებელი განაჩენის გამოუტანა. დაიწყო ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული უხეში შეცდომების გამოსწორება. აღდგა ბალყარეთის, ინგუშეთის, ყალმუხეთის, კარაჩაის, ჩეჩენი ხალხების მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას გაუქმებული ავტონომიები. პირველად დაენიშნათ კოლმეურნეებს პენსია. 1959 წლიდან დაიწყეს მათთვის პასპორტების გაცემა.



ლეონიდ ბრეჟნევი

1965 წლის მარტსა და სექტემბერში ეკონომიკური რეფორმების მცდელობამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, პირიქით, კრიზისისაკენ მიდრეკილება გაიზარდა. ლ. ბრეჟნევის ქვეყნის ხელმძღვანელობაში მოსვლასთან ერთად (1964 წ. ოქტომბერი) ნ. ხრუშოვის „დათბობის" პოლიტიკას ბოლო მოეღო. ქვეყანაში მოხდა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის ფორმირება. სსრკ-ს მიერ 1977 წლის ოქტომბერში მიღებული ახალი კონსტიტუციის მიხედვით, სამართლებრივად დამტკიცდა რომ ქვეყნის ხელისუფლება იყო კომუნისტური პარტიის კუთვნილება. ქვეყანა აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის წინაშე. ლ. ბრეჟნევის შემდეგ ი. ვ. ანდროპოვის, კ. უ. ჩერნენკოს ხელმძღვანელად მოყვანამ არ გამოასწორა მდგომარეობა. 1985 წლის მარტში ხელმძღვანელად იქნა მოყვანილი მ. ს. გორბაჩოვი.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაიწყო ქვეყნის ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის გზების ძებნა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გაძლიერებამ წაიწია წინ. ცოტა ხანში საზოგადოებრივი წყობის განახლების მიზნით „გარდაქმნის" პოლიტიკა გამოცხადდა. წამოიჭრა ხელისუფლების განაწილების იდეა. 1990 წელს დაფუძნდა სსრკ-ს პრეზიდენტის თანამდებობა. მ. გორბაჩოვი იყო ქვეყნის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი.

**გამოთქვით თქვენი აზრი მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში დაწყებული სეპარატისტული მოძრაობის შესახებ. გაანალიზეთ და გამოიტანეთ დასკვნა.**

საბჭოთ ხელმძღვანელების მიერ სსრკ-ს შენარჩუნების მცდელობამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. 1991 წლის აგვისტოში კონსერვატორებმა შექმნეს სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობის კომიტეტი. აღკვეთეს ვიცე-პრეზიდენტი ი. იანაევის მეთაურობით კონსერვატორების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა. „აგვისტოს რევოლუციის" წარუმატებლად დამთავრებამ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბ. ელცინს კომუნისტურ პარტიას მოქმედების შეჩერების პირობა შეუქმნა. ***1991 წლის 8 დეკემბერს*** რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის ლიდერებმა, აცნობეს სამოკავშირეო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (დსთ) შექმნის იდეა. 25 დეკემბერს გადადგა მ. ს. გორბაჩოვი და ამით დაიშალა სსრკ.

**რა იყო სსრკ-ის დაშლის შემდეგ დსთ-ის შექმნის მიზანი?**

მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ნგრევის შედეგად სსრკ-თან პარალელურად, დამოუკიდებელ ქვეყნებად დაიშალა "**ბალკანეთის იმპერია**"-დ წოდებული იუგოსლავია (სერბეთი, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, ჩერნოგორია) და ჩეხოსლოვაკია (ჩეხეთი და სლოვაკეთი). 1999 წელს პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი გახდნენ ნატო-ს წევრი ქვეყნები.



ვლადიმირ პუტინი

**რა იყო ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანების დადებითი მხარე?**

რუსეთი მსოფლიო არენაზე იცავს თავის რეპუტაციას. დღესდღეობით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვ. ვ. პუტინია.

## სსრკ-ს დაშლა



**კითხვები და დავალებები:**

1. განმარტეთ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალიზმის მშენებლობის მიმართულების საფუძვლად აღების მიზეზები.
2. აჩვენეთ ეუს-სა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის მიზნები.
3. გაარკვიეთ უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოვლენების მსგავსი და განსხვავებული მხარეები.
4. რა სიახლეები მოუტანა სსრკ-ს ომის შედეგებმა?
5. გვიჩვენეთ დამოკიდებულება „პიროვნების კულტი"-ს მიმართ, რატომ ხდება „პიროვნების კულტი"?
6. რა იყო სსრკ-ს დაშლის მიზეზები? რა ღონისძიებები გატარდა იმისთვის, რომ ეს კავშირი არ დაშლილიყო?
7. განიხილეთ დამამტკიცებელი საბუთი, რომ სსრკ-ში მმართველობა კომუნისტურ პარტიას ეკუთვნოდა. გაარკვიეთ ამ საბუთის მიღების მიზნები.
8. შეაგროვეთ ინფორმაცია ვ. ვ. პუტინის შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.

# თავი VIII. აზიის ქვეყნები

## 20. კავკასია

*ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა კავკასიელებმა, ფაშიზმზე გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშეს. ასი ათასობით ადამიანმა ფრონტზე გმირულად იბრძოლა, უმაღლითო გმირობის მაგალითები აჩვენეს. კავკასიის ხალხები მებრძოლ ჯარს საბრძოლო მასალით, პროდუქტით და ტანსაცმლით, ყველაზე მთავარი კი საწვავით უწყვეტად ამარაგებდა.*

**როგორი დამოკიდებულება აჩვენა ყოველივე ამის გამო საბჭოთა მთავრობამ კავკასიის ხალხების მიმართ? რა ბედი ეწია კავკასიას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?**

1941-1945 წლებში საბჭოთა კავშირში მოპოვებული ნავთობის უმეტესი ნაწილი მოიპოვებოდა ბაქოში, დანარჩენი, მცირე ნაწილი კი, ერთად აღებული ჩრდილო კავკასიის, ყაზახეთის, ვოლგისპირა საბადოებიდან. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ თურქი-მუსლიმანი




**ბაქოს ნავთობის გაგზავნა ფრონტზე**

ხალხების წინაშე გამოამჟღავნა უნდობლობა. ***1943 წლის 28 ოქტომბერს*** სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო "***დიდი სამამულო ომში ფაშისტებისათვის დახმარების გამწევ ხალხების შესახებ***" დასახელების ავადსახსენებელი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჩრდილო კავკასიის და ყირიმის თურქ-მუსლიმანურ ხალხების ფაშისტებთან თანამშრომლობაში დადანაშაულებით გაუკეთდათ **დეპორტაცია***. 1943-1944 წლებში ჩრდილო კავკასიიდან ყარაჩაელი, ჩეჩენი, ინგუში, ბალყარელი ხალხები გადაასახლეს ციმბირში, ყაზახეთში და ცენტრალურ აზიაში. მთლიანობაში გადაასახლეს 650 ათასი თურქ-მუსლიმანი.

**დეპორტაცია – მოსახლეობის გადასახლება სამშობლოდან.**

**რატომ იყო საჭირო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის ხალხების დეპორტაცია? რა იყო ამ პოლიტიკის მიზანი?**

საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1944 წელს ახალციხის რეგიონში 110 ათასი თურქს და სხვა მუსლიმან მოსახლეობას ბრალი დასდეს თურქეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში და გადაასახლეს. მთლიანობაში, საქართველოდან ამ პერიოდში 150 ათასი მოსახლეობა, მათ შორის 28 ათასი აზერბაიჯანელი გადაასახლეს ძალის გამოყენებით თავიანთი მამა-პაპური მიწებიდან. 1944 წელს გაუქმდა ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ, ყარაჩაელების და ბალყარელი ხალხების ავტონომიური ორგანოები.

1957-1958 წლებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული „დათბობის" პოლიტიკის შედეგად ციმბირში, ცენტრალურ აზიასა და ყაზახეთში დეპორტირებული ბალყარელები, ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელი ხალხები შეწყალებულნი იქნენ და წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში მოიპოვეს დაბრუნების უფლება. 1957 წელს რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ აღადგინა ბალყარეთის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ყარაჩაელებისა და ყალმუხელი ხალხების ომის დროს უსამართლოდ დაკარგული ეროვნული ავტონომიური ორგანოები.

**ახისკას თურქების გადასახლება სამშობლოდან**



**რატომ მოახდინა ცვლილებები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ თავის პოლიტიკაში?**

გადასახლებული ხალხები შეწყნარებულნი იქნენ და მათ უმრავლესობას მისცეს მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნების უფლება, მაგრამ ახისკას თურქებს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, 1956 წლის 28 აპრილით დათარიღებული ბრძანების მიხედვით, ჩამოერთვათ წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უფლება.

XX საუკუნის 50-იან წლების მეორე ნახევარში, **აზერბაიჯანის** ხელისუფლებამ ცენტრის წინაშე, დააყენა საკითხი როგორც ახისკას თურქების, ისევე ამ დროს გადასახლებაში მყოფ 17 ათასზე მეტ აზერბაიჯანელის, თავიანთ მამა-პაპურ მიწაზე დაბრუნების პირობების შექმნის, ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მათი აზერბაიჯანის სსრ-ში შესვლის ნებართვის შესახებ. შედეგად 1958 წლიდან მოყოლებული საქართველოდან ცენტრალურ აზიის რესპუბლიკაში გადასახლებული აზერბაიჯანელების და ახისკას თურქების ერთი ნაწილის აზერბაიჯანში გადაყვანის პროცესი დაიწყო და მოკლე დროის განმავლობაში 13 ათასზე მეტი ადამიანი დააბინავეს ჩვენს რესპუბლიკაში.



**ახისკას თურქების მასიური ჟლეტა ფერგანაში. 1989 წელი**

ახისკას თურქების გადასახლებაში დარჩენილი ნაწილის თავიანთ სამშობლოში დაბრუნებისათვის ბრძოლის გაგრძელების მიუხედავად, საბჭოთა კავშირის დაშლამდე ამას ვერ მიაღწიეს. ახისკას თურქები 1989 წლის მაის-ივნისის თვეებში უზბეკეთში მეორეჯერ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. ფერგანესა და ენდიჯანში ნაცისტურ-შოვინისტურმა ჯგუფებმა, მათ წინააღმდეგ განახორციელეს თვითნებური, ტერორისტული აქტები, ჟლეტვა და თარეში. შედეგად, ახისკას თურქები მეორეჯერ გახდნენ ლტოლვილები თავიანთი კარ-მამულიდან.

**რას დაუკავშირებდით ახისკას თურქების ხელმეორედ ძალადობის მსხვერპლად გახდომას?**

XX საუკუნის 60-80-იან წლებში სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში, მათ შორის **აზერბაიჯანში**, მოხდა ეროვნული აღორძინება, ეროვნული გრძნობების გაღვიძება. სომხეთში დაიწყო თურქებზე და აზერბაიჯანელებზე ღია სიძულვილის გამომწვევი აგიტაცია. 80-იან წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლების გარდაქმნის გამოცხადება, ნაციონალური მოძრაობების მასიური ხასიათის მიღება გახდა რადიკალური ძალების გააქტიურების საბაბი, წამოყენებული იქნა დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღდგენის მოთხოვნები. აზერბაიჯანელები გამოაძევეს სომხეთის სსრ-ის შემადგენლობაში შემავალი, ისტორიული აზერბაიჯანული მიწებიდან - გოგჩის, ზენგაზურის და ირევანის ტერიტორიებიდან.

**რატომ აქცია საბჭოთა ხელისუფ-ლებამ აზერბაიჯა-ნელები თავიანთი მიწა-წყალიდან ლტოლვილებად?**

სომხეთში მკვეთრად ნაციონალისტურმა ძალებმა 80-იან წლების ბოლოს მეზობელ სახელმწიფოებს, მათ შორის აზერბაიჯანსა და საქართველოს წაუყენეს ტერიროერიული პრეტენზიები. 1991 წლის 25 სექტემბერს სომხეთი გავიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ პეტროსიანმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ დაიწყო ღია სამხედრო აგრესია. რუსეთის ყოველმხრივი დახმარებით, მათ შორის რუსეთის სამხედრო ძალების მონაწილეობით, დაპყრობილი იქნა მთიანი ყარაბაღი და მის გარშემო არსებული 7 რაიონი. ეროვნული ლიდერის ჰეიდან ალიევის მცდელობის შედეგად შეაჩერეს ეს აგრესია, გამოცხადდა ცეცხლის შეწყვეტა. სომხეთის მიერ აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართული დაპყრობითი პოლიტიკა ცნობილი გახდა მთელი მსოფლიოსათვის.



ჰეიდარ ალიევი

ცეცხლის შეწყვეტის პერიოდში, აზერბაიჯანის ჯარის გაძლიერებისათვის განხორციელდა თანმიმდევრული და მიზანდასახული ღონისძიებები. შეიარაღებული ძალებისათვის თანამედროვე სამხედრო ტექნიკითა და გამოცდილი კადრებით უზრუნველყოფა მოექცა ყურადღების ცენტრში. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ბრძანებულებით 2005 წელს შექმნილი თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს დაწესებულებებში დაიწყო ასობით დასახელების საბრძოლო მასალისა და სამხედრო ტექნიკის წარმოება.

დღესდღეობით აზერბაიჯანს ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისი გაწვრთნილი ძლიერი სამხედრო ძალები ჰყავს და სამხედრო პოტენციალის მიხედვით სამხრეთ კავკასიაში იქცა ლიდერ სახელმწიფოდ.

**სომხეთის ყარაბაღთან დაკავშირებული პრეტენზიები, რომელ ისტორიულ წარსულს ემთხვევა? მათი ყარაბაღში დამკვიდრება, რომელი ხელშეკრულების პირობების მიხედვით განხორციელდა?**



ილჰამ ალიევი

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით შეშინებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში შეიყვანა ჯარი, მიტინგი იარაღის გამოყენებით დაშალეს, დაიღუპა 16 ადამიანი.

ამ სისხლიანმა მოვლენამ ქართველი ხალხი უფრო განამტკიცა და თავიანთი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლისათვის განაწყო. 1991 წლის 9 აპრილს საქართველო გავიდა სსრკ-ის შემადგენლობიდან. საბჭოთა ხელისუფლებამ ამაში ხელის შეშლის მიზნით სეპარატისტული ძალების შეიარაღებით საქართველოში შექმნა ეროვნული დაპირისპირების კერები. ედუარდ შევარდნაძემ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კონფლიქტის რეგიონებში ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტს მოაწერა ხელი. საქართველოში დამყარდა სიწყნარე. დასრულდა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-სუფსა ნავთობსადენის მშენებლობა. კასპიის ზღვიდან ამოღებული ნავთობის ნედლეულის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის საშუალებით ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.



ედუარდ შევარდნაძე

აზერბაიჯანის გაზის ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის საშუალებით მსოფლიო ბაზარზე გატანის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. ამ პროექტების განხორციელებაში პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს მიუძღვის მნიშვნელოვანი როლი.

XXI საუკუნის დასაწყისში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საზოგადოება გახდა დემოკრატიული. მან განავითარა აზერბაიჯანთან და თურქეთთან თანამშრომლობა, დასავლეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებში მიაღწიეს წარმატებებს. ამით შეშფოთებულმა რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განახორციელა სამხედრო ჩარევა, მაგრამ აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების მკაცრმა მიმართვამ, რუსეთი იძულებული გახდა შეეჩერებინა აგრესია. 2013 წელს ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნების“ ბლოკი, აგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლას.

**რატომ იყო რუსეთი შეშფოთებული საქართველოს წარმატებებით?**




ჩეჩნეთის რესპუბლიკა

ჩრდილო კავკასიაში 90-იან წლების დასაწყისში, ეროვნულმა ძალებმა დაიწყეს გააქტიურება. რუსეთის ფედერაციამ ამ რეგიონში არსებული ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების უფლებების ნაწილობრივ გაზრდის მიუხედავად, მართვის სადავეები თვითონ შეინარჩუნა. ამან ჩეჩნეთის ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებას მისცა ბიძგი. 1991 წელს გამოცხადდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. პრეზიდენტი ჯოვჰარ დუდაევი მთელი მოსახლეობის რუსეთის წინააღმდეგ მობილიზაციას შეეცადა. 1996 წელს ომის შეჩერების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი, მაგრამ რუსეთი 1999 წელს დიდი სამხედრო ძალით ჩეჩნეთს ისევ დაესხა თავს.

XXI საუკუნის დასაწყისში ჩრდილო კავკასიაში რუსეთმა თავისი პოზიციების გაამყარების სურვილს მიაღწია და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების თავის გავლენის ქვეშ მოქცევისთვის მცდელობებს უმატა. კერძოდ, სომხეთს დიდი რაოდენობით ფარული სამხედრო ტექნიკა და იარაღი მისცა, ამ რესპუბლიკაში გაზარდა სამხედრო ბაზების რიცხვი.

**კითხვები და დავალებები:**

1. შეაგროვეთ ინფორმაცია ახისკას თურქების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.
2. შეადარეთ თურქმენჩაის ხელშეკრულების შემდეგ აზერბაიჯანში გადასახლებული სომხების, XX საუკუნეში აზერბაიჯანში გადასახლებული ახისკას თურქების გადასახლების პოლიტიკასთან.
3. დაასაბუთეთ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საზოგადოების დემოკრატიულობის აზრი.
4. რა გახდა ომის პერიოდში ფაშიზმზე გამარჯვების მოპოვებაში დიდი როლის მქონე თურქი ხალხებისთვის საბჭოთა კავშირის „ჯილდო“?
5. კომენტარი გაუკეთეთ რუსეთ-ჩეჩნეთის ურთიერთობებს.
6. რა შედეგით დამთავრდა სომხეთის მიერ მეზობელი სახელმწიფოების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების წაყენება?
7. განმარტეთ, რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებული სამხედრო ჩარევის მიზეზები.

## 21. თურქული სამყარო

*მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთი ნეიტრალურ სახელმწიფოსავით, ომში ჩართულ მხარეებთან, მათ შორის გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან, სავაჭრო და ეკონომიკურ კავშირებს ინარჩუნებდა. საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ოლქებში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლის გამთვალისწინებელმა თურქეთმა, 1945 წელს თებერვალში გერმანიას და იაპონიას ომი გამოუცხადა. ამ ნაბიჯმა თურქეთი საერთაშორისო სამყაროში იზოლირებას გადაარჩინა. ომის შემდგომ წლებში ცენტრალური აზიის რესპუბლიკები კი საბჭოთა კავშირის ძირითად სოფლის მეურნეობის მოსავლის, განსაკუთრებით კი ბამბის წარმოების ცენტრად რჩებოდა.*

**რისგან შედგება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქული სამყაროს როლი ისტორიაში?**



ნურსულთან ნაზარბაევი

**ყაზახეთი.** მ. გორბაჩოვის "***გარდაქმნის***" პირველი მსხვერპლი გახდა ყაზახეთი. ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი დ. კუნაევი გადააყენეს და მის ადგილას დაინიშნა ყაზახი ხალხისათვის უცნობი, ეროვნებით რუსი პიროვნება. ეს გახდა მთელი ყაზახი ხალხის სერიოზული პროტესტის მიზეზი. რესპუბლიკაში დაიწყო ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1986 წლის 17-19 დეკემბერს ალმა-ატიში (იმ დროს ალმა-ატა) ყაზახი ახალგაზრდები გამოვიდნენ საპროტესტო აქციაზე. საბჭოთა ჯარების ჩარევის შედეგად დაიღვარა ათასზე მეტი ყაზახი ახალგაზრდის სისხლი. ეს იყო, გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ პირველი ღია ეროვნული მოძრაობა.

**რა იყო, სსრკ-ის გარუსების პოლიტიკის გატარების მიზანი?**



ისლამ ქარიმოვი

**ცენტრალური აზიის რესპუბლიკები.** სსრკ-ის დაშლის შედეგად ყაზახეთმა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. რუსეთი ამ რესპუბლიკების დსთ-ს შემადგენლობაში შეყვანით შეეცადა თავისი გავლენის ქვეშ შენარჩუნებას, მაგრამ დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოძრაობებს წინ ვერ აღუდგა. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთთან და სხვა თურქულ სახელმწიფოებთან ორმხრივი სასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავების პოლიტიკა წარმატებით დაასრულა. უზბეკეთის, თურქმენეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერების გზაზე მიაღწიეს დიდ წარმატებას. უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქერიმოვმა აღკვეთა ისლამური ძალების რესპუბლიკაში საერო ხელისუფლების შერყევის მცდელობები. თურქმენეთის პირველმა პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა გადადგა საფუძვლიანი ნაბიჯები, რათა სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი მთლიანი სიმდიდრით ხალხს

ესარგებლა. ძალიან დიდი რაოდენობის საექსპორტო ბუნებრივი გაზიდან მოპოვებული შემოსავლის ანგარიშზე, თურქმენი ხალხი გაანთავისუფლა კომუნალური გადასახადებისგან, ხოლო ზოგიერთ ყოველდღიურ მოხმარების პროდუქტს უფასოდ ღებულობდნენ. დღესდღეობით თურქმენეთის პრეზიდენტი კ. ბერდიმეჰემმედოვია.



კურბანკულუ ბერდიმეჰემმედოვი

**გაანალიზეთ, თურქმენი ხალხის ყველა სიმდიდრით სარგებლობის პოლიტიკა.**

**თათრეთი და ბაშკირეთი.** ომის შემდგომ პერიოდში თათარისტანში და ბაშკირეთში ნავთობის მოპოვებამ დაიწყო დიდი სისწრაფით განვითარება. აზერბაიჯანელი გეოლოგებისა და მენავთობეების მცდელობით ამ რეგიონში აღმოაჩინეს ახალი ნავთობის საბადოები და დაიწყეს წარმოება. 70-80-იან წლებში ამოქმედდა უზარმაზარი მანქანათმშენებლობის და სხვა სამრეწველო საწარმოები.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ თათრეთში და ბაშკირეთში გაძლიერდა მოთხოვნები ადგილობრივი ხალხების მმართველობაში უფრო აქტიური მონაწილეობაზე. დამოუკიდებლობისთვის დაიწყო მასობრივი სახალხო მოძრაობები. თათრეთის პირველმა პრეზიდენტმა მენთემირ შაიმიევმა პარლამენტში ეროვნული მოძრაობით პრომოსკოვურ ოპოზიციას შორის მოხერხებული მოქმედებით, რესპუბლიკაში შეძლო სიმშვიდის შენარჩუნება. თათრეთმა რუსეთში ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის, პირველმა, მიიღო დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ. 1994 წლის 15 თებერვალს რუსეთსა და თათრეთს შორის სახელმწიფო მართვის უფლებების განაწილების შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ფედერალურმა მთავრობამ, ამ ხელშეკრულებით მიაღწია სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას, თათრეთმა კი განსაკუთრებული სტატუსის გამტკიცებას.



**აჩვენეთ მიზეზები, თუ რის გამო ვერ გახდა თათარისტანი სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო. თქვენი აზრით, რა იყო, თათარისტანისთვის მიცემული სპეციალური სტატუსის მნიშვნელობა თათარი ხალხისთვის?**

ბაშკირმა ხალხმა, 90-იან წლებში მიაღწია ცენტრზე დამოკიდებულების შემცირებას და რესპუბლიკის სიმდიდრეების უფრო მეტი ნაწილის ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გამოყენებას. ბაშკირეთმა რუსეთთან სახელმწიფო მმართველობის უფლებების განაწილების შესახებ გააფორმა ხელშეკრულება.

**ყირიმის თურქები.** ომის შემდგომ პერიოდში ყირიმის თურქებმა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისათვის აწარმოეს თანმიმდევრული ბრძოლები, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ყირიმში ჩასახლებული რუსი, სომეხი და სხვა ქრისტიანი მოსახლეობის ინტერესების საფუძველზე, მათ არ მისცეს მასიურად თავიანთ სამშობლოში დაბრუნების საშუალება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა გააძლიერა ყირიმში თავისი პოზიციები. დიდი რაოდენობით სამხედრო საზღვაო ბაზების განთავსებით, სევასტოპოლის ხელში ჩაგდებისათვის უკრაინასთან დაიწყო ომი. 2014 წლის თებერვალ-მარტში, რუსეთმა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების უხეში დარღვევით შეიერთა ყირიმი.

**რასთან იყო დაკავშირებული რუსეთის პრეტენზია ყირიმის მიმართ? ახსენით ყირიმში გაძლიერების მნიშვნელობა რუსეთისათვის.**

**თურქეთი.** ომის წლებში თურქეთის დიპლომატიის ყველაზე დიდი წარმატება ნეიტრალური პოლიტიკის გატარება და შედეგად, თურქეთის ტერიტორიების სამხედრო მოქმედებებისაგან იზოლირება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში აშშ-თან დაახლოება გამტკიცდა. 1946 წელს ანკარაში აშშ-ში "***ტრუმენის დოქტრინა***"-ს საფუძველზე თურქეთისათვის დახმარების გაწევის შესახებ გაფორმდა ხელშეკრულება. შემდეგ აშშ-ს "***მარშალის გეგმის***" ფარგლებში დაიწყო თურქეთისათვის დახმარების გაწევა. ქვეყანაში გაძლიერდა აშშ-ის კაპიტალის შემოდინება. ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე აუცილებელი პრობლემა იყო ეკონომიკის გაჯანსაღება. მთავრობამ შრომითი ურთიერთობების მოგვარებისთვის დააარსა შრომის სამინისტრო. 1945

**"ტრუმენის დოქტრინის" ხელმოწერა**





სულეიმან დემირელი

წელს დიდმა სახალხო მეჯლისმა დაამტკიცა "**კანონი მიწის რეფორმის შესახებ**": სახელმწიფოს, ადგილობრივი ორგანოების კუთვნილი, დაუმუშავებელი მიწები და 500 ჰექტარზე მეტი მიწა ვისაც ჰქონდა უნდა მიეცა გლეხებისთვის. 1947 წლიდან განხორციე-ლდა მიწის რეფორმა. ეს კანონი კერძო მიწებს არ შეხებია.

მთავრობამ უარი თქვა დახურულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, უცხოურ კაპიტალს კარები გაუღო და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას მისცა ბიძგი. 1952 წელს თურქეთი ნატო-ს შეუერთდა.

**დაადგინეთ ნატო-ს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მსგავსი და განსხვავებული მხარეები. გააანალიზეთ მათი გამაერთიანებელი მხარეები.**

ენოზისი-ბერძნული სიტყვაა ნიშნავს ერთიანობას. იდეოლოგია, რომელიც ითვალის-წინებს საბერძნეთის საზღვრებს გარეთ დარჩენილი ბერძნებით დასახლებული მიწების საბერძნეთთან შეერ-თებას.

1960 წელს, სტუდენტებმა სტამბულში დემოკრატიის შეზღუდვის წინააღმდეგ გამართეს მიტინგი, პოლიციამ მიტინგის მონაწილეებს გაუხსნა ცეცხლი. ჯარმა მოახდინა სამხედრო გადატრიალება, ხელისუფლება გადავიდა ეროვნული ერთობის ხელში: დაითხოვეს სახალხო მეჯლისი, გაუქმდა 1924 წლის კონსტიტუცია და პოლიტიკური პარტიები. 1966 წელს გენერალი ჯოვდათ სუნაი აირჩიეს პრეზიდენტად და შემცირდა პოლიტიკური დაძაბულობა. 1973 წელს გატარდა აგრარული რეფორმა. დაქირავებული მიწების ერთი ნაწილი, საფასურის გადახდით შესყიდულ იქნა და მიყიდეს გლეხებს. გლეხს მიწის საფასური 15 წელიწადში უნდა დაებრუნებინა.

1974 წელს საბერძნეთმა დაიწყო კვიპროსის შეერთება. ***ენოზისად**** წოდებული ეს ნაბიჯი, კვიპროსელი თურქების მასიური ქლეტით იყო გამორჩეული. ამის შესაჩერებლად თურქეთმა



კვიპროსის ჩრდილოეთში შეიყვანა ჯარი. ამ ადგილას დაარსდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. კვიპროსის საკითხმა დაამძიმა თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა.

1979 წლის არჩევნებში, სულეიმან დემირელის მეთაურობით, სამართლიანობის პარტიამ გაიმარჯვა, მისმა მთავრობამ ტერორიზმის და ანარქიის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ქვეყანაში დაიწყო გაფიცვების და დემონსტრაციების ტალღა.

1980 წელს გენერალმა ქენან ევრენმა მოახდინა სამხედრო გადატრიალება, ქვეყანაში დაამყარა პოლიტიკური სტაბილურობა. 1983 წლის საპარლამენტო არჩევნებში თურგუთ ოზალის მეთაურობით გაიმარჯვა "დედა სამშობლოს" პარტიამ. თ ოზალმა შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ინფლაციის ალაგმვას, საშუალო ფენის ეროვნული შემოსავლიდან მიღებულ წილის მატებას, მოსახლეობის დამატებით შემოსავლების მატების ღონისძიებებს. შედეგად, თურქეთის ეკონომიკამ დაიწყო ჩქარი ტემპით განვითარება. თ. ოზალმა "***თურქეთის ეკონომიკის საოცრების მამა***"-ს წოდება მიიღო.



**თურგუთ ოზალი**

**გაარკვიეთ და გაანალიზეთ, თურქეთის ეკონომიკაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები.**

2003 წლის არჩევნებში, სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ გაიმარჯვა და ლიდერი რეჯებ თეიუბ ერდოღანი აირჩიეს პრემიერ მინისტრად. ამ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკამ საერთაშორისო სამყაროში თავისი პოზიცია კიდევ უფრო გაამყარა. ეკონომიკის დარგში მიღებულმა წარმატებებმა თურქეთი შეიყვანა ყველაზე განვითარებულ 20 დიდი ქვეყნის რიგში. რ. თ. ერდოღანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მიღწეული წარმატებები 2014 წელს მისი გაპრეზიდენტების მიზეზი გახდა.



**რეჯებ თეიუბ ერდოღანი**

**კითხვები და დავალებები:**

1. გაარკვიეთ და მოამზადეთ პრეზენტაცია, მ გორბაჩოვის „გარდაქმნის“ პოლიტიკის თურქულ სამყაროზე გავლენის შესახებ.
2. დაასაბუთეთ, რომ თ. ოზალს უწოდებდნენ „თურქეთის ეკონომიკური საოცრების მამა“-ს.
3. შეადარეთ თურქეთის 1960 წლის და 1980 წლის გადატრიალებები.
4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, აშშ-ს თურქეთისათვის „ტრუმენის დოქტრინისა“ და „მარშალის გეგმის“ ჩარჩოს საფუძველზე დახმარებების შესახებ. თქვენი აზრით, რა იყო აშშ-გან თურქეთისთვის ამ დახმარებების მიზანი?
5. რა ბედი ეწია თათარისტანს და ბაშკირეთს სსრკ-ის დაშლის შემდეგ? რა იყო ამ ტერიტორიაზე რუსეთის პრეტენზიის მიზეზები?
6. შეაგროვეთ ინფორმაცია სსრკ-ის დაშლის შემდეგ ყაზახეთის შესახებ და შეადგინეთ სქემა-ცხრილი.
7. მოამზადეთ ესე „აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობის“ სახელწოდებით.

# 22. ირანი და არაბული ქვეყნები

*ომის შემდეგ ირანში ინგლისელების მონოპოლიაში მყოფი ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის მოძრაობა დაიწყო. ხოლო ეგვიპტე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებშიც ფაქტიურად, დიდ ბრიტანეთზე იყო დამოკიდებული. ეგვიპტელი ხალხი ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლას აწარმოებდა. ხოლო არაბულ სამყაროში პალესტინა-არაბი, ისრაელი-არაბების კონფლიქტს ცეცხლი მოეკიდა. ომის შემდგომ პერიოდში ირანისა და არაბული ქვეყნების ცხოვრებაში უამრავი ცვლილებები მოხდა და მათ ისტორიაში ახალი მოვლენები ჩაიწერა.*

**რა იყო ირანისა და არაბული ქვეყნების ისტორიაში მომხდარი ცვლილებები? რა კვალი დატოვა ამ მოვლენებმა ისტორიის მეხსიერებაში? რისგან შედგებოდა მათი როლი მსოფლიოს ისტორიაში?**



**მაჰამმად მუსადდიკი**

**ირანი.** ირანში მოძრაობას ეროვნული ფრონტის ხემძღვანელი მაჰამმად მუსადდიკი მეთაურობდა. ამ მოძრაობის გავლენით 1951 წლის მარტში ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ცოტა ხანში მ. მუსადდიკი დაინიშნა პრემიერ მინისტრად, მაგრამ ორი წლის შემდეგ გენერალ ზაჰიდის მეთაურობით მოხდა სამხედრო გადატრიალება. ქვეყნიდან გაქცეული მაჰამმად რიზა შაჰ ფეჰლევი დაბრუნდა ირანში და ხელისუფლებაში გამტკიცდა.

სამხრეთ ირანის ნავთობის, საერთაშორისო ნავთობის ***კონსორციუმის**** იჯარაზე მიცემასთან ერთად, ბოლო მოეღო ინგლისელების ნავთობის მონოპოლიას ირანში. ქვეყანაში ხალხის უკმაყოფილების გამო შაჰმა განახორციელა "***თეთრ რევოლუცია***"-დ წოდებული რეფორმების პროგრამა, რაც მიზნად ისახავდა ირანის სამრეწველო ქვეყნად გადაქცევას. განვითარდა განათლება და ჯანდაცვა. აგრარული რეფორმების შედეგად, ქვეყნისაგან და მსხვილი მიწის მეპატრონეებისაგან მიწის ნაკვეთის შესყიდვის გზით გლეხები გადაიქცნენ ფერმერებად. ქალებს გარკვეული პირობებით მიეცათ, არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

**კონსორციუმი (ლათინურად-საზიარო)-კომერციის მონაწილეების საორგანიზაციო-სამართლის ფორმაა. სხვადასხვა დამოუკიდებელი კომპანიების მხრიდან ამა თუ იმ პროექტის განხორციელების მიზნითაა დაარსებული.**

**რატომ იწოდებოდა ირანის რეფორმები "თეთრ რევოლუცია"-დ?**

XX საუკუნის 70-იან წლებში ირანის ეკონომიკის განვითარება, სიჩქარის მიხედვით, აზიაში იაპონიის შემდეგ გავიდა მეორე ადგილზე, მაგრამ რეფორმების არათანმიმდევრულობა ამწვავებდა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. **1978 წლის იანვარში** ქ. ყუმში დემონსტრანტების წინააღმდეგ იარაღის გამოყენება, ირანის რევოლუციის დაწყებისათვის გახდა სიგნალი. რევოლუციის ხელმძღვანელობა აიათულა ხომეინის მეთაურობით სასულიერო პირების ხელში გადავიდა. გავრცელებულმა სახალხო მოძრაობამ მეჰემმედ რზა

შაჰ ფეჰლევი აიძულა დაეტოვებინა ქვეყანა. ამრიგად, 1925 წელს ტახტზე ასული ფეჰლევიების დინასტიის ხელისუფლებას მოეღო ბოლო. **1979 წლის 1 აპრილს** გამოცხადდა ირანის ისლამური რესპუბლიკა. რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალის, აზერბაიჯანელების სურვილი არ ასრულდა. მათ არ მიეცათ დედაენაზე განათლების მიღებისა და სკოლის გახსნის უფლება.

**რატომ არ შეასრულა აზერბაიჯანელების სურვილი ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ?**

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ირანი დიდი ხნის მანძილზე მსოფლიოს ქვეყნებისაგან იყო იზოლირებული. საგარეო პოლიტიკის სფეროში, ირანი ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობას ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა იგი იცავდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ დამპყრობელ სომხეთთან ინარჩუნებდა მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობას. კასპიის ზღვის სექტორებად დანაწილებისას მოითხოვა 20 პროცენტი წილი.

**არაბული ქვეყნები.** გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ, 1947 წლის ნოემბერში მიიღო გადაწყვეტილება **პალესტინის** გაყოფისა და მის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს, ებრაელური და არაბული ქვეყნის დაარსების შესახებ. დასავლეთ ქვეყნების დახმარებით 1948 წლის მაისში ებრაელებისათვის გამოყოფილი პალესტინის ტერიტორიაზე, დაარსდა დამოუკიდებელი ისრაელის სახელმწიფო. ამის საპასუხოდ, პალესტინაში არაბული ქვეყნების დახმარებით, ისრაელის წინააღმდეგ დაიწყო ომი. ომი დასრულდა არაბული ქვეყნების მარცხით. ისრაელმა პალესტინის არაბული სახელმწიფოსათვის გამოყოფილი ტერიტორიის ერთი ნაწილი ჩაიგდო ხელში. იმ დროიდან მოყოლებული, დღემდე არსებულ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტს ჩაეყარა საფუძველი.

**რა არის პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოუგვარებლობის მიზეზი?**

1964 წელს, იასირ არაფატის მეთაურობით დაარსდა ***პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია.*** ისრაელის წინააღმდეგ დაიწყო პარტიზანული ომი. 1967 წლის ივნისში, ისრაელის ჯარმა შეუტია ეგვიპტეს, იორდანიასა და სირიას. ექვსდღიან ომში დამარცხდნენ არაბული ქვეყნები. ისრაელმა დაიპყრო ღაზას სექტორი, სინაის ნახევარკუნძული, მდინარე იორდანიის დასავლეთი სანაპირო, კუდსუნის არაბული ნაწილი, სირიის კოლანის გორაკები. ისრაელის დამპყრობლური პოლიტიკა, 1973 წელს ახალი პალესტინა-ისრაელის ომის დაწყების მიზეზი გახდა. ამ ომში ისრაელი პირველად დამარცხდა. ჟენევაში კონფერენცია იქნა მოწვეული, მაგრამ აშშ-მა და ისრაელმა ჩაშალეს კონფერენცია. აშშ-ს დახმარებით **1978 წლის სექტემბერში კემპ-დევიდში** ეგვიპტესა და ისრაელს შორის სეპარატისტულ შეთანხმებას მოეწერა ხელი. ამით არაბული სახელმწიფოების ერთობა შეირყა. სამაგიეროდ, ეგვიპტესა და ისრაელის შეთანხმებამ, ორ ქვეყანას შორის ომს მოუღო ბოლო. ქალაქ კუდსის ისრაელის



**მეჰემმედ რზა შაჰ ფეჰლევი**



**რუჰულლა მუსევი ხომეინი**



**იასირ არაფატი**

„ერთიან და განუყრელ დედაქალაქად“ გამოცხადებამ, კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური მდგომარეობა.

**რატომ გაამწვავა პოლიტიკური მდგომარეობა ებრაელების მიერ ქალაქ კუდსის "ერთიან და განუყრელ დედაქალაქად" გამოცხადებამ?**



XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, პალესტინა-ისრაელის ურთიერთობების მოწესრიგებისათვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები.

1994 წლის მაისში, ისრაელსა და პალესტინას შორის „ღაზა-ერიჰა“-დ წოდებული შეთანხმებას მოეწერა ხელი. შეთანხმების თანახმად, დაპყრობილ ღაზასა და ერიჰას ოლქებში შეიქმნა პალესტინის ავტონომია, მაგრამ ისრაელმა 1997 წელს კუდსის არაბების საცხოვრებელ ნაწილში ებრაელების ჩასახლების დაწყებით, ახლო აღმოსავლეთში საფრთხის ქვეშ დააყენა მშვიდობიანი პროცესი.

**რატომ დააყენა საფრთხის წინაშე მშვიდობიანი პროცესი, ახლო აღმოსავლეთში ისრაელის კუდსის არაბების საცხოვრებელ ნაწილში ებრაელების დასახლების დაწყებამ? გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება.**

**პალესტინელი ლტოლვილი**

მდინარე იორდანეს მთელი დასავლეთი ნაპირის და ღაზას სექტორის მმართველობა მიეცა პალესტინის ავტონომიას. თუმცა 2000 წელს ისრაელ-პალესტინის ურთიერთობა ხელახლა გამწვავდა და სიტუაცია მივიდა ომის ზღვარზე. პალესტინის ავტონომიის ახალი ხელმძღვანელი მაჰმუდ აბბასი, პრობლემის გადაჭრას ცდილობს მშვიდობიანი გზით.

**1952 წლის ივნისში, ეგვიპტეში დაიწყო** კაიროს გარნიზონის ნაწილების აჯანყება. აჯანყებას ჯამალ აბდულ ნასირის მეთაურობით „თავისუფალი ოფიცრები“-ს ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა. მეფე ფარუკი იძულებული გახდა ხელი-

**პალესტინელების მიერ 1946 წლიდან 2012 წლამდე დაკარგული მიწები**



სუფლებიდან წასულიყო და დატოვა ქვეყანა. 1953 წელს ეგვიპტე გამოცხადდა რესპუბლიკად. ჯამალ აბდულ ნასირი გახდა მისი პირველი პრეზიდენტი. ის ცდილობდა, რომ ეგვიპტე გამხდარიყო სრულიად თავისუფალი.

ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაცია გახდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ისრაელისათვის ომის დაწყების მიზეზი. თუმცა ინტერვენტები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ეგვიპტის ტერიტორია.



ჯამალ აბდულ ნასირი

**რატომ გახდა, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ისრაელისთვის ომის დაწყების მიზეზი, ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაცია? განმარტეთ.**

ჯ. ნასირის გარდაცვალების (1970) შემდეგ პრეზიდენტად აირჩიეს ანვარ სადათი. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის მან „ღია კარი“-ს, „ლიბერალიზაციის“ პოლიტიკა გამოაცხადა. ეს პოლიტიკა გახდა უცხოელი მონოპოლიების ეგვიპტის ეკონომიკაში, ფართოდ წარმოდგენის მიზეზი.

1981 წლის ოქტომბერში სამხედრო აღლუმის დროს მოკლეს ანვარ სადათი. ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ჰუსნი მუბარაკი. ჰუსნი მუბარაკის მთავრობა, ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებისათვის გაწონასწორებულ პოლიტიკას მიჰყვა.



ჰუსნი მუბარეკი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, **საუდის არაბეთის** საშინაო და საგარეო პოლიტიკა განისაზღვრებოდა ნავთობის ფაქტორით. სამეფო თხევადი საწვავის ექსპორტით გადაიქცა ძლევამოსილ სახელმწიფოდ.

აშშ-მა ომის შემდეგაც, გააფართოვა საქმიანი ურთიერთობები საუდის არაბეთთან. დეჰრანში აშენდა სამხედრო ბაზა. გაკეთდა ტრანს-არაბული ნავთობსადენი. ნავთობის წარმოების რაოდენობის მიხედვით, არაბეთი გავიდა ახლო აღმოსავლეთში პირველ ადგილზე. 70-იან წლებში, ნავთობზე მსოფლიოს ფასების მატებამ, საუდის არაბეთი განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოს ქვეყნებს შორის გახადა ლიდერი ქვეყანა.

**რას ნიშნავდა საუდის არაბეთისთვის ნავთობის ფაქტორი? ვენის დიაგრამის შედგენით შეადარეთ საუდის არაბეთი და აზერბაიჯანი ეკონომიკური თვალსაზრისით.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, **ერაყის** ხელისუფლებას პროინგლისური ძალები ფლობდნენ. 1958 წლის ივლისში ჯარისა და პატრიოტული ძალების დახმარებით მოხდა რევოლუცია. დაემხო მონარქიული რეჟიმი, ერაყი გამოცხადდა რესპუბლიკად. ქვეყანაში რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, დაიწყო აგრარული რეფორმები.



გაერო-ს ლოგო

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს სადამ ჰუსეინის მეთაურობით, სამხედროების ჯგუფმა ხელისუფლება ჩაიგდო ხელში. ს. ჰუსეინის არაბული სამყაროს ლიდერობის პრეტენზიებმა, ქვეყნის მომავალ კატასტროფას გაუხსნა გზა. ერაყმა კუვეიტში შეჭრით დაიპყრო მისი ტერიტორია. საერთაშორისო საზოგადოებამ ეს აგრესია სასტიკად დაგმო. ერაყმა გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს კუვეიტის ტერიტორიის გათავისუფლების მოთხოვნა უარყო. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ჩათვლით,



სადდამ ჰუსეინი

რიგმა ქვეყნებმა, ერაყის წინააღმდეგ დაიწყო სამხედრო ოპერაცია სახელწოდებით "***ქარიშხალი უდაბნოში***". ერაყი ომში დამარცხდა. ეს ომი ისტორიაში შევიდა, როგორც "***ყურეს ომი***".

**განმარტეთ ომში ერაყის დამარცხების მიზეზი.**

2002 წელს, აშშ-ის სამხედრო ძალებმა განახორციელეს ერაყის სამხედრო ინტერვენცია, შედეგად დაემხო სადამ ჰუსეინის რეჟიმი. იმის მიუხედავად, რომ ერაყში გარდამავალი მთავრობა მოქმედებდა, ქვეყანაში მძვინვარებდა არასტაბილურობა.

**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები (XX–XXI საუკუნის დასაწყისი)**



**კითხვები და დავალებები:**

1. რა იყო ირანში „თეთრი რევოლუციის“ რეფორმების განხორციელების მიზანი? გაარკვიეთ ამ რეფორმების შედეგები.
2. მსოფლიოს პოლიტიკური რუკის მიხედვით, დაადგინეთ არაბული ქვეყნები.
3. გამოაშკარავეთ, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მიზეზები.
4. რა იყო „ქარიშხალი უდაბნოში“ ოპერაციის მიზეზი?
5. გაანალიზეთ, ეგვიპტეში განხორციელებული „ღია კარი“-ს და „ლიბერალიზაციის“ პოლიტიკის შედეგები.
6. რომელ ფაქტორებთან არის დაკავშირებული საუდის არაბეთის ძლევამოსილება?
7. განმარტეთ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მიზეზები.
8. როგორი გავლენა მოახდინა ირანის ისლამური რესპუბლიკის შექმნამ აზერბაიჯანზე?
9. რა მნიშვნელობა ჰქონდა „ღაზა-ერიჰა“-ს პალესტინელებისათვის?

## 23. ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი

***მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ინდოეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა ინდოეთისათვის დომინიონის უფლება მიეცა. რელიგიური ნიშნებით, ინდოეთის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო დაარსდა: ინდოეთი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ინდუიზმის რელიგიის მიმდევრები წარმოადგენდნენ და პაკისტანი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმანები წარმოადგენდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავღანეთი მონარქიული მეთოდით მართული, ჩამორჩენილი, აგრარული სახელმწიფო იყო.***

**რა ბედი ეწიათ ინდოეთს, პაკისტანსა და ავღანეთს? რა როლს თამაშობდნენ ეს ქვეყნები აღმოსავლეთ აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

**ინდოეთი.** 1947 წელს ხანგრძლივი დაპირისპირების შედეგად ბოლო მოეღო ინდოეთში ინგლისელების ბატონობას. რელიგიის მიმდევრობის მიხედვით სახელმწიფო დაიყო ინდოეთად და პაკისტანად. ინდოელებმა ჯავაჰარლალ ნერუს მეთაურობით შექმნეს დროებითი მთავრობა, მაგრამ ეს სრული თავისუფლება არ იყო. პირველივე წლებიდან ამ ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ გაუჩნდათ ტერიტორიული პრეტენზიები. ქაშმირის დაუფლებისათვის 1948 წელს დაიწყო ინდოეთ-პაკისტანის ომი. მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ჩრდილო ქაშმირი პაკისტანის, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადავიდა ინდოეთის მფლობელობაში. ქაშმირი შემდგომშიც რჩებოდა ორ ქვეყანას შორის სისხლიანი სამხედრო დაპირისპირების მიზეზად. პაკისტანი ქაშმირის საკითხის საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტას ცდილობდა. მას, არ თვლიდა ინდოეთის შემადგენელ ნაწილად. 1950 წელს გამოცხადდა ინდოეთის რესპუბლიკა.



ჯავაჰარლალ ნერუ



ინდირა განდი

კონსტიტუციის თანახმად, ინდოეთის სახელმწიფო წყობა წარმოადგენს ფედერაციულ რესპუბლიკას, ხოლო მმართველობის ფორმა საპარლამენტო რესპუბლიკას.

**შეადარეთ ერთმანეთს ინდოეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო წყობა.**

ინდოეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ჯ. ნერუს მიერ იყო მომზადებული. „ნერუს ხაზი“-ს არსი სამხედრო ბლოკებთან (მიუმხრობლობა) არ შეერთება, მშვიდობისა და ურთიერთობის დაცვა, ეროვნული ეკონომიკის გეგმიური განვითარების ორგანიზება წარმოადგენდა.

1961 წელს ინდოეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში მდებარე, პორტუგალიის მიერ დაპყრობილი გოა, დიუ და დამანი დაუბრუნდა ინდოეთის რესპუბლიკას.

ინდოეთის რესპუბლიკა მრავალეროვანი, რელიგიის მიხედვით (მრავალრელიგიური) მრავალფეროვანი, მოსახლეობის სოფლის ტიპის დასახლებით გამორჩეული ქვეყანაა. ამიტომაც ამ რესპუბლიკაში ეროვნული და რელიგიური დაპირისპირება ხშირად ხდებოდა. ფენჯაბდში მცხოვრები სიკხის თემი, დამოუკიდებელი სიკხის სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ზეწოლის საშუალებად ტერორს იყენებდა. პრემიერ მინისტრები ინდირა განდი და რეჯივ განდი გახდნენ ტერორის მსხვერპლი.

აღმოსავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები



ინდოეთის მოსახლეობის რაოდენობამ ერთ მილიარდს გადააჭარბა, ეს მაჩვენებელი მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ იკავებს მეორე ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 300 მილიონი სიღარიბეში ცხოვრობს და 25 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცის "დემოკრატიული უპირატესობის" გამოყენებით, ინდოეთი მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილ ქვეყნებს შორის ყოფნისათვის განაგრძობს ბრძოლას. მიუხედავათ სიძნელეებისა, ინდოეთი სამხრეთ აზიაში ინარჩუნებს წამყვან პოზიციას. ეკონომიკის ლიბერალიზაცია, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, პრივატიზაცია მისი განვითარების მთავარი ტენდენციებია.

**გარკვიეთ და გაანალიზეთ ინდოეთის მიერ მისი პოზიციების შენარჩუნების მიზეზები.**


მუჰამმედელი ჯინნე

**პაკისტანი.** 1947 წლის აგვისტოში შექმნილი პაკისტანის კონსტიტუციის თანახმად, პაკისტანი გამოცხადდა ფედერაციულ რესპუბლიკად. სახელმწიფოს დამაარსებელმა მეჰემმედელი ჯინემ ქვეყანაში განახორციელა მიწისა და საგადასახადო რეფორმები. პაკისტანი, რომელსაც სამხედროები მართავდნენ, 1962 წელს მარტში გახდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა. 1970 წელს ქვეყანაში პირველად ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. არჩევნებში გამარჯვებულმა პაკისტანის სახალხო პარტიის ლიდერმა ზულფუკარ ბჰუტომ შექმნა სამოქალაქო მთავრობა. ინდოეთის მოსაზღვრე აღმოსავლეთ პაკისტანში 1971 წელს ინდოეთის ჯარის შესვლასთან ერთად დაარსდა ბანგლადეშის სახელმწიფო, ხოლო პაკისტანმა ის, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. ზ. ბჰუტო თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულეს და გენერალი ზ. ზია-ულ-ჰაკის მიერ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა.

**რა მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადებას?**


ბენაზირ ბჰუტო

ახალმა მთავრობამ დაიწყო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ისლამიზაცია, ზია-ულ-ჰაკი ავიაკატასტროფაში დაღუპვის გამო, დაწყებული საქმე დარჩა დაუსრულებელი. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პაკისტანის სახალხო პარტიის ლიდერმა, ზ. ბჰუტოს შვილმა ბენაზირ ბჰუტომ დაიკავა პრემიერ მინისტრის თანამდებობა. ახალმა მთავრობამ ქვეყნის ცხოვრების დემოკრატიზებისათვის, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის წამოაყენა საკუთარი გეგმა, მაგრამ ოპოზიციაში მყოფი დემოკრატიული ალიანსის პარტია, ამ გეგმის განხორციელების პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვა ბ. ბჰუტოს გადადგომა. ამით დაიწყო ქვეყანაში არეულობები და პრემიერ მინისტი გადააყენეს.

მორიგი სამხედრო გადატრიალების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში გენერალი ფერვიზ მუშარაფი. მან გაიმარჯვა 2001 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ 2009 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში პაკისტანის სახალხო პარტიის ლიდერი



პაკისტანის ატომური რაკეტა

ასიფ ალი ზარდაი აირჩიეს პრეზიდენტად. პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა იქცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ ძლევამოსილ ქვეყნად. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში მეექვსე ადგილს იკავებს. პაკისტანი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, იმ სახელმწიფოებს შორის, ვინც ცნო აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ჩვენს ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროში არსებობს მჭიდრო კავშირი. 90-იან წლებში პაკისტანში აბდულ-ყადირ ხანუმის მეთაურობით მომუშავე ადგილობრივმა სპეციალისტებმა შეძლეს ბირთვული იარაღის დამზადება. პაკისტანის ბირთვული იარაღი ატარებს თურქ-ისლამური სამყაროს ყველაზე ცნობილი მხედართმთავრების სულთან მაჰმედ კაზნევის, ემირ თეიმურისა და ბაბურ შაჰის სახელებს.

**გაარკვიეთ ისლამურ ქვეყნებს შორის პაკისტანის უნიკალური თვისებები.**

**ავღანეთი.** XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ის და ინგლისის მიერ ქვეყნის ეკონომიკაზე აქტიურმა გავლენამ გარკვეულწილად დააჩქარა ავღანეთში კაპიტალიზმის განვითარება. ქვეყანაში გამოცოცხლდა დემოკრატიისათვის მოძრაობა. 1964 წელს მიიღეს კონსტიტუცია. პოლიტიკური პარტიებს დაარსების უფლება მიეცათ, ფარული ხმის მიცემაზე გადავიდნენ, ქალებმა მოიპოვეს ხმის მიცემის უფლება. 1973 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად დაემხო მონარქია, საუდის არაბეთთან და ირანთან დამყარდა მჭიდრო კავშირი.

**გაარკვიეთ პაკისტანის, ინდოეთთან ერთად, პარალელურად ავღანეთის ადგილი მსოფლიოს რუკაზე.**



ნურ მეჰემმედ თარაქი

1978 წლის აპრილში, ქაბულში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ძალებმა გამოაცხადეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების შესახებ. ახალმა მთავრობამ საბჭოთა ნიმუშის სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით გაატარა რიგი რეფორმები. მიწათმფლობელებს ჩამოერთვათ მიწები და დაურიგდათ გლეხებს, ქალებს მიენიჭათ მამაკაცებთან თანაბარი უფლებები, გადავიდნენ უფასო დაწყებით სწავლებაზე, მაგრამ მმართველი პარტიის შიგნით წინააღმდეგობის გამწვავებამ, ქვეყანა მიიყვანა პოლიტიკურ გადატრიალებამდე. ასდპ-ის ლიდერის ნ. თარაქის, ოპონენტი ჰაფიზულა ემირის მიერ ჩამოგდება, 1979 წელს გახდა ავღანეთში სსრკ-ს ჯარების შეყვანის მიზეზი. რის შედეგადაც ხელისუფლებაში ბაბრექ ქარმალი იქნა მოყვანილი. მან გააგრძელა „სოციალიზმის მშენებლობის“ ხაზი. საბჭოთა ჯარების აგრესიას მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების პროტესტი.

**განმარტეთ ავღანეთში სიახლეების გადატრიალების გზით განხორციელების მიზეზები.**

ავღანეთის ომში საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ მიაღწია წარმატებას და იძულებული გახდა 1989 წელს ავღანეთიდან გამოეყვანა ჯარები, მაგრამ ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანამ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაამწვავა პოლიტიკური მდგომარეობა. ქვეყანაში გაძლიერდა სამოქალაქო ომი. მდგომარეობის დასტაბილურებისა და სამოქალაქო ომის შეწყვეტის მიზნით, მთავრობისა და ოპოზიციური ძალების მონაწილეობით კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ წამოაყენეს წინადადებები. თუმცა ამ ღონისძიებამ ქვეყნის შიდა მდგომარეობას ვერ მოუტანა სტაბილურობა.

**რა იყო საბჭოთა სახელმწიფოს ავღანეთში წარუმატებლობის მიზეზი?**

1995 წელს ავღანეთის სამხედრო პოლიტიკურ ცხოვრებაში, დაიწყო ისლამისტად ცნობილი "**თალიბანური**" მოძრაობა. 1999 წელს თალიბები უკვე ქვეყნის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ. 2001 წელს სექტემბერში აშშ-ში განხორციელებულ ტრაგიკულ ტერორში უსამა ბინ ლადენი და მისი "**ალ ქაიდას**" ორგანიზაციის წევრების დანაშაულის გათვალისწინებით, თალიბებს გამოუცხადეს ომი. იმის გამო, რომ უსამა ბინ ლადენი ავღანეთში იმალებოდა, აშშ-მა და მისმა მოკავშირე ქვეყნებმა სამხედრო ოპერაციების შედეგად გაანადგურეს თალიბების რეჟიმი. ჰამიდ ქერზაი აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად. მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებშიც მან გაიმარჯვა და დემოკრატიული ძალების დახმარებით, ერთიანი დემოკრატიული ავღანეთისათვის აგრძელებს ბრძოლას.

დღესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი გრძელდება. ავღანეთში არსებული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში აზერბაიჯანის სამხედროებიც იღებენ მონაწილეობას.



**ჰამიდ ქერზაი**

**ავღანეთის მოჯაჰედები**



**კითხვები და დავალებები:**

1. რა იყო დიდი ბრიტანეთის მიერ ინდოეთისა და პაკისტანისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების მიზანი?
2. განმარტეთ „ნეჰრუს ხაზი“- ს არსი.
3. ინდოეთი თანამედროვე ეტაპზე, რომელი უპირატესობებით სარგებლობას ცდილობს, რომ იყოს ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ქვეყანა?
4. რომელი რეფორმები განხორციელდა, პაკისტანის სახელმწიფოს დაარსების პირველ წლებში?
5. რომელი ქვეყნის ჩარევითა და დახმარებით დაარსდა ბანგლადეშის სახელმწიფო, აღმოსავლეთ პაკისტანში?
6. მოამზადეთ ესე პაკისტან-აზერბაიჯანის ურთიერთობების შესახებ.
7. რომელი რეფორმები განახორციელა ავღანეთის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ?
8. გაანალიზეთ საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გამოყვანის შედეგები.
9. განმარტეთ აშშ-ის და მისი მოკავშირეების ავღანეთის ინტერვენციის მიზეზები.

## 24. ჩინეთი, იაპონი, კორეა

*მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩინეთში სამოქალაქო ომი კომუნისტების გამარჯვებით დამთავრდა. იაპონია ომიდან მძიმე მდგომარეობაში გამოვიდა. კორეის ჩრდილოეთი სსრკ-ის მიერ, ხოლო სამხრეთი აშშ-ს ჯარების მიერ იყო დაპყრობილი. პოტსდამის კონფერენციის საფუძველზე, 38-ე პარალელით განისაზღვრა ორი ქვეყნის სასაზღვრო ხაზი.*

**რა ბედი ეწია შემდგომში ამ ქვეყნებს? როგორი იყო ჩინეთის, იაპონიისა და კორეის ომის შემდგომი მდგომარეობები? რით განისაზღვრა ამ ქვეყნების გავლენა მსოფლიოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე?**



**მაო ძედუნი**

**ჩინეთი. 1949 წლის ოქტომბერში** გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) შექმნა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მაო ძედუნი აირჩიეს ჩსრ-ის მეთაურად. ჰომინდანჩი ჩან კაიშიმ ტაივანის კუნძულებზე დაიხია და შექმნა საკუთარი სახელმწიფო. აგრარული რეფორმების შედეგად გაუქმდა მიწათმფლობელობა. მიწათმფლობელებისაგან ჩამორთმეული მიწა გლეხებს შორის დაანაწილეს. დაიწყო სოფლის მეურნეობის კოოპერატივებად გარდაიქმნა.

საგარეო პოლიტიკაში ჩინეთი იცავდა სსრკ-ს პოზიციას. დასავლეთის ქვეყნები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არ ცნობდნენ, როგორც სახელმწიფოს. გაეროში მის ადგილს იკავებდნენ ჰომინდანჩები. მაო ძედუნმა "დიდი ნახტომი" და „სახალხო კომუნები“-ს ხაზი წამოაყენა. "დიდ ნახტომს" 5-10 წლის განმავლობაში ჩსრ უნდა ექცია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე

განვითარებულ ქვეყნად, მაგრამ ამ პოლიტიკის წარუმატებლად დამთავრება მაო ძედუნის წინააღმდეგ გახდა კრიტიკის მატების მიზეზი. 1965 წლის ბოლოს მაო ძედუნმა გამოაცხადა "კულტურული რევოლუცია". ეს რევოლუცია, სინამდვილეში ატარებდა მაოს წინააღმდეგ და განსხვავებული აზრის მქონე ძალებთან ანგარიშსწორების მიზანს. "***კულტურული რევოლუციის***", დროს, რომელიც ათ წელიწადს გაგრძელდა, 21 მილიონზე მეტი კაცი გახდა რეპრესიების მსხვერპლი.

**განმარტეთ "კულტურული რევოლუციის" მიზანი. რა იყო ამ რევოლუციის მიზეზი?**



"კულტური რევოლუცია" ჩინეთში

"კულტურული რევოლუციის" წლებში სსრკ-ჩინეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა. სსრკ-ჩინეთის საზღვარზე კუნძულ დამანსკზე მოხდა სამხედრო შეტაკება, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი. მაო ძედუნის გარდაცვალების შემდეგ ჩინეთში დაიწყო განახლების პროცესი. განახლების პროცესმა გამოიწვია დემოკრატიისათვის ბრძოლა. "***კულტურული რევოლუციის***" წლების 100 მილიონზე მეტმა ძალადობის მსხვერპლმა მიიღო გამამართლებელი განაჩენი. ხელისუფლებაში მოსულმა დენ სიაოპინმა კომუნიზის მშენებლობაში დაჩქარების გამოცდილება უარყო, დაიწყო ეკონომიკური რეფორმების გატარება.



დენ სიაოპინი

**გაანალიზეთ დენ სიაოპინის კომუნიზმის მშენებლობაში დაჩქარების გამოცდილების უარყოფა, ეკონომიკაში რეფორმების გატარების დაწყება. რატომ გადადგა მან ეს ნაბიჯი?**

1992 წელს დამტკიცდა სოციალიზმის მშენებლობის "***ჩინური მოდელის***" კონცეფცია. დიდი ბრიტანეთის მიერ იჯარით აღებული ჰონკონგი 1997 წელს დაუბრუნდა ჩინეთს. დღესდღეობით ჩინეთი აგრძელებს ყველაზე განვითარებულ ქვეყნების რიგში თავისი პოზიციის გამყარებას.

**იაპონია.** იაპონიის ტერიტორია მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ს ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ამ მდგომარეობამ გასტანა 1952 წლამდე. მოკავშირეების გადაწყვეტილებით იაპონიაში გაუქმდა ***მილიტარიზმი****, დაიწყო დემოკრატიული წესების განხორციელება. პოლიტიკურმა პარტიებმა და პროფესიულმა კავშირებმა ხელახლა დაიწყეს თავისუფალი მოღვაწეობა. **1947 წელს** მიიღეს იაპონიის ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო წყობა გახდა კონსტიტუციური მონარქია. ქვეყნებს შორის დავებში მუქარისა და შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე ხელი იქნა აღებული.

*მილიტარიზმი-(ლათინურად სამხედროს ნიშნავს) ახალი ტერიტორიების დაპყრობისათვის სამხედრო ძალების გაძლიერებისაკენ მიმართული პოლიტიკაა.*

**შეადარეთ 1889 წელს იაპონიაში მიღებული კონსტიტუცია 1947 წლის კონსტიტუციას.**




**აღმოსავლეთ აზიის და ინდო-ჩინეთის ქვეყნები XX საუკუნის შუა ხანებში–XXI საუკუნის დასაწყისში**

"***ცივმა ომმა***" მკვეთრად შეცვალა აშშ-ის პოზიცია იაპონიის მიმართ. იაპონიის სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლის საყრდენად გადაქცევის მიმართულება იქნა აღებული. ამიტომ აშშ-თან თანამშრომლობა იაპონიის ომის შემდგომი საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენდა. ***1951 წლის სექტემბერში სან-ფრანცისკოს*** კონფერენციაზე გაფორმდა აშშ-სა და იაპონიას შორის უსაფრთხოების ხელშეკრულება. აშშ-მა დაიტოვა იაპონიაში სამხედრო ბაზების შენარჩუნების უფლება.

იაპონია შეეცადა მსოფლიო ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზებას. ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერით სსრკ-ს და იაპონიას შორის საომარ მდგომარეობას ბოლო მოეღო და აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები. სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ აღიარა სასაზღვრო-ტერიტორიული პრობლემის არსებობა. ჩინეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას მიექცა უფრო მეტი ყურადღება. იაპონია შევიდა ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიგში.



იაპონია, ტოკიო.

იაპონია გადაიქცა მსოფლიოს ერთ-ერთ ძალოვან ცენტრად. იგი თავისი ეკონომიკური ძლიერების მიხედვით შეიძლება მხოლოდ აშშ-ს შევადაროთ, მაგრამ აშშ-გან განსხვავებით იაპონიას არ გააჩნია საკუთარი ნედლეული და ენერგიის ბაზა, ახდენს მათ იმპორტს. თანამედროვე იაპონიის პოლიტიკური სისტემა ეფუძნება იმპერატორის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის შენარჩუნების პირობით მრავალპარტიული პარლამენტის დემოკრატიას.

**განმარტეთ იაპონიის მსოფლიოს ერთ–ერთ ძალოვან ცენტრად გადაქცევის მიზეზები.**

**კორეა. 1948 წელს** ქვეყნის სამხრეთში შეიქმნა კორეის რესპუბლიკა, ხოლო ჩრდილოეთში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩრდილოეთ კორეის კომუნისტების ლიდერი კიმ ირ სენი საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაითანხმა სამხრეთ კორეაში სამ-ხედრო ოპერაციების ჩატარებაზე. სსრკ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ძლიერი დახმარების მიმღებმა ჩრდილო კორეის ჯარებმა, სამხრეთი კორეის სახელმწიფოსათვის გამოყოფილი ტერიტორიის 90 პროცენტი ჩაიგდო ხელში.

1950-1953 წლებში კორეის ნახევარკუნძულებზე ჰეგემონობისათვის სსრკ-ის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩრდილოეთ კორეისა და აშშ-ის, სამხრეთ კორეის და დიდი ბრიტანეთის ჯარებს შორის გაიმართა ომი. აშშ-სა და სსრკ-ის ხელმძღვანელობის შეცვლამ მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებში გარდატეხა. ჟენევის ხელშეკრულების მიხედვით, 38-ე პარალელი გახდა ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი.




ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა

ომის შემდეგ სამხრეთ კორეის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების ჩადებამ ეკონომიკის სწრაფ განვითარებას მისცა ბიძგი. დღესდღეობით სამხრეთ კორეის კომპანიების მიერ წარმოებულ საქონელს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას შევხდებით.

**გაარკვიეთ სამხრეთ კორეის სწრაფი განვითარების მიზეზები.**

ჩრდილოეთ კორეას დღეს ბირთვული იარაღი გააჩნია, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ქვეყანაა. ორივე ქვეყანა გაერთიანების ინიციატივას იჩენს, მაგრამ ბოლო მოლაპარაკებები ჩაიშალა. ბუნებრივია მეზობელი ქვეყნები ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე ჩრდილოეთ კორეასთან, ეკონომიკურად მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში მდგომი სამხრეთი კორეის შეერთებით დიდად არ არიან დაინტერესებულნი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კორეის რესპუბლიკა მონაწილეობას იღებს ბევრი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში.

**კითხვები და დავალებები:**

1. როგორ შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და როგორი ჩანს მისი ადგილი მსოფლიოში?
2. სსრკ-ს და სოციალისტური სისტემის დაშლის შემთხვევაში გაარკვიეთ ჩინეთში ამ ურთიერთობების დარჩენის მიზეზები.
3. გაანალიზეთ იაპონიის პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომი მდგომარეობა.
4. გამოიკვლიეთ იაპონიის ეკონომიკურ აღმავლობის მიზეზები.
5. შეადარეთ ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა.
6. რატომ არ არიან დაინტერესებული მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები კორეის გაერთიანებით?

## 25. საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო თანამედროვე პერიოდში

***ფაშიზმის წინააღმდეგ ერთად მებრძოლმა მოკავშირე სახელმწიფოებმა, ომის შემდეგ თანამშრომლობა ვერ გააგრძელეს. ომიდან ეკონომიკურად და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ძლიერად გამოსვლის აშშ-ს მსოფლიოს ლიდერობის პრეტენზიები კიდევ უფრო გაეზარდა. სსრკ-მა თავის მხრივ, გავლენის სფეროს გაფართოებისათვის, საბჭოთა ჯარის მიერ განთავისუფლებულ ქვეყნებში დაამყარა სოციალისტური რეჟიმი. შეიქმნა მსოფლიოს სოციალისტური ფრონტი. ამრიგად ორი ზესახელმწიფო და ორი საზოგადოებრივი სისტემა (კაპიტალიზმი და სოციალიზმი) დაუპირისპირდა ერთმანეთს. დაარსდა ორი დაპირისპირებული სამხედრო ბლოკი: ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. მათ შორის დაიწყო "ცივი ომი".***

**რა გახდა "ცივი ომი"-ს შედეგები? როგორი იყო საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა? რომელ ისტორიულ პროცესებში შეასრულეს როლი მსოფლიო ქვეყნებმა თანამერდოვე პერიოდში?**

"***ცივი ომი***"-ს პირველი მოწოდება დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის მიერ ***1946 წელს*** ქალაქ ფულტონში გამოსვლის დროს გაჟღერდა, ხოლო პირველი რეალური ნაბიჯი "***ტრუმენის დოქტრინით***" იქნა გადადგმული. ეს გეგმა თურქეთსა და საბერძნეთში სსრკ-ს დასუსტების მიზნით იქნა წამოყენებული. ეს

დოქტრინა ომში დაზარალებული ევროპის ქვეყნების ეკონომიკური დახმარების გამთვალისწინებელი "მარშალის გეგმით" დასრულდა. სსრკ-მა თავის მხრივ იუგოსლავიის და ჩინეთის გამოკლებით, სოციალისტური ქვეყნების გამაერთიანებელი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (ეუდ) შექმნა.

**რა მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოსთვის "ტრუმენის დოქტრინას", "მარშალის გეგმას", ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნას?**



**1962 წელს კარიბის კრიზისის მიზეზის სსრკ-ს რაკეტების განთავსება კუბაში**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთშიც ძირეული ცვლილებები მოხდა. იაპონიის ოკუპაციისაგან განთავისუფლებული კორეის ჩრდილოეთი საბჭოთა ჯარების, სამხრეთი აშშ-ს ჯარების მიერ იქნა დაკავებული. 1948 წელს ჩრდილოეთში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთით კორეის რესპუბლიკა შეიქმნა. ევროპაში პოლარიზაცია გერმანიის დანაწილებით დასრულდა. **1949 წლის სექტემბერში** დასავლეთის ქვეყნების საოკუპაციო ზონაში **გფრ**-ის შექმნა, ხოლო **ოქტომბერში** საბჭოთა ჯარების დაპყრობილ ზონაში **გდრ**-ის დაარსება გამოცხადდა. აშშ-ს და სსრკ-ს ხელმძღვანელობის შეცვლასთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობებში დაძაბულობა შედარებით "შერბილდა". კორეაში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მომხდარ ომს ბოლო მოეღო. საფრანგეთმა ინდო-ჩინეთში კამპუჩიასა და ლაოსის დამოუკიდებლობა ცნო.



**კარიბის კრიზისის დროს სსრკ-ს სამხედრო გემის კუბასთან მიახლოება**

ეს ყველაფერი საერთაშორისო პირობების დათბობას გვამცნობდა, მაგრამ ეს დათბობა დიდხანს არ გაგრძელდა. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ბერლინის და კარიბის კრიზისების გამო საერთაშორისო ურთიერთობებში დაძაბულობამ ხელახლა იმატა.

**რა იყო ბერლინისა და კარიბის კრიზისების საერთაშორისო ურთიერთობებში დაძაბულობის ხელახლა მატების მიზეზი?**

ვიეტნამის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებაში აშშ-ს ჩარევამ ვითარება უფრო გაამწვავა, მაგრამ 60-იანი წლების ბოლოს საერთაშორისო ურთიერთობებში ხელახლა დაიწყო დაძაბულობის შესუსტება. აშშ-ს ჯარების ვიეტნამიდან გაყვანამ სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის დაშლას გაუხსნა გზა. გაერთიანებული ვიეტნამი გადავიდა კომუნისტების კონტროლის ქვეშ.

კონფლიქტის წყაროთაგან ერთ-ერთი იყო კვიპროსის კრიზისი. 1974 წელს "ენოზის"-ის (შემოერთება) პოლიტიკის წამოყენებით კუნძულ კვიპროსის საბერძნეთისათვის შეერთების მსურველი ბერძენი ნაციონალისტების ოცნება დამთავრდა თურქეთის ჯარების დესანტის კუნძულზე გადასხმით.

**განმარტეთ "კვიპროსის პრობლემა".**

აშშ-სა და სსრკ-ს შორის სტრატეგიული თავდასხმითი იარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერამ საკმაოდ შეარბილა საერთაშორისო ურთიერთობებში დაძაბულობა. შერბილების პროცესი უფრო გააძლიერა ***1975 წელს ჰელსინკში (ფინეთი) ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნამ***.

**რა იყო სსრკ-ს შერბილების პოლიტიკაში ჩარევის მიზანი?**

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში კოლონიალური სისტემის დანგრევის შედეგად გამოჩნდა „მესამე მსოფლიო" სახელმწიფოები. ისინი ატარებდნენ ნეიტრალურ, სამხედრო ბლოკებში შეუსვლელობის პოლიტიკას. 80-იანი წლების შუა ხანებში, ბლოკებში შეუსვლელობის მოძრაობა თავის რიგებში 100-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებდა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-მა ევროპაში განათავსა საშუალო რადიუსის რაკეტები. სსრკ-ს ავღანეთში სამხედრო ჩარევით დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობებში „ბოლო შეტაკება"-დ წოდებული დაძაბულობის ეტაპი. აშშ-ს პრეზიდენტის რ. რეიგანის მიერ „ვარსკვლავების ომი" პროგრამის გამოცხადებამ დაძაბულობა კიდევ უფრო გაამწვავა, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს სამხედრო-ეკონომიკური წარმოების და შეიარაღების სფეროში აშშ-თან შეჯიბრების ვერ გამძლე სსრკ-მა საერთაშორისო ურთიერთობებში დაძაბულობის შემცირებას მიანიჭა უპირატესობა. ამ მიზნით სსრკ-სა და აშშ-ს შორის ჩატარდა რიგი შეხვედრები. საშუალო და ახლო რადიუსის რაკეტების გაუქმების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. ეუთო-ს მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების 1990 წლის პარიზის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ***ახალი ევროპისათვის*** ქარტია იქნა მიღებული.



**სსრკ-აშშ-ს შორის "ცივ ომთან" დაკავშირებული კარიკატურა**

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ს დაშლასთან ერთად ბოლო მოეღო სოციალიზმს. დამთავრდა სსრკ-სა და - აშშ-ს დაპირისპირება. ამით დასრულდა 1946 წელს დაწყებული "ცივი ომი" .

**გაანალიზეთ სსრკ-ის დაშლის მიზეზები.**

სსრკ-ისა და სოციალისტური სისტემის დაშლამ მსოფლიოს ძალთა ბალანსიც დაარღვია. დაიწყო აშშ-ის ჰეგემონიის ერთპოლუსიანი საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირება. 1997 წელს მიაღწიეს რუსეთსა და **ნატო**-ს შორის შეთანხმებას „ერთმანეთის არ გადამტერების" შესახებ. ამან **ნატო**-ს შეუქმნა აღმოსავლეთისაკენ სვლის პირობები. აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები **ნატო**-ს შეუერთდა. ეს ქვეყნები ამავდროულად მიიღეს ევროკავშირის წევრ ქვეყნად.

დღეს მსოფლიოს ყველაზე კონფლიქტური კერები ახლო აღმოსავლეთშია. XXI საუკუნის დასაწყისში ამ რეგიონში დასავლეთის ქვეყნების ჩარევამ გაამწვავა წინააღმდეგობა. ერაყის, სირიის, იემენის სისხლიანი ბრძოლები მთელი რეგიონისათვის საშიშ ხასიათს ატარებდა.

**განმარტეთ ყველაზე მეტი კონფლიქტის კერების ახლო აღმოსავლეთში არსებობის მიზეზები.**





1, 2. ხოჯალოს ტრაგედია

ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე კონფლიქტების მიზეზი სეპარატიზმის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. ამ კონფლიქტების მაგალითად 1988 წელს დაწყებული მთიანი ყარაბაღის, XX საუკუნის ბოლოს დაწყებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის, ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის დაპირისპირება შეიძლება დავასახელოთ.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ტერორიზმმა მიიღო უფრო საშიში ხასიათი. აშშ-ის თაოსნობით, რიგი ქვეყნების მიერ ავღანეთსა და ერაყში გატარებული რადიკალური ღონისძიებები საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი ნიმუშია. საერთაშორისო ტერორიზმის რიგებში სომხური ტერორიზმი იკავებს მისთვის დამახასიათებელ ადგილს. სომხური ტერორი, ძირითადად, გენეტიკურ მტრებად მიჩნეული თურქებისა და აზერბაიჯანელი თურქების წინააღმდეგ არის მიმართული. XX-XXI საუკუნეების დასაწყისში ათიათასობით უდანაშაულო აზერბაიჯანელი და თურქი გახდა სომხური ტერორის მსხვერპლი. XX საუკუნის 90-იან წლებში აზერბაიჯანის წინააღმდეგ 32 ტერორისტული აქტი განხორციელდა, მათ შორის ხოჯალოს გენოციდი.




ხოჯალოს ტრაგედიის ძეგლი

**როდის მოხდა ხოჯალოს გენოციდი? გაანალიზეთ ამ გენოციდის შედეგები.**

**კითხვები და დავალებები:**

1. რა ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?
2. აქვს რაიმე კავშირი აზერბაიჯანს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან?
3. გვიჩვენეთ "მესამე მსოფლიო" სახელმწიფოების მიერ მიღებული პოლიტიკის მხარეები.
4. რომელი მოვლენები გახდა საერთაშორისო ურთიერთობებში 70-იანი წლების დაძაბულობის მიზეზი?
5. გვიჩვენეთ თანამედროვე მსოფლიოში მომხდარი კონფლიქტის კერები მსოფლიოს რუკაზე და ეცადეთ განმარტოთ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები.
6. რა გახდა საერთაშორისო ურთიერთობებში „ბოლო შეტევის" მიზეზი?
7. გვიჩვენეთ ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე კონფლიქტების ძირითადი მიზეზები.
8. დაწერეთ ესე „სომხური ტერორიზმის" თემაზე.

## 26. მსოფლიოს ხალხების კულტურა

***XX საუკუნე და XXI საუკუნის დასაწყისი ომებთან ერთად კულტურითაც დარჩა ისტორიის მეხსიერებაში. სხვადასხვა ხალხებში კულტურის განვითარება გახდა ინტეგრაციის მიზეზი. კულტურა არა მხოლოდ მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნებისგან შედგება. დიდი თურქი ფილოსოფოსი ზია გოიალფი წერდა: "ყოველ დიდ ერს კულტურის განვითარების ერთ-ერთ სფეროში პირველობა აქვს მოგებული... თურქები კი ზნეობით არიან პირველ ადგილზე".***

**რა სახის საჩუქარი მისცა მსოფლიოს თანამედროვე ხალხების კულტურამ? რისგან შედგება თურქული სამყაროს, ასევე მსოფლიოს ქვეყნების როლი კულტურის ისტორიაში?**

ფიზიკისა და ქიმიის სფეროში ბევრი გამოგონება მოხდა. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მეცნიერების და ტექნიკის სფეროში მოიპოვეს ბევრი წარმატება. შექმნეს მაღალწნევიანი ორთქლის ქვაბები, მანქანათმშენებლობაში გამოიყენეს ნახევარავტომატური და ავტომატური დაზგები, დაიწყო მაღალსიჩქარიანი თვითმფრინავების წარმოება, გამოიგონეს ტელევიზორი. ამ წარმატებების მიღწევა ფიზიკის მეცნიერების განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ფიზიკის მეცნიერების სფეროს კვლევების გამო, ალბერტ ეინშტეინს მიენიჭა ნობელის პრემია. სხვა მეცნიერულ სფეროებშიც მოხდა ძირეული სიახლეები. მედიცინაში, კავშირგაბმულობაში, ტრანსპორტში მომხდარი დიდი წინსვლის საფუძველი 50-იანი წლების ფიზიკის სფეროს აღმოჩენები იყო.

სსრკ-ში 1957 წელს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი ორბიტაზე იქნა გაყვანილი. ხოლო 1961 წელს კაცობრიობის ისტორიაში პირველად გაფრინდა კოსმოსში ადამიანი. ეს იყო იური გაგარინი. 60-იანი წლების ბოლოს ამერიკელი ასტრონავტი ნეილ არმსტრონგი მთვარეზე დაჯდა.



**იური გაგარინი**

**რა მნიშვნელობა ჰქონდა სსრკ–ში 1957 წელს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაყვანას ორბიტაზე, ხოლო 1961 წელს პირველად კაცობრიობის ისტორიაში ადამიანის კოსმოსში გაფრენას კავშირისათვის?**

XX საუკუნის მეორე ნახევარში როგორც მეცნიერების განვითარება, ასევე ახალი აღმოჩენების წარმოებაში გამოყენება მნიშვნელოვანწილად დაჩქარდა. როგორც მეცნიერების, ასევე ტექნიკის განვითარების პროცესს დაერქვა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია (მტრ). კიდევ უფრო განვითარდა კომპიუტერის და ტელეკომუნიკაციის ტექნოლოგია. ამ სფეროში აზერბაიჯანელმა მეცნიერმა ლუთფიზადემ (ლუთფი ელესკერზადე) შეუდარებელი წვლილი შეიტანა.



ლუთფიზადე

პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებში ამა თუ იმ დონეზე აისახა. 20-30-იანი წლების რეალისტური ლიტერატურის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ გერმანელი მწერალი თომას მანი, ესპანელი პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა, აშშ-ს მწერალი თეოდორ დრაიზერი. მათ ნაწარმოებებში ასახულია პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები.

**რა მისცა მეცნიერულ–ტექნიკურმა რევოლუციამ მსოფლიო ეკონომიკას? გვიჩვენეთ დამოკიდებულება.**

ტოტალიტარული რეჟიმის მმართველობის დროს სსრკ-ში ტრადიციული ლიტერატურასთან ერთად ყალიბდებოდა „სოციალისტურ რეალიზმად“ წოდებული ახალი ლიტერატურა.

20-30-იანი წლები არის ხელოვნების ახალი პერიოდის დასაწყისი და განვითარების პერიოდი. დასავლეთ ევროპაში აშშ-ში და რუსეთში  დაიწყო თეატრების გამოცოცხლების და კინოს განვითარების ახალი პერიოდი.  ვითარდებოდა გახმოვანებული კინოხელოვნება, იხვეწებოდა კინოს გადაღების ხელოვნება, ამ თვალსაზრისით ჩარლი ჩაპლინი და მაქს ლინდერი უფრო განსხვავებული, მაყურებელის ყურადღების მიმზიდველი ხელოვანები იყვნენ. ეს ათწლეულები არის ახალი ეტაპი მუსიკის განვითარების სფეროშიც. ჯაზური მუსიკაც შეიქმნა ამ პერიოდში. ამ მუსიკალური ჟანრის სამშობლო ამერიკაა. აშშ-ს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაფართოვდა. ამიტომაც ჯაზურმა მუსიკამ დაიწყო ევროპაში გავრცელება.



ჩარლი ჩაპლინი

**რა იყო ამ პერიოდის კულტურის სწრაფი განვითარების მიზეზი?**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებისათვის შეიქმნა ახალი პირობები. ახალი პირობების შექმნა ფაშისტური რეჟიმის დამხობასა და დემოკ-



სებაჰედდინ ალი

რატის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ახალი პირობებთან ერთად გამოჩნდა ახალი თემაც. დროის გამოჩენილი მწერლები, პოეტები თავის შემოქმედებაში ფაშიზმს, ომს გმობდნენ, ადამიანებში ცდილობდნენ ჰუმანისტური გრძნობების გაღვივებას. თურქი მწერლების ნაწარმოებებმაც დიდი როლი ითამაშა ამ სფეროში. ამ მხრივ უფრო მეტად გამოირჩეოდა სებაჰედდინ ალის, მალიჰ ჯოვდათ ანდაინის, ოქტაი რიფატის და სხვა მწერლების ნაწარმოებები.

ამერიკელმა მწერალმა ერნესტ ჰემინგუეიმ უფრო წინ წაიწია და თავის ნაწარმოებებში ჰუმანისტური პრინციპებით ასახა ადამიანების ერთგულება. მის ნაწარმოებში „მოხუცი და ზღვა" ეს მხარე უფრო გამოხატულადაა ნაჩვენები. ამ ნაწარმოების გამო, 1952 წელს მას ნობელის პრემია მიენიჭა.

**ჰუმანური პრინციპების ამსახველ რომელ ნაწარმოებს იცნობთ აზერბაიჯანის ლიტერატურაში?**

სსრკ-სა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში დომინირებდა "*სოციალისტური რეალიზმი*" როგორც მიმდინარეობა. „სოციალისტური რეალიზმი"-ს პრინციპების ჩარჩოდან გასული, პერიოდის, საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური წინააღმდეგობების მაკრიტიკებელი მწერლები და პოეტების ხდებოდნენ რეპრესიების მსხვერპლი.

საუკუნის შუა ხანებში - 50-იან წლებში დასავლეთის ლიტერატურაში შეიქმნა ახალი მიმდინარეობა, "გაბრაზებული ახალგაზრდები" სახელწოდებით ამ მიმდინარეობის დამფუძნებლები იყვნენ ინგლისელი მწერლები ჯ. უეინი, ლ. ოსბორნი, ქ. ემისი და სხვები. მათი ნაწარმოებების სხვა მწერლების ნაწარმოებებისგან განსხვავებული თვისებები ფაშიზმის, თვალთმაქცობის წინააღმდეგ ბრძოლის სიჯიუტე იყო. ამ მწერლებს ახალგაზრდების ბედი აფიქრებთ და აწუხებთ. საქმე იმაშია, რომ ნაწარმოებში „გაბრაზებული ახალგაზრდები" ფაშიზმის, თვალთმაქცობის წინააღმდეგ ზიზღი იყო უკიდურესად ძლიერი.

**განმარტეთ მეორე მსოფლიო ომის და ომის შემდეგ დაწერილი ნაწარმოებების მნიშვნელობა თანამედროვე პერიოდისათვის.**



მსტისლავ როსტროპოვიჩი

ამ მიმდინარეობის წევრები იბრძოდნენ პიროვნების თავისუფლების, ადამიანის თვითგამორკვევის უფლებისათვის. ე.ი. ისინი იყვნენ საზოგადოებისაგან უკმაყოფილო, "ნაწყენი" ადამიანები. ამ ლიტერატურული მიმდინარეობის მემკვიდრე გახდა როკ მუსიკა. XX საუკუნის მეორე ნახევარში როკ მუსიკამ ჰპოვა ფართო გავრცელება. ეს მუსიკალური მიმდინარეობა შეიქმნა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. მისთვის ამ დიდების მომტანი იყო მასობრივი კულტურის შედეგი და მამოძრავებელი ძალის

არსებობა. ამიტომაც როკ მუსიკის მიმდინარეობა ერთ მოძრაობაში გადაიზარდა და როკ მოძრაობის სახელწოდება მიიღო. როკ მუსიკის დამაარსებლები იყვნენ ელვის პრესლი, ასევე "ბიტლსი" "Hi", "Ti Reks"-ი და სხვა ჯგუფები. მათ მიერ შექმნილი სიმღერების შინაარსი უბრალოებასთან ერთად ბრძნულიც იყო. როკ მუსიკის მნიშვნელობა სცენაზე და საყოფაცხოვრებო საკითხებში შედგებოდა დემოკრატიის აგიტაციისაგან. ამავე დროს ეს მუსიკალური მიმდინარეობა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების მიმართ გულგრილი არ ყოფილა. გმობდა ომს, რასიზმს და მილიტარიზმს.



მუსლიმ მაგომაევი

**კიდევ რომელ ჟანრებში აისახება როკის პროტესტის მიზეზის ფაქტორები?**

XX საუკუნის 50-60-იანი წლების ხელოვნება მხატვრობაში აღსანიშნავია ახალი-აბსტრაქტული მხატვრობის ჩამოყალიბებით. ამ მიმართულების სამშობლოც აშშ-ია. ამერიკის ნიჭიერმა მხატვრებმა ჰ. პოლოკმა, მ. მობიმ და ს. პოლიაკოვმა ამ ჟანრს ჩაუყარეს საფუძველი. გლობალურ სამყაროში კულტურის ნებისმიერ სფეროში წამოსული საყურადღებო მოვლენების სწრაფად გავრცელება არის ბუნებრივი მოვლენა. მხატვრობის ამ მიმართულებამ დაიწყო აშშ-დან სხვა ქვეყნებში გავრცელება.

**რატომ თვლიდნენ საჭიროდ მხატვრები თავიანთი აზრების აბსტრაქტულად გადმოცემას?**

ტოტალიტარულ საბჭოთა საზოგადოებაში ლიტერატურის და ხელოვნების უპირველესი მოვალეობა იყო სოციალისტური წყობის შექება, კომუნისტური იდეოლოგიის დიდება. განსხვავებული იდეოლოგიის მქონე დასავლეთ ევროპის და აშშ-ს ლიტერატურისა და ხელოვნებაში არსებული სიახლეები სსრკ-ში იყო მიუღებელი.




**მეჰრიბან ხანუმ ალიევა** პირველი ევროპული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტი



ალიმ კასიმოვი




აზიზა მუსტაფაზადე

სსრკ ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ახდენდა მის-თვის დამახასიათებელი კულტურის პროგრესს.

საბჭოთა რეჟიმი რაც არ უნდა მკაცრი ყოფილიყო, იყვნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებმაც თავი დააღწიეს სოციალისტური იდეოლოგიის გავლენას. მსოფლიო დონის შემსრულებელი მსტისლავ როსტროპოვიჩი, კინორე-ჟისორი ანდრეი ტარკოვსკი და სხვები ემსახურებოდნენ არა კომუნისტურ იდეოლოგიას, არამედ ნამდვილ ხელოვნებას.

ჩვენმა ხალხმა XX საუკუნის მეორე ნახევარში კაცობრიობის კულტურას მისცა კარა კარაევის, ფიქრეთ ემიროვის, არიფ მელიქოვისნაირი მსოფლიო დიდების კომპოზიტორები და რა-შიდ ბეჰბუდოვის, მუსლიმ მაგამაევის, ალიმ კასიმოვის, აზიზ მუსტაფაზადესნაირი მომღერლები, ხოლო ჩინგიზ აბდულაევი თანამედროვე დროის მსოფლიო დიდების მქონე აზერბაიჯა-ნელი მწერალია. საერთოდ, კულტურის, მათ შორის დასავ-ლეთის მუსიკის გავლენის შესახებ ლაპარაკი ცალმხრივი იქნე-ბოდა. აღმოსავლური მუსიკის, მათ შორის მუღამის დასავლურ მუსიკაზე გავლენა დღითიდღე იზრდება. აზერბაიჯანელი კომპოზიტორების, განსაკუთრებით ფიქრათ ამიროვის სიმფო-ნიურმა ნაწარმოებებმა დასავლეთში მუღამის საოცარი მუ-სიკის მიმართ დიდი ინტერესი გამოიწვია და მან სიყვარული დაიმსახურა. **2012 წელს** აღმოსავლეთში, დიდი კულტურის კერის მქონე აზერბაიჯანში ჩატარებულმა „ევროვიზიის“ მუ-სიკალურმა კონკურსმა ჩვენი კულტურა პროპაგანდისათვის კიდევ ერთხელ წარუდგინა მსოფლიოს. **2015 წელს** კი ჩატ-არდა **I ევროპული თამაშები**.

**კითხვები და დავალებები:**

1. გაანალიზეთ მეცნიერებისა და ტექნიკის ორმხრივი ურთიერთობა.
2. განმარტეთ მედიცინაში, კავშირგაბმულობაში და ტრანსპორტის სფეროში მიღწეული დიდი წარმატებები იმ პირობით, რომ იგი ეფუძნება ფიზიკის აღმოჩენებს.
3. თქვენი აზრით, რა იყო 20-30-იანი წლების ლიტერატურაში მწერლების მიერ ნახსენები მნიშვნელოვანი მოვლენები?
4. რით ახსნით ლიტერატურასა და ხელოვნებაში შექმნილი ახალი მიმდინა-რეობების ყოფნას დასავლეთის ქვეყნებში? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
5. როკ მუსიკის მიმდინარეობას რატომ ეწოდება როკური მოძრაობა?
6. დასავლეთის დემოკრატიული სულისკვეთების ლიტერატურისა და ხელოვნების მიმდინარეობის წინააღმდეგ სსრკ-ის პოლიტიკას შეიძლება ეწოდოს თანმიმდევრული? განმარტეთ.
7. გვიჩვენეთ ნიმუშები აღმოსავლეთის მუსიკის, განსაკუთრებით კი მუღამის გავლენის შესახებ დასავლურ მუსიკაზე.
8. შეაგროვეთ მასალები და მოამზადეთ პრეზენტაცია დასავლეთის კულტურის აღმოსავლეთის კულტურაზე გავლენის შესახებ.
9. დაწერეთ ესე "XXI საუკუნის აღმოსავლეთის კულტურის ყველაზე ლამაზი ნიმუში აზერბაიჯანია".

# საერთო ისტორიის საგნის რესურსები

## რუკები

1. I ბალკანეთის ომი
2. II ბალკანეთის ომი
3. სამხრეთი კავკასია XIX საუკუნეში (1801-1822)
4. იაპონია XIX საუკუნის ბოლოს -XX საუკუნის დასაწყისში
5. ევროპა XIX საუკუნის I ნახევარში
6. გერმანიის გაერთიანება
7. იტალიის გაერთიანება
8. რუსეთ-იაპონიის ომი
9. აშშ XIX საუკუნეში
10. პირველი მსოფლიო ომი
11. 1919 წლის ვერსალის ზავის შედეგად ევროპაში განვითარებული ცვლილებები
12. რუსეთის სამოქალაქო ომი
13. სსრკ-ის დაარსება
14. თურქეთის რესპუბლიკა
15. მანჯოუ გო-ს სახელმწიფო
16. ბარბაროსას გეგმა
17. ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ
18. სსრკ-ის დაშლა
19. ჩეჩნეთის რესპუბლიკა
20. თათრეთის რესპუბლიკა
21. ბაშკირეთის რესპუბლიკა
22. კვიპროსი
23. პალესტინელების მიერ 1946 წლიდან 2012 წლამდე დაკარგული მიწები
24. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები (XX-XXI საუკუნის დასაწყისი)
25. ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები
26. აღმოსავლეთ აზიისა და ინდო-ჩინეთის ქვეყნები (XX საუკუნის შუა -XXI საუკუნის დასაწყისი)
27. ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა

# გამოყენებული ლიტერატურა


1. სამხრეთ აზერბაიჯანის განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბაქო, 1988.
2. სამხრეთ აზერბაიჯანის ისტორიის ნარკვევები(1828-1917) ბაქო, 1985.
3. ე. ვ. თარლე. ნაპოლეონი. ბაქო, 2013.
4. ჰ. ბიჩერ-სტოუ. ბიძია თომის ქოხი. ბაქო, 2013.
5. სსრკ-ის ისტორია. ბაქო, 1982.
6. თ. დრაიზერი. ამერიკის ტრაგედია. 1-ლი წიგნი. ბაქო, 2015.
7. თ. მუსტაფაზადე. საერთო ისტორია, II ტომი. ბაქო, 2012.
8. ვ. ჰიუგო.  უსახლკარონი ბაქო, 1989.

## Buraxılış məlumatı

**ÜMUMİ TARİX 9**

*Ümumtəhsil məktəblərinin 9-cu sinfi üçün*
*Ümumi tarix fənni üzrə*

**DƏRSLİK**

*(Gürcü dilində)*

**Tərtibçi heyət:**

| | |
|---|---|
| Müəlliflər: | **Mahmudlu Yaqub Mikayıl oğlu**<br>**Nəcəfli Tofiq Hümbət oğlu**<br>**Məmmədov Kərəm Hətəm oğlu**<br>**Bəhrəmova Sevil Şivəxan qızı**<br>**Ağayev Sabir Əbdül Əziz oğlu** |
| İxtisas redaktoru | **Güntəkin Nəcəfli**<br>Tarix üzrə fəlsəfə doktoru |
| Tərcümə edən | **Abdurahmanov Çalabi** |
| Buraxılışa məsul | **Sevil İsmayılova** |
| Baş redaktor | **Gültəkin Cəfərova** |
| Dizayner | **Nurlan Nəhmətov** |
| Səhifələyici | **Ramin Abdurahmanov** |
| Texniki redaktor | **Fəridə Səmədova** |
| Texniki direktor | **Xəqani Fərzalıyev** |
| Nəşriyyat direktoru | **Kəmalə Qarayeva** |

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin*
*03.06.2016-cı il tarixli 369 nömrəli əmri ilə*
*təsdiq edilmişdir.*



**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.



Hesab-nəşriyyat həcmi. Fiziki çap vərəqi 8,5. Formatı 70x100 $^{1}/_{16}$.
Səhifə sayı 136. Ofset kağızı. Jurnal qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017

**“Şərq-Qərb” ASC**
**AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küç., 17**

PULSUZ



Böyük Ayı gölü
Hudzon körfəzi
ŞİMALİ
Labrador y-a
Vinnipeq gölü
Yuxarı g.
Huron g.
Ottava
Miçiqan g.
Ontario g.
Çikaqo
Niaqara şəl.
Eri g.
Vaşinqton
Mitçell d.
2037
Yeni Orlean
HOLFSTRİM
Bermud a-rı
Baham a-rı
Kuba a.
ANTİL CƏRƏYANI
8440
KARİB DƏNİZİ
Qalyinas b-nu
Panama
Karakas
Orinoko
Santa-Fe-De-Boqota
2875
Qviana yaylası
6310
Amazon ovalığı
Çimboraso d.
Belen
CƏNUBİ
Madeyra
Tapajos
San-Fransisku
6768
Lima
Braziliya yaylası
Brazilia
6362
İlyampu d.
La-Pas
AMERİKA
2897
Rio-de-Janeyro
8180
6959
Akonkaqua d.
Santyaqo
Parana
La-Plata
Buenos-Ayres
BRAZİLİYA CƏRƏYANI
FOLKLEND CƏRƏYANI
4058
6245
Qrenlandiya
Qothob (Nuk)
Farvel (Umanarssuak) b-nu
LABRADOR CƏRƏYANI
İslandiya a.
Hekla vlk.
Reykyavik
Yan-Mayen a.
NORVEÇ DƏNİZİ
BARENTS DƏNİZİ
Murmansk
Skandinaviya y-a
ŞİMAL DƏNİZİ
Stokholm
Sankt-Peterburq
Ladoqa g.
Moskva
ŞİMALİ ATLANTİKA CƏRƏYANI
London
La-Manş boğazı
Paris
Berlin
Reyn
Karpat
Kiyev
Biskay körfəzi
4807
Alp d-rı
Vyana
2655
Madrid
3404
Roma
Dunay
2210
QARA DƏNİZ
Roka b-nu
Sardiniya a.
Ankara
Azor a-rı
Cəbəlüttariq boğazı
Etna vlk.
3323
ARALIQ DƏNİZİ
Əlcəzair
5121
Krit a.
Kipr a.
3916
Madeyra a-rı
Atlas
4165
Tubkal d.
Tripoli
Qahirə
Süveyş kanalı
Kanar a-rı
KANAR CƏRƏYANI
Nil
QIRMIZI DƏNİZ
Yaşıl Burun a-rı
Böyük Səhra
AFRİKA
3415
Dakar
Bamako
Çad g.
Xartum
Ncamena
4620
Efiopiya yaylası
ATLANTİK OKEANI
Şimali Atlantika silsiləsi
7282
Almadi b-nu
Niger
Monroviya
QVİNEYA CƏRƏYANI
Kamerun vlk.
4070
Konqo
7820
Viktoriya g.
5895
4507
Brazzavil
Kinşasa
Kilimancaro
Livinqston şəl.
Tanqanika g.
Kabu-Branku b-nu
Resifi
Cənubi Atlantika silsiləsi
Müq.Yelena a.
6020
Nyasa g.
Zambezi
Viktoriya şəl.
BENGEL CƏRƏYANI
Kalahari
Pretoriya
Oranj
Keyptaun
İynə b-nu
Mozambik